между X и Y , ибо в этом случае переход из X в Y можно осуществить только путем коренной перестройки экономической структуры, когда приоритетность одних элементов меняется приоритетностью других. В случае, $\alpha^* \notin (0; 1)$, насколько велики не оказались бы различия между X и Y , переход из одной экономической структуры в другую не влечет за собой существенных внутренних перестроек, ибо приоритетность определенных элементов может расти или уменьшаться, но никак не меняться приоритетностью других элементов. Учитывая значение слова «сдвиг» как существенного изменения, случай, когда $\alpha^* \in (0; 1)$, будем квалифицировать как не просто изменение, характерное для общего случая, а как сдвиг в экономической структуре. Соответственно параметр α^* будет выступать индикатором сдвига в экономической структуре: если $\alpha^* \in (0; 1)$, то имеется сдвиг, и если $\alpha^* \notin (0; 1)$, то сдвига нет.

На основе (3) также можно исследовать стабильность тенденции динамики экономической структуры.

Если экономическую структуру представить как функцию времени $X(t)$, то различие между $X(t)$ и $X(t + \Theta)$ по вышеназложенному методу составит $\Delta\pi(X(t), X(t + \Theta))$. В действительности же переход от $X(t)$ к $X(t + \Theta)$ осуществляется по промежуточным звеньям $X(t + 1), \dots, X(t + \Theta - 1)$. Для отдельно взятых звеньев экономические структурные различия составят $\Delta\pi(X(t + \tau), X(t + \tau + 1))$, где $\tau = 0, 1, 2, \dots, \Theta - 1$. Таким образом, если $\Delta\pi(X(t), X(t + \Theta))$ — это экономическое структурное различие между $X(t)$ и $X(t + \Theta)$ по «равномерной» траектории перехода от $X(t)$ к $X(t + \Theta)$, то

$$\overline{\Delta\pi}(X(t), X(t + \Theta)) = \sum_{\tau=1}^{\Theta-1} \Delta\pi(X(t + \tau), X(t + \tau + 1))$$

показывает структурное различие между $X(t)$ и $X(t + \Theta)$ по фактической траектории перехода от $X(t)$ к $X(t + \Theta)$.

Путем сравнения величин экономических структурных различий по «равномерной» и фактической траекториям можно получить характеристику стабильности тенденции экономической структурной динамики. В частности, соответствующий коэффициент

$$\sigma(t, t + \Theta) = \frac{\Delta\pi(X(t), X(t + \Theta))}{\overline{\Delta\pi}(X(t), X(t + \Theta))}$$

будет оценивать степень отклонения фактических экономических структурных изменений за определенный промежуток времени от тех экономических структурных изменений, которые отражают тенденцию этого процесса за тот же промежуток времени. Чем больше значение $\sigma(t, t + \Theta)$, тем стабильнее тенденция динамики экономической структуры, и, соответственно, чем меньше его значение, тем существеннее отклонение фактических структурных изменений от тех, которые характерны для «равномерной» траектории движения экономической структуры.

В заключение отметим, что рассмотренный π -энтропийный метод измеряет исключительно различия между сравниваемыми экономическими структурами и претендует на оценку того, насколько одна из них лучше или хуже другой для достижения целей тех экономических систем, которые они и характеризуют. Увеличение или уменьшение сложности экономической структуры вовсе не означает ее улучшения или ухудшения; иными словами, сложность экономической структуры не является критерием ее оптимальности. Если тем или иным способом станет известной оптимальная экономическая структура какого-либо объекта, то π -энтропийным методом можно получить количественную оценку того, насколько фактическая экономическая структура отличается от оптимальной, и по мере продвижения к последней контролировать стабильность тенденции этого движения.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის კელავეწარმოებისა და კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის განყოფილებამ

ლილა გუგუშვილი

მრეწველობის კვალიფიციური მუშათა კადრები (1951—1960 წწ.)

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხო მეურნეობრივ პრობლემას წარმოადგენს მრეწველობის უზრუნველყოფა სამუშაო ძალით, კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესება, მათი რაციონალური განაწილება და გამოყენება. დიდი როლი მიენიჭა მრეწველობის უზრუნველყოფას მუშათა მუდმივი კადრებით. წარმოების განუწყვეტელი ზრდა განაპირობებდა სამუშაო ძალის მუდმივ ზრდას, ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენი ქვეყნის განვითარების ინტერესები მოითხოვდნენ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მუშათა ახალ-ახალი რაზმებით შევსებას.

საქართველოს მრეწველობის შემდგომი სწრაფი ტემპით განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინდუსტრიის ცალკეული დარგების კვალიფიციური მუშათა კადრებით უზრუნველყოფას.

ომის შემდგომ ხუთწლეულში საქართველოს მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო სიდიდის რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამდღეა მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის წილი საქართველოს სახალხო მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო რაოდენობაში და ბევრად გადააჭარბა ომამდელ შესაღობის მაჩვენებელს.

1950 წ. მუშათა ხვედრიწონა მთელ მრეწველურ-წარმოებრივ პერსონალში შეადგენდა 77%, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა — 9%. 1955 წ. მუშათა ხვედრიწონა 80%-მდე გადიდა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა — 10%-მდე.

მუშათა რაოდენობა დიდად გაიზარდა საქართველოს მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორცაა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, შავი მეტალურგია, ქვანახშირის მრეწველობა და ა. შ. მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობის ცვლა ცალკეულ დარგებში იმისდა მიხედვით ხდებოდა თუ რამდენად უფრო მიზანშეწონილი იყო ამა თუ იმ დარგის დაჩქარებული განვითარება. ასე, მაგალითად, განხილულ პერიოდში გაიზარდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პერსონალი, რაც დაკავშირებული იყო ახალი ინდუსტრიული მშენებლობის გაშლასთან. 1946-1950 წლებში იგი თითქმის სამჯერ გაიზარდა, 1951-1955 წლების მონაცემებით კი თითქმის უცვლელი დარჩა. 1956-1958 წლებში — 11,6% გაიზარდა. 1958 წელს 1950 წელთან შედარებით მთელი მრეწველობის მუშათა საშუალო სიდიდის რიცხვი 49,1% გადიდა. აქედან მძიმე მრეწველობის შესატყვისი მაჩვენებელი 62,9%-ით და წვრილი მრეწველობისა — 1,9% გაიზარდა. მატების ასეთი ტემპების შედეგად მძიმე მრეწველობის მუშათა წილი საქართველოს სსრ მთელი

მრეწველობის მუშათა საერთო მასაში, 1950 წლის 75,1%-დან 1958 წ. 82,8% ამაღლდა. ეს ეკონომიკური პროცესი, ერთი მხრივ, მიიღე მრეწველობის წარმოებრივი აპარატის საშუალოზე უფრო ინტენსიური გაფართოებით და, მეორე მხრივ, საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით წვრილი მრეწველობის გამსხვილების შედეგად განხორციელდა¹.

ომის შედეგების ლიკვიდაცია, მრეწველობის საწარმოო ბაზის სწრაფი განვითარება, მისი ტექნიკური დონის ამაღლება დაბეჯითებით მოითხოვდა კადრების მომზადების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას, კვალიფიციციის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად ამაღლებას. ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის განხორციელება შეუძლებელი იყო მუშათა განათლების საერთო დონის მუდმივი ზრდის, კულტურისა და პროფესიული მომზადების გარეშე, განსაკუთრებით კი მრეწველობის შრომატევად დარგებში, სადაც მექანიზაცია პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა.

ახალ ეტაპზე სსრ კავშირში კვალიფიციური კადრების მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს კვლავ წარმოადგენდა შრომითი რეზერვების სახელმწიფო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა მუშათა უფრო ხარისხიან სწავლებას. საფაბრიკო-საქარხნო სკოლების დაკომპლექტება ხდებოდა ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის ხარჯზე. ამასთან ქალაქელთა ხვედრიწონა განუწყვეტლივ იზრდებოდა: 1951 წ. მათ ხარჯზე მოდიოდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებელთა და სკოლებში მიღებულთა 25,2%, ხოლო 1960 წ. — 33,3%².

საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ახალგაზრდობის მომზადება უზრუნველყოფდა მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობისათვის მასობრივი პროფესიის მუშების მოსამზადებლად რეალური ბაზის შექმნას. სასწავლებლებში სასწავლო პროგრამები ისე იყო შედგენილი, რომ საწარმოო სწავლება შეთავსებული იყო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებასთან.

განხილულ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა მუშაობა ახალგაზრდა მუშათა კადრების მოსამზადებლად, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. ომისშემდგომ პერიოდში საქართველოს მრეწველობას მთელი რიგი ახალი დარგები შეემატა. ამ დარგებში დასაქმებულ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა თითქმის მთელი კადრი ომისშემდგომ წლებში მომზადდა. ამ მხრივ დიდი როლი ითამაშეს შრომითი რეზერვების სასწავლებლებმა და სკოლებმა. ამ სისტემაში 1941-1956 წწ. 101 ათასი მუშა მომზადდა. აქედან ფაბრიკა-ქარხნული სწავლების, მშენებლობისა და სამთო-მრეწველურმა სკოლებმა 59,4 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა გამოუშვეს³.

1954 წლიდან შრომითი რეზერვების სისტემაში გაიხსნა ახალი პროფესიული სასწავლებლები, რომლებშიც იღებდნენ საშუალო და ტექნიკური სასწავლებელდამთავრებულ ახალგაზრდებს. ამ ტიპის სასწავლებლები ამზადებდნენ მაღალკვალიფიციურ მუშებსა და უმცროს ტექნიკურ პერსონალს.

¹ საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921-1961, თბ., 1961, გვ. 373.

² История социалистической экономики СССР, т. VI, М., 1980, с. 296.

³ საქართველოს სსრ მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი, თბ., 1970, გვ. 152.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები წარმოადგენდნენ მუშათა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საუკეთესო საშუალებას. მათ ევალუბრდით მოსწავლეების კომუნისტურად აღზრდა, აგრეთვე ტექნიკურად განათლებული და კვალიფიციური მუშაკების სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის მომზადება.

1951-1960 წლებში მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაიზარდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სკოლებისა და სასწავლებლების რაოდენობა და მათი კონტინგენტი. 1951-1960 წწ. პროფესიულ ტექნიკური განათლების სასწავლებლებმა და სკოლებმა მოამზადეს 5648,9 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. საგრძნობლად გაუმჯობესდა მათი მომზადების ხარისხი⁴.

მუშათა მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება მიმდინარეობდა აგრეთვე სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და დაწესებულებებში. 1951-1957 წწ. ამ ხაზით საქართველოში მომზადდა 76,7 ათასი მუშა, ხოლო კვალიფიკაცია 113,9 ათასმა აიმაღლა.

საწარმოებში კვალიფიციური კადრების მომზადების ძირითად ფორმას წარმოადგენდა ინდივიდუალურ-ბრიგადული სწავლება, აგრეთვე სხვადასხვა კურსები და შრომის მოწინავე მეთოდების შემსწავლელი სკოლები. აქ კადრების მომზადება ხდებოდა როგორც წარმოებისაგან მოწყვეტით, ისე მოუწყვეტლივ. წარმოებაში ახალი კვალიფიციური კადრების მომზადებასთან ერთად ფართოდ გაიშალა მუშაობა გადამზადებისათვის.

მუშათა ტექნიკური დონის ზრდასთან ერთად ამაღლდა მათი კვალიფიკაცია და კულტურულ-ტექნიკური დონე, ამასთან დაკავშირებით მოისპო რიგი ისეთი პროფესიები, რომლებიც ხელთ შრომას მოითხოვდა და მათ ნაცვლად გაჩნდა ახალი.

1951-1955 წწ. საქართველოს საწარმოებსა და დაწესებულებებში ყოველწლიურად კვალიფიკაციის იმაღლება საშუალოდ 33,8 ათასი მუშა, საშუალოდ წლის განმავლობაში კი — 56,4 ათასი კაცი, მარტო 1956 და 1957 წლებში 131 ათასზე მეტმა მუშამ და 35 ათასზე მეტმა მოსამსახურემ აიმაღლეს კვალიფიკაცია. მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ მოწინავე მეთოდების სკოლები, ახალი მუშების ინდივიდუალური და ბრიგადული სწავლება საწარმოებში და აგრეთვე სხვადასხვა საკურსო დონისძიებები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მრეწველობის კვალიფიციური მუშათა კადრებით უზრუნველყოფაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკურმა პროგრესმა, წარმოების მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ შეცვალა მუშის შრომის ხასიათი. შემცირდა მუშის ფიზიკური შრომის ხვედრიწონა და გაიზარდა მისი გონებრივი მოღვაწეობის სფერო, რის გამოც მუშა აღარ კმაყოფილდება წარმოებაში მიღებული ცოდნით და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლობს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

დიდ სამრეწველო საწარმოებთან შეიქმნა საკუთარი სპეციალური სასწავლებლები — ტექნიკუმები, უმაღლესი სასწავლებლების ფილიალები და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები, რაც საშუალებას აძლევდა მუშას შრომასთან სწავლა შეეთავსებინა.

⁴ История социалистической экономики СССР, т. VI, с. 297.

მუშათა კვალიფიციაციის ამაღლებამ ხელი შეუწყო ტექნიკური პროგრესის სწრაფად განვითარებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების გადიდებას, რაც წარმოადგენდა სახალხომეურნეობრივი გეგმის შესრულებისა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

განხილულ პერიოდში დიდი ყურადღება მიექცა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გავრცელებას. ფართო ხასიათი მიიღო სოციალისტურმა შეჯიბრებამ. სოცშეჯიბრის კონკრეტული ფორმები, წამოწყებისა და თაოსნობის ხასიათი განისაზღვრებოდა ამ პერიოდის სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანებით, აგრეთვე ტექნიკური და ორგანიზაციული ფაქტორებით, რომელთაც გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინეს წარმოების გაფართოებასა და შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე.

1951-1960 წწ. გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველო ყოველთვის მხარს უჭერდა მოსკოვის, ლენინგრადის, დონბასის და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო ცენტრების მოწინავე ნოვატორთა ყოველ პატრიოტულ თაოსნობას.

საქართველოს ლითონდამამუშავებელ საწარმოებში ფართოდ გავრცელდა ლითონის ჭრის ჩქაროსნული მეთოდი. ჩქაროსნული მეთოდით მუშაობის მოძრაობა ხელს უწყობდა დაზგებისა და ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების გაუმჯობესებას, აგრეთვე პროდუქციის გამოშვების ზრდას და შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მხარი დაუჭირეს აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელთა ინიციატივას გაეშალათ სოცშეჯიბრი შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის, არსებულ სამრეწველო ფართზე პროდუქციის გადიდებისა და მისი ხარისხისა და თვითღირებულების შემცირებისათვის. 1946-1953 წლებში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა რამდენჯერმე მოიპოვეს მთელი რიგი საწარმოსა და მშენებლობის კოლექტივებმა.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ტყიბულელი მეშახტეები ქვანახშირის მოპოვების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. 1955 წ. მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში გაიშალა ყველა სახის შიგასაფაბრიკო სოცშეჯიბრი ბრიგადებსა, უბნებსა და საამქროებს შორის საუკეთესო ხარისხის პროდუქციისა და მაღალი შრომის ნაყოფიერებისათვის; საუკეთესო მუშის პროფესიის, საწარმოო გეგმების საუკეთესო მაჩვენებლების შესრულებისა და სხვა შეჯიბრებაში მონაწილე 400 ბრიგადიდან, რომელიც იბრძოდა „საუკეთესო ხარისხის და მაღალი მწარმოებლურობისათვის“ ეს წოდება 12 ბრიგადას, უბანს და 5 საამქროს მიენიჭა. მათგან საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და რაიონული კომიტეტის სიგელით 117 ბრიგადა და 3 საამქრო დაჯილდოვდა, ხოლო იგივე სამინისტროსა და პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს სიგელით — 27 ბრიგადა, 2 საამქრო.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე ქუთაისის ტყავფხსაკმლის და სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატებმა.

1951-1955 წწ. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულები გამოვიდნენ საქართველოს სსრ მრეწველობის სხვა დარგების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის და სხვ. კოლექტივები, რომლებიც და-

ჯილდოდენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სათანადო სამინისტროების გარდამავალი წითელი დროშებით და ფულადი პრემიებით.

1957 წ. დამდეგს ი. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა კონკრეტული ვალდებულება იკისრა და მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის მრეწველობის ყველა მუშაკს გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად. ამ მოწოდების საპასუხოდ საქართველოს სსრ მრეწველობის საწარმოთა მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ჩაებნენ წინა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი. ამ შეჯიბრებაში თავი ისახელეს ქვანახშირის მრეწველობისა და შახტმშენებლობის მუშაკებმა, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა, რუსთავის ცემენტის ქარხნის მუშათა კოლექტივმა და სხვებმა⁵.

ფართო გაქანება ჰპოვა სოცშეჯიბრმა ერთი მხრივ, მოკავშირე რესპუბლიკებსა და მეორე მხრივ საქართველოს ცალკეულ საწარმოო კოლექტივებს შორის. მაგალითად, საქართველოს მადაროელები ეჯიბრებოდნენ ნიკოპოლის მემდაროეთა კოლექტივს, ტყიბულის მეშახტეები კუზნეცის მეშახტეებს, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშაკები — ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშაკებს, თბილისელი მეფეხსაცმელები და ფეიჭრები მოსკოვისას.

1956 წელს დაიწყო და მთელ სსრ კავშირში გავრცელდა მოძრაობა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის. მშრომელებმა გააძლიერეს ბრძოლა ტექნიკური პროგრესის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ნედლეულისა და მასალების ეკონომიისათვის.

1958 წელს სოცშეჯიბრმა განვითარების მაღალ ეტაპს მიაღწია. დაიწყო ახალი — შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობა, რომელმაც მოიცვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ამ მოძრაობის ინიციატორი იყო ვიშნევილოვცის ბამბეულის კომბინატის მოწინავე ბრიგადირი ვალენტინა გავანოვა. იგი თავის ინიციატივით მოწინავე ბრიგადიდან გადავიდა ჩამორჩენილში და უმოკლეს დროში მოწინავეთა დონეს მიაღწია.

სკკ ცკ 1959 წლის ივლისის პლენუმმა ამ წამოწყებას მხარი დაუჭირა და აღნიშნა მისი უდიდესი მნიშვნელობა. ვ. გავანოვას თაოსნობამ გამოწამაურება ჰპოვა მთელ ჩვენს ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში. ამ პატრიოტული თაოსნობის პირველი ინიციატორები იყვნენ თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის ელმავალამწყობი საამქროს ზეინკლეს გ. ჩაღუნელის ბრიგადი. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედ საამქროს ბრიგადირის ა. ძამაშვილის, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ბრიგადირის ზ. რუსისას, ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მეორე საექსპლოატაციო უბნის ბრიგადირის შ. კუბლაშვილის ბრიგადები და სხვ.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობამ დიდი როლი ითამაშა სოციალისტური შეჯიბრების უფრო მაღალ საფეხურზე ასასვლელად,

⁵ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1961, გვ. 479.

რამაც ხელი შეუწყო მასში მშრომელთა ახალი ფენის ჩაბმას. ბევრ საწარმოში სოცშეჯიბრში ყველა მუშა იყო ჩაბმული.

სოციალისტური შეჯიბრება ხელს უწყობდა მოწინავე გამოცდილებათა ფართო დანერგვას. მან უდიდესი გავლენა მოახდინა მასების ტექნიკური შემოქმედების გადიდებაზე.

1951-1960 წლებში ფართო გაქანება ჰპოვა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაციონალიზატორულმა და საგამომგონებლო მუშაობამ, ამას დიდად შეუწყო ხელი პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა, რომლებიც მიმართული იყო რაციონალიზატორებისა და გამომგონებლებისათვის საშუალო პირობების შესაქმნელად. ასე, მაგალითად 1956 წ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების კომიტეტი. 1958 წელს კი — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულყოფილი საზოგადოება. ამის შესაბამისად საქართველოს კე ცე ბიურომ 1958 წ. 13 ივნისს მიიღო დადგენილება საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის საორგანიზაციო ბიუროს შექმნის შესახებ.

ორგანიზაციულ-მასობრივმა მუშაობამ ხელი შეუწყო მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მასობრივ ტექნიკური შემოქმედების გადიდებას. წლით-წლობით იზრდებოდა გამომგონებელთა, რაციონალიზატორთა და წარმოების ნოვატორთა შემოქმედებითი საქმიანობა და რაოდენობა. 1950 წელს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვი უდრიდა 555 ათას კაცს, ხოლო 1960 წელს 2431 ათასს⁶. ამასთან გამოგონებათა, ტექნიკურად სრულყოფილი და რაციონალიზატორული წინადადებები გაიზარდა 1241 ათასიდან 3987 ათასამდე. მათი წარმოებაში დანერგვის რიცხვი 3,9-ჯერ გადიდა. დანერგილი წინადადებებიდან მიღებული წლიური ეკონომია გაიზარდა 1950 წ. 498 მლნ მანეთიდან 1960 წლის 1457 მლნ მანეთამდე, ე. ი. თითქმის 3-ჯერ.

შესაბამისად საქართველოს სამრეწველო საწარმოებში სწრაფად განვითარდა საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობა. 1953 წელს ქიათურელმა რაციონალიზატორებმა შემოიტანეს 255 რაციონალიზატორული წინადადება, აქედან ამავე წელს განხორციელდა 200. წარმოებაში დანერგილი წინადადებებით მანგანუმის მრეწველობამ ერთი წლის განმავლობაში 1332400 მანეთის ეკონომია მიიღო. თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა 1953 წელს მარტო სექტემბრის მანძილზე 15 რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენა, რის შედეგადაც საწარმომ ერთი თვის განმავლობაში ვეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 8 გარემონტებული ავტომანქანა. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში 1956-1957 წლებში 400 რაციონალიზატორი იყო, რომელთაგან 100 შემოტანილი ჰქონდა 25-ზე მეტი წინადადება. მარტო ნიჭბაძის წინადადების დანერგვით ქარხანამ მიიღო 600 ათასი მანეთის ეკონომია.

1956 წელს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში 260-მდე რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა, რის შედეგადაც 786 400 მანეთი დაიზოგა. 1957 წელს ამავე ქარხანაში 400 რაციონალიზატორული და ტექნიკური სრულყოფის წინადადება დაინერგა, რის შედეგად მიღებულ იქნა 5,5 მლნ მანეთზე მეტი ეკონომია. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მეჩუ-

⁶ История социалистической экономики СССР, т. VI, с. 306-307.

თე ხუთწლედის 4,5 წლის მანძილზე შემოტანილ იქნა 1253 წინადადება, რომელთაგან დაინერგა 817 და სახელმწიფომ 8,5 მლნ მანეთის ეკონომია მიიღო.

მრეწველობის ტექნიკური დონის ამაღლებამ, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფამ, მუშათა განათლების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებამ, მათი შემოქმედებითი ინიციატივის გაზღამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების სწრაფი ტემპით განვითარება.

სკკპ XX ყრილობამ ხაზი გაუსვა შრომის ნაყოფიერების გადიდების მნიშვნელობას, როგორც წარმოების ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობას. ყრილობა აღნიშნავდა, რომ „ჩვენს ქვეყანაში მძლავრი ინდუსტრიული ბაზის არსებობა და მეექვსე ხუთწლედში ფართო დონისძიებათა განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალ, თავისი ტექნიკური დონით უფრო მაღალ საფეხურზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გადასვლას, აგრეთვე კვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების კადრების არსებობა და სულ უფრო მზარდი მასშტაბებით მომზადება, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან თანამედროვე ტექნიკას, დიდ შესაძლებლობას ქმნის შრომის ნაყოფიერების დაჩქარებული ტემპით ზრდისათვის“⁷.

განხილულ პერიოდში შრომის ნაყოფიერება საკავშირო მასშტაბით ცალკეული დარგების მიხედვით ყველაზე მეტად გაიზარდა მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში (172%), ქიმიურ მრეწველობაში (132%), ელექტროენერგეტიკასა და თბოენერგოტექნიკაში (121%), შედარებით დაბალი იყო მსხუბუქ (73%) და კვების (87%) მრეწველობაში⁸.

საქართველოს სსრ მრეწველობის რიგ დარგებში შრომის ნაყოფიერების ზრდა საშუალოზე გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით ხასიათდებოდა. 1955 წელს 1940 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა: ელექტროსადგურებსა და ელექტროქსელში (172%), ლითონდამუშავებასა და მანქანათმშენებლობაში (165%), ჩაის მრეწველობაში (114%), საშენ მასალათა მრეწველობაში (72%) და სხვ. ზოგიერთ დარგში კი ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული შრომის ნაყოფიერების 1940 წლის დონე⁹.

1960 წელს კი მთელ მრეწველობაში მან შეადგინა 197% ომამდელ დონესთან შედარებით, ელექტროენერგეტიკაში — 233, შავ მეტალურგიაში — 229, ქიმიურ მრეწველობაში — 328, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში — 460, საშენ მასალათა მრეწველობაში — 312%. სხვა დარგებში კი შრომის ნაყოფიერება იზრდებოდა უფრო ნელა, ვიდრე მრეწველობაში მთლიანად¹⁰.

შრომის ნაყოფიერების არათანაბარი ზრდა გამოიწვია სხვადასხვა ობიექტურმა მიზეზმა, რომელიც დამახასიათებელი იყო თითოეული დარგისათვის მისი განვითარების ეტაპებზე.

სწრაფი ტემპით იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება საშენ მასალათა მრეწველობაში, რაშიც დიდი როლი ითამაშა კასპის ცემენტის ქარხნის რეკონსტრუქციამ და რუსთავის ცემენტის ქარხნის აშენებამ, რის შედეგადაც ცე-

⁷ სკკპ ყრილობების რეზოლუციებისა და... ტ. IV, გვ. 237.

⁸ История социалистической экономики СССР, т. VI, с. 307.

⁹ საქართველოს სსრ, მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი, გვ. 156.

¹⁰ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, თბ., 1979, გვ. 596.

მენტის წარმოება რესპუბლიკაში თითქმის 5-ჯერ გაიზარდა. შრომის ნაყოფიერება მაღალი იყო ქიმიურ მრეწველობაში, რაც უმთავრესად განაპირობა რუსთავეის ქიმიური კომბინატის ამუშავებამ. შვე მეტალურგიაში შრომის ნაყოფიერების ზრდაზე გავლენა მოახდინა რუსთავეის მეტალურგიული ქარხნის ამუშავებამ და ხესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში წარმოების გაფართოებამ. მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის ნაყოფიერება მსუბუქ მრეწველობაში. მასზე დიდი გავლენა მოახდინა გორის ბამბეულის კომბინატის ამუშავებამ და ათვისებამ. საფეიქრო მრეწველობის სამინისტროში შემავალმა დარგებმა საშუალოდ შრომის ნაყოფიერება 1955 წელს გეგმასთან შედარებით 3,6%-ით ამაღლეს. ერთი მუშის გამომუშავებამ ნაცვლად გეგმური 85 180 მანეთისა 88 254 მანეთი შეადგინა. მაგრამ მისი დარგების უმრავლესობამ შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა ვერ შეასრულა. ეს კი გამოწვეული იყო ზოგიერთ მთავარ დარგში წარმოებისა და შრომის დაბალი ორგანიზაციით.

სსრ კავშირში საზოგადოებრივი წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდაში მიღწეულმა წარმატებებმა ობიექტური შესაძლებლობა და აუცილებლობა შექმნა, რათა შემცირებულიყო სამუშაო დღე. 1960 წელს განხორციელდა მუშა-მოსამსახურეთა ექვს და შვიდსაათიანი სამუშაო დღე.

ამავე პერიოდში დიდი ყურადღება მიექცა ხელფასის ანაზღაურების ორგანიზაციის, გატარდა რამდენიმე ღონისძიება ხელფასის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. ამ საკითხს ყურადღება მიაქცია სკკპ ცკ 1955 წლის ივლისის პლენუმმა. 1955 წ. შეიქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც დაეველა შრომის ორგანიზაციის, ნორმირების, ტარიფიკაციის და შრომის ანაზღაურების საფუძვლიანი გაუმჯობესება, აგრეთვე მუშათა კადრების მომზადება და განაწილება.

ხელფასის მოწესრიგებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო 1957 წლის 1 იანვრიდან ხელფასის მინიმალური რაოდენობის მომატება. 1959-1961 წლებში განხორციელდა მინიმალური ხელფასის გაზრდის ახალი ღონისძიება.

საქართველოში მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასი 1955 წ. შეადგენდა — 67,8 მანეთს, 1960 წ. კი — 74,8 მანეთს. მრეწველობაშიც, ისე როგორც მთელ სახალხო მეურნეობაში იზრდებოდა მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის საშუალო თვიური ხელფასი, იგი შეადგენდა 1955 წ. — 73,7 მანეთს და 1960 წ. — 83,9 მანეთს¹¹.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა აწესრიგებდნენ რა ხელფასის ორგანიზაციას, ემყარებოდნენ ხელფასის ზრდასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ტემპით ზრდის პრინციპს. პარტიის XXI ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნა, რომ „დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იქნება ის, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უზრუნველყოფილ იქნეს შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ზრდა ხელფასის ზრდასთან შედარებით, რაც თვითღირებულების შემდგომი შემცირების, დაგროვების ზრდასა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა“¹².

¹¹ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა სსრკ 50 წლისთავზე, სტატ. წელიწდეული, თბ., 1971, გვ. 217.

¹² სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მასალები, თბ., 1959, გვ. 29.

ამრიგად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, კვალიფიციურ მუშათა კადრების ზრდამ, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებამ, მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების გაშლამ და სხვა ღონისძიებებმა განაპირობეს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის განუწყვეტელი ზრდა და მისი მაღალი ტემპი.

ლ. ი. გუგუშვილი

КВАЛИФИЦИРОВАННЫЕ РАБОЧИЕ КАДРЫ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИНСКОЙ ССР в (1951—1960 гг.)

Резюме

Быстрые темпы роста промышленности в Грузии значительно увеличили потребность в квалифицированных рабочих кадрах. Партия и правительство большое внимание уделяет вопросам подготовки квалифицированных кадров для народного хозяйства. Профессиональное обучение осуществляется в стационарных учебных заведениях и без отрыва от производства.

В рассматриваемый период достигнутые успехи определялись развитием инициативы, творческой производственной активности трудящихся. Массовое социалистическое соревнование в Грузии, повышение технического уровня промышленности обеспечили рост производительности труда. Повышение производительности труда явилось важным источником увеличения промышленного производства и обеспечило экономию рабочей силы.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ

მიხეილ როკაბლიშვილი

ბანკის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამამუშავებელ ორბანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე გაწეული კონტროლის მინიშნელობა

საბჭოთა ფულად საკრედიტო სისტემის მთავარ და ძირითად რგოლს წარმოადგენს სსრკ სახელმწიფო ბანკი, რომელიც თავს უყრის რა სოციალიზმის პირობებში მოქმედ ყველა ეკონომიკური კანონების ობიექტურ მოთხოვნებს, როგორც ქვეყნის ერთიანი საემისიო საანგარიშსწორებო საკასო ცენტრი, ანხორციელებს ფულადი ბრუნვის სწორ რეგულირებას და ანგარიშსწორებას. აგრეთვე მის უშუალო ფუნქციებს შეადგენს სოფლის მეურნეობის, სატყეო და წყალთა მეურნეობის, კოოპერაციული საწარმოების და ორგანიზაციების, სკოლების, საავადმყოფოების და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის დაფინანსება-დაკრედიტება სოფლად. საწარმოების და მოსახლეობის ფულადი სახსრების აკუმულაცია, სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულების, საერთაშორისო, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოება და სხვ.

სსრკ სახბანკს გააჩნია თავისი დაწესებულებები ქვეყნის მთელი ტერიტორიის მასშტაბით — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებში, მხარეების, ოლქების, ავტონომიური ოლქების და ავტონომიური ოკრუგების ცენტრებში, ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში.

საკმარისია გავეცნოთ ნებისმიერი წლის განმავლობაში სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებათა მიერ განხორციელებულ შემოწმების მასალებს და ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება, თუ რაოდენ დიდი მასშტაბის და მოცულობის ფულად თანხებთან, კრედიტების ნაშთებთან და სხვადასხვა სახის საქირო ოპერაციებთან გვაქვს საქმე; სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს მჭიდრო ურთიერთობა აქვს მრავალრიცხოვან სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებებთან და ერთდროულად ასრულებს მისთვის დამახასიათებელ ემისიურ, კომერციულ, დეპოზიტურ, ინვენსტიციურ, მიწის, შრომითი დანაზოვის, შემნახველი საღაროების და სხვათა ბანკების ფუნქციებს. სსრ კავშირის სახბანკის აქტივები აჭარბებენ მსოფლიოს ყველაზე უმსხვილესი ბანკების ერთობლივ აქტივებს.

ბანკების უშუალო მოვალეობას შეადგენს დაფინანსება-დაკრედიტების მოქმედი წესების ზუსტად შესრულება, ჩასატარებელ ოპერაციათა თავისდროულობა, სახელმწიფო სახსრების და ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფა. ყოველივე ეს კი მიიღწევა რეგულარული კონტროლით, მუშაობის სწორი ორგანიზაციითა და საბუღალტრო აღრიცხვის სისუსტით.

მომქმე რესპუბლიკური ბანკების პარალელურად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასაც თავისი დაწესებულებებით გარკვეული წვლილი შეაქვს საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგში ინტენსიფიკაციის დონის ამაღლებაში, საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის სწორ განაწილებაში, სოციალისტური ქონების დაცვასა და რიგი დანაშაულებრივი ქმედობების თავიდან აცილების საქმეში, მაგრამ ისმის კითხვა, საქმარისია კი მათ მიერ გატარებული ღონისძიებანი? ცხადია არ არის საქმარისი და არც პასუხობს ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანებს. სწორედ ამის შესახებ აღნიშნავდა ამხანაგი ე. შევარდნაძე, რომ „საფინანსო და საბანკო ორგანოების ორგანიზაციული და განსაკუთრებით, ეკონომიკური მუშაობა ჯერჯერობით მთლიანად არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. ფინანსთა სამინისტრო, საბანკო დაწესებულებანი, საგეგმო და სტატისტიკური ორგანოები უფრო კონკრეტულად უნდა სწვდებოდნენ რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, ავლენდნენ მეურნეობის დაბალი დონის კონკრეტულ მიზეზებს“¹.

„საჭიროა ყოველი ფაქტორის მიხედვით დავადგინოთ საწარმოს არაღამაკმაყოფილებელი საქმიანობისა და მათი მიმიმე ფინანსური მდგომარეობის მიზეზები, სააშკარაოზე გამოვიყვანოთ უგერგილო სამეურნეო მუშაკი, სათქმელი ბოლომდე ვთქვათ, — აი როგორი ანალიზი გეჭირდება დღეს“².

სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ისეთი საწარმოებიც, რომლებიც პირდაპირ „ნთქავენ“ თავის საბრუნავ სახსრებს. ანგარიშს არ უწევენ რანამდვილ მოთხოვნილებასა და არსებულ ფინანსურ შესაძლებლობებს, ნორმის გადაჭარბებით შემოაქვთ ნედლეული და მასალები და ამის გამო მოკლებული არიან იმის უფლებას, რომ ისარგებლონ ბანკის სესხით. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ 1984 წლის დამდეგისათვის მარტო რესპუბლიკური წრის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულმა დაუჯარიდებელმა ნაშთებმა 324 მლნ. მანეთზე მეტი შეადგინა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სათანადო დასკვნა უნდა გამოჰქონდეთ საფინანსო და საბანკო დაწესებულებებსა და მკაცრ კონტროლს უნდა აწესებდნენ საწარმოთა და ორგანიზაციათა საბრუნავი სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე და მათ საფინანსო-ეკონომიკური სამსახურების სწორ სტილსა და ორგანიზაციაზე.

ბანკები მოწოდებულნი არიან ისე განახორციელონ კონტროლი, რომ ყველაზე ეფექტიანად წარმოებდეს საზოგადოებრივი პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის განაწილება და გამანაწილებელი მექანიზმი საიმედოდ ეღობებოდეს გზაზე უშრომელ შემოსავალს, გათანაბრებას შრომის ანაზღაურებაში, ყოველივე იმას რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური საზოგადოების ნორმებსა და პრინციპებს.

საჭიროა ვიღავწოთ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დინამიკური შესაბამისობისათვის, გავაუმჯობესოთ მატერიალური და ფულადი რესურსების მიმოქცევა, დავაჩქაროთ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა, უფრო სრულ-

¹ ამხანაგი ე. შევარდნაძის მოხსენება რესპუბლიკის სამეურნეო აქტივის კრებაზე 1984 წლის 26 სექტემბერს, გაზეთი „კომუნისტი“ 1984 წ. 27 სექტემბერი.

² იქვე.

ლად უნდა გამოვიყენოთ სასაქონლო ფულადი ურთიერთობა სოციალიზმის დროს მისთვის დამახასიათებელი ახლებური შინაარსის შესაბამისად, განვამტყიცოთ ფულისა და კრედიტის სისტემა, გავზარდოთ მანეთის მსყიდველობითი უნარი, გავაძლიეროთ მომპირნეობის რეჟიმი, კონტროლი მუშაობის რაოდენობისა და ხარისხისადმი, უფრო სრულად და ეფექტიანად გამოვიყენოთ ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულირების მთელი არსენალი³.

ყოველივე ეს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ბანკის დაწესებულებებს, რომ იყენენ ბოლომდე პრინციპულნი და ზუსტად იყენებდნენ პრაქტიკაში, როგორც ფინანსურ სანქციებს, ასევე შეღავათებსა და სტიმულირების ფორმებს.

ბანკის როლის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მიერ თუნდაც რამდენიმე ობიექტის, მხოლოდ 1985 წლის მცირედი შემოწმების მასალებიც კი იკმარებდა.

ასე მაგალითად, ლილოს ხილ-ბოსტნეულის შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის კომბინატს 7 მლნ მანეთის 3 წლამდე დაფარვის ვადით სესხი მისცა ბანკმა, რითაც საშუალება შეუქმნა ანგარიშსწორება ეწარმოებინა მომწოდებლებთან და ამასთან, ზოგი პროდუქცია ჩაეწყო ზამთრის მარაგში. კომბინატმა კი დაარღვია მოქმედი წესი. მან არ შეწყვიტა „საქსოფლოდამზადების“ რაიონული გაერთიანებიდან პროდუქტების დამატებით მიღება და წამოიწყო მისი შესაბამისი გადამუშავება. ასევე, მოქმედი წესის საწინააღმდეგოდ გადასამუშავებლად მიიღო გარეული ხილი შინდისა და ასკილის სახით, ხოლო გორის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზიდან კი მიიღო 13,7 ტ. ქინძისა და კამის თესლი სამრეწველო ნედლეულის სახით. მოქმედებულებით კი განმარტებულია, რომ მხოლოდ საზოგადოებრივი მეურნეობები უნდა იქნენ უზრუნველყოფილინი ზემოთ ჩამოთვლილი თესლით და არა ხილბოსტნეულის შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის კომბინატი, რომელიც მოწოდებულია გადაამუშაოს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი პროდუქცია ვაფუჭებისაგან თავიდან აცილების მიზნით და არა აწარმოოს დაუშვებელი ოპერაციები. ყოველივე ამის გამო, კომბინატის დამხმარე წარმოების მოცულობა იმდენად გაიზარდა, რომ მან ბევრად გადააჭარბა ძირითადს.

კომბინატის ბალანსზე ირიცხება არარეალიზებული მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების 4,3 მლნ მანეთის ნაშთები, ადგილი აქვს კომბინატის მიერ უხარისხო პროდუქციის დამზადებასა და გაცემას, სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების საფუძველზე 1981 წლიდან 1985 წლის 1 სექტემბრამდე წარმოდგენილი გადახდების 1,8 მლნ მანეთის ოდენობით გაუნაღებლობას, მათ შორის პრეტენზიას 264,6 ათ. მანეთზე უხარისხო საქონლის გადატვირთვისათვის⁴.

რატომღაც გვერდს უვლიდნენ წინასწარ გარიგებებსა და შეკვეთებს პროდუქციის სარეალიზაციოდ და კვლავ აგრძელებდნენ რიგი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვას მისი გადამუშავების მიზნით, ეს იმ დროს, როდესაც მათი დავალიანება ბანკის სესხების სახით 20,7 მლნ მანეთს და მომწოდებლების, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, 4,3 მლნ მა-

³ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1986, გვ. 228.

⁴ იხ. სსრკ სახბანკის საქ. რესპ. კანტორის წერილი 1985 წლის 5 სექტემბრის № 3806115, ქ. თბილისი, სსრკ სახბანკის საქ. რესპ. კანტორის სოფლის მეურნეობის წარმოების კრედიტების სამმართველო.

ნეთს შეადგენდა. ყოველივე აღნიშნულის შესახებ ბანკმა დასაბუთებული წერილით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და მოითხოვა სათანადო ღონისძიებათა გატარება, რათა ლილოს ხილ-ბოსტნეულის კომბინატს გაეუმჯობესებინა თავისი საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა და აღმოეფხვრა მუშაობაში არსებული ნაკლოვანი მხარეები.

აღნიშნულ წერილზე რეაგირება მოახდინა აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო რესპუბლიკურმა ხელმძღვანელობამ, რომელმაც ბრძანებით შესაბამისი სასჯელები დაადო ბრალეულ პირთ. ზოგი მათგანი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და ზოგის მიმართ კი მამხილებელი მასალები გადაუგზავნა საგამომძიებლო ორგანოებს.

ლილოს ხილ-ბოსტნეული კომბინატის უხეშ დარღვევებსა და კასპის კოოპერატივობაში მომხდარ სახელმწიფო სახსრების დიდი ოდენობით დატაცების შესახებ იმსჯელა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცკ ბიურომ 1984 წლის 11 დეკემბერს, გააანალიზა ყოველივე და პრინციპულობით მიუდგა რა აღნიშნულ დანაშაულობათა გამომწვევ მიზეზებს, გარკვეულ წილად ბრალი დასდო თვით სახბანკის საქარხნო და კასპის რაიონების განყოფილებების მუშაკებსაც სამსახურეობრივი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო და გულგრილ დამოკიდებულებაში, რომლებმაც მოადუნეს სიფხიზლე და არ დაეკვიდნენ ხსენებულ ორგანიზაციათა სასაქონლო ურთიერთობათა უკანონოებაში. არ შეამოწმეს მათ ანგარიშებზე არსებული კრედიტორული დავალიანებების რეალური არსებობა და მექანიკურად ახდენდნენ სახელმწიფო სახსრების გადარიცხვას.

სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა, გამომდინარე პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხსენებული დადგენილებიდან და შემოწმების მასალების საფუძველზე თავის მხრივ დაუშვა ბრძანება აღნიშნული დარღვევების გამო ბანკის დაწესებულებათა რიგი მუშაკების დასჯის შესახებ.

ბრძანებაში, მონაკვლევნი მასალების საფუძველზე აღინიშნა იმის შესახებაც, რომ კასპის განყოფილების საკრედიტო მუშაკები და პირადად მმართველი შეუფერხებლად იღებდნენ სახელმძღვანელოდ ცეკავშირის გამგეობის მიერ ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის გადიდებულ, არარეალურ გეგმებს და დამატებით დავალებებს. ასე მაგალითად, 1982 წელს კასპის კოოპერატივობას მიეცა ნამეტი პროდუქტების შესყიდვის გეგმა 2 მლნ მანეთის რაოდენობით, რაც მოცემული რაიონისათვის უსათუოდ არარეალურად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. უფრო მეტიც, ამავე წლის მანძილზე კასპის კოოპერატივობას 4-ჯერ მიეცა დამატებითი დავალებები 2,2 მლნ მანეთის ოდენობით, რითაც საერთო თანხამ 4,2 მლნ მანეთი შეადგინა და მიუხედავად ამისა, ბანკის ხსენებული განყოფილების მუშაკებმა, ერთხელაც არ შეამოწმეს შესყიდული პროდუქციის რეალობა.

ამავე ბრძანების სათანადო პუნქტებით სერიოზული გაფრთხილება მიეცა კანტორის ყველა დარგობრივ და ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოების უფროსებს და დაეკისრათ პირადი პასუხისმგებლობა თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი დარგების მომსახურების განხორციელებისას როგორც ბანკის მოქმედი წესების დაცვისადმი, ასევე წინასწარი და შემდგომი კონტროლის სრულყოფისადმი.

ასევე დაევალოთ კადრების და იურიდიული სამსახურების ხელმძღვანელებს, რომ თავიანთ მხრივ გაზარდონ მომთხოვნელობა კადრებისადმი მათი ეკონომიკური და საფინანსო დარგის ცოდნისა და საერთოდ საბანკო ოპერაციების ზუსტად გატარების საქმეში, მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ ხელმძღვანელი კადრების შესარჩევად პერიფერიებში, მოაწყონ საკრედიტო და საბუღალტრო აპარატების მუშაკებთან პრაქტიკული მეცადინეობები კონტროლის შემდგომი გაძლიერების მიზნით. ბოლოს კატეგორიულად გააფრთხილონ მთლიანად რესპუბლიკაში ბანკის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი, რომ ყოველი, ოდნავ საეჭვო და კანონსაწინააღმდეგო ქმედობა, რაც დაკავშირებული იქნებოდა ფულად საანგარიშსწორებო ოპერაციებთან და გამოიწვევდა სახელმწიფო სახსრების დატაცების საფრთხეს, დაუყოვნებლივ გაეხადათ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მსჯელობის საგნად, ამავე დროს ეცნობებინათ ბანკის რესპუბლიკური კანტორის ხელმძღვანელობისთვისაც⁵.

ბანკის მიერ სამეურნეო-საფინანსო შემოწმებამ გამოავლინა, რომ გურჯაანის რაიონის საწარმოები და ორგანიზაციები სისტემატურად განიცდიან ფინანსურ სიძნელეებს. მიმდინარე 1985 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით ირიცხებოდა არგადახდები სულ 25967 ათ. მანეთის ოდენობით, მათ შორის სახბანკის სესხების ვადაგადაცილებული დავალიანება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა საბჭოთა მეურნეობებში, ღვინის მრეწველობის გაერთიანებასა და საკონსერვო ქარხანაში.

როგორც მონაკვლევით მასალების ანალიზმა უჩვენა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა აღნიშნული ფინანსური სიძნელეები ძირითადად გამოწვეულია პროდუქციის თვითღირებულებაში დაშვებული გაძვირებით, რის გამოც პროდუქციის გამოსავალმა ვერ უზრუნველყო დანახარჯების დაფარვა⁶.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რიგი კოლმეურნეობები აწარმოებენ უეგგმომ მშენებლობებს, ძირითადად სამეურნეო წესით. ადგილი აქვს სახელმწიფო სახსრების დაქსაქსვას მრავალრიცხოვან ობიექტებზე, მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების დარღვევას და სამშენებლო მასალების უეგგმომ მშენებლობებზე ხარჯვას. განსაკუთრებით ჭიანურდება კვების მრეწველობის საწარმოთა მშენებლობები, გურჯაანის სარემონტო მექანიკური ქარხნის რეკონსტრუქცია, სოფელ დამარჩინეს ღვინის ქარხნის გაფართოება და კარდანახის ღვინის ქარხნის ბუტების შექმნა-მონტაჟი.

ჩამოთვლილი ხარვეზების შესახებ მართალია წერილი გაეგზავნა სახბანკის გურჯაანის განყოფილების მმართველს, რომელსაც დაევალა მსჯელობის საგნად გაეხადა ყველა ეს საკითხი რაიონის საწარმოების და ორგანიზაციების ხელმძღვანელობასთან, გაეტარებინა კონკრეტული ღონისძიებები, როგორც არგადახდების, ასევე სხვა არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მაგრამ მაინც არა გვგონია, ყოველივე ეს იყოს საკმარისად მიჩნეული სასურველი შედეგის მისაღწევად.

⁵ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორის ბრძანება 1985 წლის 18 იანვარი, № 3.

⁶ Дело № 38003 по управлению кредитования сельского хозяйства Грузконторы Госбанка СССР.

ჩვენი შეხედულებით, ბანკის რესპუბლიკური კანტორის ხელმძღვანელობა უნდა ანზოგადებდეს და აანალიზებდეს ბანკის რაიონული განყოფილებების როგორც ზემოთ აღნიშნული განხორციელებული ოპერაციების მიმდინარეობის, ასევე წინა პერიოდის შედეგებს, ამასთან, ზოგი მუშაყის უმოქმედობას, თვით ღებულობდეს საჯალღებულოდ ისეთ ოპტიმალურ ვარიანტებს, რომლიდანაც შესაძლებელი იქნებოდა სწორი დასკვნების გამოტანა, ისეთი სრულყოფილი ინსტრუქციის შემუშავებისათვის, სადაც ნათლად იქნება ნაჩვენები ბანკის მოქმედების არე.

დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ უკანასკნელ წლებში სახბანკის მუშაკთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის ასამაღლებლად რესპუბლიკაში არაერთხელ ჩატარდა ზონალური თათბირ-სემინარები განყოფილებათა მმართველების, საკრედიტო განყოფილებათა უფროსების და დამზადების ოპერაციებზე დასაქმებული ეკონომისტებისათვის. საგულისხმოა აღინიშნოს ისიც, რომ ამ თათბირ-სემინარებში მონაწილეობას ღებულობდნენ რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ წარმომადგენლებიც.

ბანკის ბრძანებებიდან ჩანს, რომ გარეული ხილის დამზადების ოპერაციებში დაშვებული დარღვევებისა და უკონტროლობისათვის დაკავებული თანამდებობებიდან სხვადასხვა დროს განთავისუფლდნენ თელავის, მესტიის და ლაგოდეხის განყოფილებათა მმართველები, არანაკლებ მკაცრად დაისაჯნენ სახბანკის თერჯოლის, ამბროლაურის, საჩხერის, წალკის, წალენჯიხის, ტყიბულისა და სხვა განყოფილებათა ხელმძღვანელი მუშაკები, აგრეთვე ოპერაციების უშუალო შემსრულებლები.

გატარდა ღონისძიებები სარევიზიო აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამალდა მათი პასუხისმგებლობა დამზადების ოპერაციების მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილით და სრულყოფილად შემოწმებაზე. მაგრამ მაინც თავი იჩინა ნეგატიურმა მოვლენებმა და დანაშაულებრივმა ქმედებებმა, რაც გამოიხატა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უსაქონლო ოპერაციებისა და სახელმწიფო თანხების მითვისების საქმეში.

სწორია ბანკის რიგ ხელმძღვანელთა მუშაკთა აზრი იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი მიზეზი ამ ნეგატიური მოვლენების შემთხვევების არსებობის და წარმოშობისა ისიც არის, რომ მას ხელს უწყობს ის ფაქტორები, რომელთა გამოვლენა სცილდება სახბანკის საკონტროლო ფუნქციათა ფარგლებს. ესე იგი მოქმედი ინსტრუქციებით განსაზღვრული ბანკის საკონტროლო უტყუებათა სფერო ვერ მოიცავს ყველა იმ მხარეს და მეთოდს, რომლითაც უსათუოდ შესაძლებელი გახდებოდა დანაშაულის ჩანასახშივე გამოვლენა. ამდენად, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა კვლავ გადასინჯულიყო და გაღრმავებულიყო ეს მაკონტროლებელი ფუნქციები და ახალ ინსტრუქციაში შეეტანათ ისეთი პუნქტები, რომლითაც ბანკს თავისი ინიციატივით მიეცემა და დამატებითი ღონისძიების გატარების უფლება; სახელდობრ, წინასწარ, ვიდრე საგადასახადო მოთხოვნებს გაანაღდებდნენ, ადგილზე მოეხდინათ ფაქტების გადამოწმება და წარმოდგენილი საბუთების სისწორის დადგენა. ამასთან ერთად, აღმასკომებსაც, მათ მიერ დამზადების გეგმების დამტკიცებამდე, წინასწარ გამოეყოთ სპეციალური კომპეტენტური კომისია, დაედგინათ რეალურად, ვის რა მოცულობის მოსავალი ან პროდუქცია, მიწის რა მოცულობის ნაკვეთზე და რა რაოდენობით შეეძლოთ მიეღოთ, შეედგინათ

დასკვნა და ხელმოწერებით და სათანადო ბეჭდით დადასტურებული წარმოდგენილიყო ბანკში.

მაგალითად, სახალხო დეპუტატთა თელავის რაიონული საბჭოს აღმასკომს „საქსოფლდამზადების“ თელავის რაიონული გაერთიანებისათვის 1981 წელში უკანონოდ დაუმტკიცებია მოსახლეობიდან ყურძნის დამზადების გეგმა 5000 ტონის ოდენობით, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა სახელმწიფო სახსრების მითვისება, მაგრამ სახბანკის თელავის განყოფილება გამოუჩენია რა წინდახედულება, ჩაშალა ბოროტმოქმედთა ასეთი ცდა სახელმწიფო თანხების მითვისების საქმეში და თავიდან იქნა აცილებული სახელმწიფოს 2,5 მლნ მანეთის ზარალი. დამზადების ოპერაციების წესების დარღვევის შედეგად სახელმწიფო თანხების მითვისებას ადგილი ჰქონდა თეთრი წყაროს რაიონის საბჭოთა მეურნეობაში, ოჩამჩირის, ზნაურის და ახმეტის რაიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოსახლეობიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების გეგმების დამტკიცებას რეგიონში არსებული რესურსების აშკარად მხედველობაში მიღების გარეშე. ასე მაგალითად, „საქსოფლდამზადების“ მარნეულის გაერთიანებას 1982 წლის დეკემბერში მიეცა დავალება მოსახლეობიდან 500 ტონა წიწყის დამზადებაზე. ამავე პროდუქციის შესყიდვა 130 ტონის ოდენობით მარნეულის რაიონში დევალა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებსაც. სწორედ გასაკვირია, რომ ასეთ პირობებში „საქსოფლდამზადების“ რესპუბლიკურმა გაერთიანებამ ნება დართო თავის დაქვემდებარების გარდაბნის რაიონულ გაერთიანებას (1982 წლის 24 ნოემბრის № 2.6-7-2955 განკარგულებით) შეესყიდა მარნეულის რაიონის მიმდებარე სოფლების მოსახლეობიდან ხმელი წიწყა 300 ტონის ოდენობით და ჩამბარებლებზე კუთვნილი თანხების გაცემა მოეხდინა გარდაბნის რაიონის ახლომდებარე მეურნეობის სალაროს მეშვეობით. ამ ნებართვის ვაცემით ხსენებულმა გაერთიანებამ უხეშად დაარღვია რაიონის სამოქმედო ზონაში დამზადების ოპერაციების წარმოებისა და ანგარიშსწორების წესები. ამ შემთხვევაში ჯეროვანი შეფასება უნდა მიეცეს სახელმწიფო ბანკის პრინციპულ და სამართლიან მოქმედებას, რომელიც კატეგორიულად წინ აღუდგა და არ დააკმაყოფილა საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს შუამდგომლობა მოსახლეობაზე ფულადი ანგარიშსწორების ასეთ პირობებში წარმოების შესახებ. უფრო მეტიც, ადგილზე თავისი ძალებით და ინიციატივით შეისწავლა წითელი მწარე წიწყის ესოდენ დიდი ოდენობით დამზადების არარეალობა და შეუძლებლობა, საექვოდ მიიჩნია დაინტერესებულ ორგანიზაციათა მოსახლეობასთან ასეთი ყალბი გარიგება და საკითხი დასვა მარნეულის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის და „საქსოფლდამზადების“ რესპუბლიკური გაერთიანების წინაშე სათანადო ზომების მისაღებად.

ბანკის რესპუბლიკურმა კანტორამ ანალოგიური წინააღმდეგობა გაუწია „საქსოფლდამზადების“ ქარელის რაიონულ გაერთიანებას, როდესაც შეამოწმა მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა და საექვოდ მიიჩნია დამზადების პუნქტებისა და საწყობის გამგებებზე დიდი ოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარება, შეწყვიტა საბანკო ოპერაციების წარმოება და საკითხი დააყენა საქართველოს კპ ქარელის რაიონული კომიტეტის წინაშე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექვო მოცულობით ჩაბარების ფაქტები გამოვლენილ იქნა სხვა რაიონებშიც.

გარეული ხილის დამზადების გეგმების საეკო მოცულობის დამტკიცებას ადგილი ჰქონდა ხაშურისა და დმანისის რაიონებში. სახბანკის ხაშურის განყოფილებამ 1982 წლის 20 ოქტომბრის № 12263 წერილით საკითხი დასვა საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს და სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის წინაშე გარეული ხილის დამატებით დამტკიცებული (180 ტონა) გეგმების არარეალურობის შესახებ. ამასთან ერთად შეტყობინება გაიგზავნა საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის, რაიონული საბჭოს აღმასკომისა და აგროსამრეწველო გაერთიანების წინაშე. ყოველივე ამის შემდეგ, აღნიშნული დამატებითი დავლება დაყვანილი იქნა 20 ტონამდე და პრაქტიკულად ამ მოცულობითაც ვერ შესრულდა, ალბათ იმიტომ, რომ სათანადო კონტროლი იქნა განხორციელებული და სიყალბე და მიწერები გამორიცხული იყო. გარეული ხილის დამზადების არარეალური გეგმების საკითხი 1982 წელში დააყენა აგრეთვე სახბანკის დმანისის განყოფილებამაც. თვით სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ საეკოვოდ მიიჩნია თელავის რაიონში მოსახლეობიდან 1984 წლის IV კვარტალში შესყიდული 421,4 ტონა ასკილის რეალობა და საპრეტენზიო წერილით მიმართა სახალხო კონტროლის თელავის რაიონულ კომიტეტს 1985 წლის 17 მაისს, რომელსაც პასუხი რეაგირების შესახებ დღემდე არ გამოუგზავნია. ამ შემთხვევაში კანტორის ხელმძღვანელობა სწორად მოიქცეოდა, უკეთეს ხსენებული რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის უმოქმედობის შესახებ საკითხს მის შემდგომ ინსტანციასა და ადგილობრივი რაიონის პარტიულ ორგანოში დააყენებდა.

ბანკის მისამართითაც უნდა ითქვას რიგი შენიშვნები. მიუხედავად იმისა, რომ სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ უკანასკნელ წლებში გაააქტიურა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებასთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციებისადმი კონტროლი, მაინც რიგ რაიონულ განყოფილებებში კვლავ ადგილი აქვს გულგრილობის და უკონტროლობის ფაქტებს. ასე მაგალითად, სახბანკის თიანეთის განყოფილების ხელმძღვანელობამ არ გამოიჩინა საჭირო სიფხიზლე და დროზე არ მიაწოდა ინფორმაცია პარტიის თიანეთის რაიკომს და სახალხო კონტროლის კომიტეტს 1984 წლის ბოლოსათვის მოსალოდნელი დიდი ოდენობით ზეგეგმური ასკილის დამზადების შესახებ, რითაც ისარგებლეს დამამზადებელი ორგანიზაციის მესვეურებმა და უსაქონლო ოპერაციების თუ სხვა მაქინაციების შედეგად მოახერხეს ბანკიდან ფულადი თანხების მითვისება. ბანკის თიანეთის განყოფილების მმართველი განთავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო განყოფილების რიგ მუშაკებს დაედოთ სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული სასჯელი. სათანადოდ დაისაჯა აგრეთვე ბანკის რესპუბლიკური კანტორის ცენტრალური აპარატის ზოგი ხელმძღვანელი მუშაკიც.

ზემოთ აღნიშნული დარღვევებისა და გამოვლენილ დანაშაულობათა ქმედობების პარალელურად მეტად საგანგაშოდ უნდა ჩაითვალოს, რომ 1984 წელს საგარეჯოს რაიონში 900 ტონამდე ასკილი დაამზადეს. ამ საქმეს გარკვეულად ხელი შეუწყო საკონსერვო ქარხნის დირექციამ, რომელმაც წინასწარ წერილობით მიმართვა გაუგზავნა საგარეჯოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს იმის შესახებ, რომ 1984 წლის მეოთხე კვარტალში საწარმოო გეგმით გამოსაშვები აქვთ 220 ათასი პირობითი ქილა ასკილის წვენი, უკვე ასეთზე გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები რუსეთის სხვადასხვა ოლქის

ბაკალიეობთან და დღეისათვის კი საგარეჯოს დამზადების გაერთიანება ქარხანას ასკილს ვერ აწვდის, რადგან მისი დამზადების გეგმა არ ჰქონია. ამდენად და იმის გამოც, რომ რაიონში ასკილის დიდი რეზერვი არსებობს, ქარხანამ სთხოვა გაერთიანებას დაემზადებინა და ჩაებარებინა მისთვის 150 ტონამდე ასკილი. ამ ამბებთან დაკავშირებით, სწორად შენიშნა რესპუბლიკის ცენტრალურმა გაზეთმა „კომუნისტა“ 1985 წლის 17 ნოემბერს, რომ რაისაბჭოს აღმასკომმა მოთხოვნა დაუყოვნებლივ განიხილა სულ სამ დღეში, პასუხიც გაუგზავნა მეკონსერვეებს, რომ მათი მოთხოვნის საფუძველზე გაერთიანებას დაევალა დაამზადოს 150 ტონა ასკილი დანართის მიხედვით. დანართში კი ეს ციფრი ოც საზოგადოებრივ მეურნეობაზე იყო გაყოფილი⁷.

სწორედ ამით ისარგებლეს დამამზადებლებმა და ქარხნის მუშაკებმა და ნაცვლად 150 ტონისა 881,9 ტონა ასკილი დაამზადეს. კილოგრამ ასკილში 65 კაბიკი გადაუხადეს დამამზადებლებს (აქ დამამზადებლებში გულისხმობენ ასკილის მკრეფავეებს).

მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა საქართველოს სსრ მთელი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში 70-80-იან წლებში. „ამ გარდატეხას, როგორც ცნობილია, დასაბამი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დადგენილებამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე, რომელიც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის იყო და არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტი“¹.

სწორედ ეს დოკუმენტი გახდა თავისებური საწყისი წერტილი მანამდე არსებული შეცდომების დასაძლევად და ახალი ზღუდეების დასაპყრობად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ IX ხუთწლედის მეორე ნახევრიდან მოყოლებული X და XI ხუთწლედებში გატარებული იქნა რიგი ქმედითი ღონისძიებები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

უკვე საქართველოში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის ნოემბრის პლენუმმა თავის გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა რომ ხელი უნდა შეეწყოს ყოველმხრივ შეუირეგბლობის ატმოსფეროს შექმნას, ყოველგვარი წარსულის გადმონაშთების ბრძოლის საქმეში, რომ არ დარჩეს ამ რეაგირებისა და სერიოზული, პრინციპული მსჯელობის გარეშე არც ერთი გამოვლენილი ფაქტი ეგოიზმის, ინდივიდუალიზმისა და კერძომესაკუთრული ტენდენციისა.

მეცხრე ხუთწლედში საქართველოს მშრომელებმა გეგმის გადამტებით სახელმწიფოს მისცა დიდალი მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი. „სულ 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია“². მთლიანად 1971-1980 წლებში კი საქართველოს სსრ-ში დაშადა „5,5 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების ჩაის ფოთოლი, ყურძენი, ხილი, ციტრუსები, ბოსტნეული, კარტოფილი, ვიდრე მეშვიდე და მერვე ხუთწლედში ერთად... მთელი თავისი სამოცი წლის ისტორიაში — საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობას არ ჰქონია ისეთი შედეგები, როგორც მეათე ხუთწლედში ჰქონდა“³.

თუ როგორი გარდატეხა მოხდა საკუთრივ ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილის წარმოება-დამზადებაში რესპუბლიკის მასშტაბით ამ პერიოდში ეს ჩანს შემდეგში.

თუ ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილის მთლიანი სათესი ფართობი 1972 წელს რესპუბლიკაში შეადგენდა 57,8 ათას ჰექტარს, 1975 წელს მან

1 წ. პ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს კომპარტიის ც. კ.-ის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, უფრნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1986, № 2, გვ. 8.

2 ე. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე, საქართველოს კომპარტიის ც. კ.-ის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 43.

3 ე. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავი, თბ., 1981, გვ. 49.



65,8 ათასი და 1980 წ. 76,2 ათასი ჰექტარი შეადგინა. ე. ი. ზრდა მოხდა პროცენტით. მ. შ. საბჭოთა მეურნეობებში იგი გაიზარდა 17,5 ათასი ჰექტარიდან 35 ათას ჰექტარამდე ანუ 2-ჯერ. კოლმეურნეობებში კი პირიქით, შემცირდა 15,9 ათასი ჰექტარიდან 10,5 ათას ჰექტარამდე, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მრავალი კოლმეურნეობა რესპუბლიკაში 1972-1980 წლებში გადაკეთდა საბჭოთა მეურნეობად. პირად დამხმარე მეურნეობებში კი ეს ფართობი მოცემულ პერიოდში 25 ათასი ჰექტარიდან 29,2 ათას ჰექტარამდე ანუ 12,7%-ით გაიზარდა. ცალკეული კულტურების მიხედვით მათი სათესი ფართობის ზრდამ ამ პერიოდში შემდეგი სურათი მოგვცა. ა) ბოსტნეულის ფართობი სულ — 29,7 ათასი ჰექტარიდან გაიზარდა — 35,4 ათას ჰექტარამდე ანუ 19%-ით. ბ) ბაღჩეულისა 3,2 ათასიდან — 6,9 ათას ჰექტარამდე ანუ ორჯერ და მეტად, ხოლო გ) კარტოფილისა 24,9 ათასი ჰექტარიდან 33,9 ათას ჰექტარამდე ანუ 36,1%-ით.

ბოსტნეულის საჰექტარო მოსავლიანობა რესპუბლიკაში 1972 წ. თუ უდრიდა 92 ცენტნერს, ხოლო კარტოფილისა — 84 ცენტნერს, 1980 წ. მან შესაბამისად შეადგინა 135 და 116 ცენტნერი. ე. ი. პირველი გაიზარდა 48,4%-ით, ხოლო მეორე — 34,4%-ით.

თუ ბოსტნეულის მთლიანი წარმოება მეურნეობის ყველა კატეგორიაში 1972 წ. შეადგენდა 324,9 ათას ტონას, 1975 წ. იგი 406,2 ათას ტონამდე, ხოლო 1980 წ. 544,8 ათას ტონამდე გაიზარდა ანუ 1972 წ. შედარებით 67,7%-ით. კარტოფილისა კი ამავე პერიოდში შესაბამისად გადიდა 209,8 ათას ტონიდან 392,8 ათას ტონამდე ანუ 89%-ით.

ბოსტნეულის სახელმწიფო შესყიდვა 1972 წ. თუ რესპუბლიკაში უდრიდა სულ — 155,6 ათას ტონას, 1975 წ. მან 215 ათასი ტონა შეადგინა, ხოლო 1980 წელს 324,6 ათასი ტონა ე. ი. 1972 წ. შედარებით გადიდა 2-ჯერ და მეტად. კარტოფილისა კი ამავე პერიოდში გაიზარდა 67,9 ათასი ტონიდან 172,4 ათას ტონამდე ანუ 2,5-ჯერ და მეტად. დამახასიათებელია, რომ ბოსტნეულის სახელმწიფო შესყიდვაში საზოგადოებრივი სექტორების ხვედრითი გაიზარდა 40%-დან 1972 წ. 77%-მდე 1980 წელს. კარტოფილისა კი პირიქით შემცირდა 83,8 პროცენტიდან 82 პროცენტამდე. მაგრამ საერთო ჯამში ბოსტნეულ-კარტოფილის შესყიდვაში 1980 წ. გაბატონებული ადგილი დაიკავა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა.

დიდი ამოცანები დაისახა მებოსტნეობის შემდგომი განვითარების საქმეში XI ხუთწლეულში. დაისახა ამოცანა რათა შექმნილიყო რესპუბლიკაში ახალი სპეციალიზებული მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობები, მომხდარიყო მიცემული დარგის სპეციალიზაციისა და განლაგების გაღრმავება მეცნიერულად დასაბუთების საფუძველზე.

ამ მიზნით, 1981 წელს რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი — ხილ-ბოსტნეულის სამინისტრო, რომელმაც მოკლე პერიოდის განმავლობაში ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაო — მებოსტნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. შემდეგ კი ჩამოყალიბდა სახელმწიფო აგროსამრეწველო კომპლექსი, რომელიც შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ჩაისა და ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტების, ხილ-ბოსტნეულის მეურნეობების, ხორცისა და რძის მრეწველობის, კვების მრეწველობისა და სოფლის მშენებლობის სამინისტროების ქვედანაყოფების ბაზაზე. მასვე გადაეცა ცალკეული საწარმოო ერთეულები სხვა სამინისტროებიდან. მისი ჩამოყალიბების ძირითადი პრინ-

ციბი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და გადამამუშავებელ სამრეწველო საწარმოების ოპტიმალური ინტეგრაცია, მათ ურთიერთდამოკიდებულებაში (დაგეგმარება, დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა) არსებული პარალელიზმის ლიკვიდაციას, რომ მიწას მხოლოდ ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს. „თამამად შეიძლება ითქვას, — ამბობს ამხ. ჯ. პატიაშვილი, რომ გასული ხუთწლედი გახდა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ახალი ფორმების თავისებური გამოცდა. აგროსამრეწველო გაერთიანებები შეიქმნა რესპუბლიკის ყველა რაიონში“⁴.

რესპუბლიკის სასურსათო ბალანსში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მეკარტოფილეობა და მემოსტნეობა. ბოლო წლებში ამ დარგების მუშაკები წარმატებით ართმევენ თავს დამზადების გეგმებს⁵.

თუ 1980 წ. ბოსტნეულის საჰექტარო მოსავლიანობა რესპუბლიკაში მეურნეობის ყველა კატეგორიის მიხედვით შეადგენდა 135 ცენტნერს, ხოლო მთლიანი მოსავალი 544,8 ათას ტონას, 1985 წ. მისი საჰექტარო მოსავალი გაიზარდა 149 ცენტნერამდე, ხოლო მთლიანი მოსავალი 613,8 ათას ტონამდე. ბოსტნეულის სახელმწიფო დამზადება კი შესაბამისად გაიზარდა 324,6 ათასი ტონიდან 604 ათას ტონამდე, კარტოფილისა კი 172,4 ათასი ტონიდან 394 ათას ტონამდე.

1983 წ. 26 ივლისს საქართველოს კომპარტიის ც. კ.-მა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და სამომხმარებლო კოპერაციის ორგანიზაციების მიერ საკოლმეურნეო ბაზრებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის გაფართოებისათვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, რომლის საფუძველზე განხორციელებული იქნა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები. კერძოდ, საკოლმეურნეო ბაზრების რესპუბლიკურმა სამმართველომ 1983-1985 წლებში რესპუბლიკის 13 საკოლმეურნეო ბაზარში ააშენა და მოაწყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სარეალიზაციო მაღაზიები. (ახმეტის, წითელწყაროს, გურჯაანის, რუსთავის, წყალტუბოს, ბორჯომის, თელავის, ჩოხატაურის, საგარეჯოს, ქუთაისის და სხვა რაიონებში). მაგრამ მათი მუშაობა არ დგას ჯეროვან სიმაღლეზე. კერძოდ, ეს მაღაზიები, გარდა გურჯაანის, წყალტუბოსა და ქუთაისისა, არ არიან მიმავრებული კოლმეურნეობებზე და საბჭოთა მეურნეობებზე, რათა მათ უზრუნველყონ წლის ყველა დროს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით და პირველ რიგში ბოსტნეულით.

მართალია საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სპეკულაციასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წ. 21 აგვისტოს დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ხელშეკრულებების დროულ გაფორმებას საკოლმეურნეო ბაზრებთან, მაგრამ, „ისინი სანახევროდაც არ სრულდება, ვინაიდან ხელშეკრულებებს არა აქვს მინიჭებული იურიდიული ძალა“.

⁴ ჯ. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ც. კ.-ის ანგარიში, საქართველოს 5 იქვე, გვ. 27.

⁶ ა. წილოსანი, ხელი შეუწყობ მყიდველსაც და გამყიდველსაც, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1986, 23 აპრილი.

გათვალისწინებულა, რომ საკოლმეურნეო ბაზრების რესპუბლიკურმა სამმართველომ, მარტო 1986-1988 წლებში თავისი სახსრებით ააშენოს საკოლმეურნეო ბაზრებში ახალი მაღაზიები მ. შ. 4 მაღაზია ქ. თბილისში, რომლებიც უზრუნველყოფენ უწყვეტად მოსახლეობის მომარაგებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

ამყამად რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებზე ზემოქმედების მიზნით ფუნქციონირებს 15 ბაზარში სავაჭრო მომსახურების ბიურო, რომელიც გარკვეულ მუშაობას აწარმოებს ამ მიმართულებით. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ მათი „მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ძალზე სუსტია და ვერ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს⁷.

1985 წელს კარგად იყო მოწყობილი რესპუბლიკის დედაქალაქსა და მსხვილ სამრეწველო ქალაქებში ყოველკვირეული ბაზრობა, რომლის ინიციატორი იყო საქართველოს ხილ-ბოსტნეულის სამინისტრო, სადაც იყიდებოდა იაფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რაც დადებით გავლენას ახდენდა საბაზრო ფასების შემცირებაზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბოსტნეულსაცავეების მშენებლობის საკითხებს, რადგან რესპუბლიკაში არსებული საცავეების რაოდენობა ერთობ მცირეა, ხოლო რაც არსებობს ისინი მოითხოვენ მკვეთრ რეკონსტრუქციას და მათი ტევადობის გადიდებას. მარტო აფხაზეთის ასრ მაგალითის მოყვანა ცი საკმარისია ამის დასადასტურებლად. თუ 1985 წელს ქ. სოხუმისათვის გათვალისწინებული იყო ხანგრძლივი შენახვისათვის 2 800 ტონა კარტოფილის საცავი, ფაქტიურად მათ ჰქონდათ მხოლოდ 450 ტონის ტევადობის მაიცირიანი საცავი. ბოსტნეულის ხანგრძლივი შენახვისათვის ჰქონდათ მხოლოდ 1650 ტონის ტევადობის საცავი, უნდა შეენახათ კი 2 700 ტონა. ამასთან 64 სავაჭრო ობიექტიდან მხოლოდ 5 მაღაზია იყო სათანადოდ მოწყობილი. სახარბიელო მდგომარეობა არც რესპუბლიკის სხვა რაიონებისა და ქალაქების სავაჭროებში, საკოლმეურნეო ბაზრებშია შექმნილი⁸.

მართალია, საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ხილ-ბოსტნეული პროდუქციისა და კარტოფილის წარმოებისა და გადამუშავების მთავარმა სამმართველომ უკვე მოკიდა ხელი ამ საქმის ჯეროვან სიმალღეზე დაყენებას, მაგრამ პრაქტიკულად ჯერჯერობით ერთობ ნაკლები სამუშაო იქნა ჩატარებული.

ამ სამმართველოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანებში საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი იქნა გადადგმული ქალაქის მოსახლეობის ბოსტნეულით დროულად მომარაგების საქმეში. როგორც ამ სამმართველოს უფროსი (იგივე საქ. სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილე) ამხ. გ. ყიფიანი გაზ. „სოფლის ცხოვრებაში“ (1986 წ. 10 აპრილი) წერდა: „ამ ბოლო ხანებში საგრძობლად გაიზარდა თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, სხვა ქალაქების სამრეწველო ცენტრების და კურორტების მომარაგება სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, გაფართოვდა მისი ასორტიმენტი, ამაღლდა ხარისხი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წელს სამ თვეში 25%-ით მეტი ხილ-ბოსტნეული და კარტოფილი მიეყიდა თბილისის მოსახლეობას. მაგრამ მო-

⁷ იქვე.

⁸ ა. ფუხაევი, ბოსტნეულ საცავი უბოსტნეულოდ... გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1986, 9 აპრილი.

სახლეობის ერთი ნაწილი მაინც საკოლმეურნეო ბაზარზე და მოკიდებული და მიუხედავად მაღალი ფასებისა, არჩევს ბაზარში შეისყიდოს იმავე სახის პროდუქტებიც კი, რაც მაღაზიებში იყიდება გაცილებით უფრო იაფად. ამას ბევრი მიზეზი აქვს. მაგრამ მთავარი და ძირითადი მიზეზი მაინც ერთია, კერძოდ ის, რომ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ცალკეული პროდუქტების წარმოების დონე ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩება მოთხოვნილებას“. მართალია საზოგადოებრივ მეურნეობებში წლითიწლობით იზრდება ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება, მაგრამ პირად მეურნეობებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკების ერთმა ნაწილმა ზურგი შეაქცია ბოსტნეულის მოყვანას და ხელი მიჰყო უფრო სარფიანი პროდუქტების (საზამთრო, საადრეო კიტრი, ყვავილების და სხვა) წარმოებას. ისიც აღსანიშნავია, რომ სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი თვითონ ყიდულობს ქალაქში ბოსტნეულს ქალაქის მაღაზიებში და სოფელში მიაქვს. „საქმე ისე წავიდა, — განაგრძობს ამხ. გ. ყიფიანი — რომ სოფლელი კაცი თვითონ გახდა მომხმარებელი, შეეცილა ქ. თბილისისა და სხვა ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობას, რის გამო ამ პროდუქტებზე საკოლმეურნეო წარმოებაში ფასები თითქმის ყოველთვის მაღალია“. გარდა ამისა, სახელმწიფო მაღაზიებსა და კოოპერაციული ვაჭრობის („ცეკავშირი“) ობიექტებში ბოსტნეულისა და კარტოფილის ასორტიმენტი და მისი ხარისხი აშკარად ჩამორჩება საკოლმეურნეო ბაზარში გამოტანილი პროდუქტების შესაბამის მაჩვენებელს, „სწორად ადგილი აქვს წონაში მოტყუებას, მომხმარებლისადმი უსულგულო და მოკიდებულებას“.

როგორც ცნობილია სკკპ ც. კ.-მა და სსრკ მინისტრთა საბჭომ უკანასკნელ ხანებში მიიღეს ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილებები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ცნობილია, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ, ქ. ასტრახანის სარწყავი მებოსტნეობისა და მებაღეობის საკავშირო ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეიმუშავეს პამიდორისა და სხვა ბოსტნეულის მოყვანის პროგრესიული ტექნოლოგია, რომელიც სწრაფად გავრცელდა აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში და მოინათლა როგორც — ასტრახანული ტექნოლოგია.

იგი ეყრდნობა მიწათმოქმედების ისეთ სისტემას, რომლის აუცილებელი მოთხოვნაა ყველა სამუშაო პროცესის შესრულების დროს ზუსტად გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. იგი თითქმის მთლიანად ამოორიციხავს პამიდორის მოვლა-პატრონობის დროს ხელის შრომას. ამასთან, ეს „ასტრახანული ტექნოლოგია — წერს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის აგროსამრეწველო გაერთიანებათა მთავარი სამმართველოს უფროსი ს. რუხაძე დიდად პერსპექტიულია, არა მარტო პამიდორის და სხვა ბოსტნეულის, არამედ მთელი რიგი ერთწლიანი კულტურების საწარმოებლად. გარდა ამისა, ამ ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვა გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში, სადაც პამიდორის მთლიანი წარმოებიდან 90-100 ათასი ტონა მრეწველობაში უნდა გადაამუშავდეს, დაკავშირებული იქნება საკონსერვო ქარხნებში საკმაოდ დიდი

მოცულობის ბუნებების მოწყობასთან, რაც ახლავე უნდა გავითვალისწინოთ⁹.

საჭიროა ფართოდ დაინერგოს ეს ტექნოლოგია რესპუბლიკის მეგობრების ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში.

„ჩვენ ამბობდა ამხ. ე. შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის XXVI პლენუმზე — მეტორმეტე ხუთწლედისათვის უნდა შევიმუშაოთ ზუსტი სტრატეგია, ამასთან კვლავინდებურად ვზარდოთ რესპუბლიკის წვლილი სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ქვეყნის უზრუნველყოფაში, რისთვისაც კიდევ უფრო უნდა გავადიდოთ ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, ხილის, ბოსტნეულის, საადრეო კარტოფილის, თამბაქოს და საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის სხვა პროდუქტების წარმოება“¹⁰.

Г. А. СТЕПАНИШВИЛИ

ВОПРОСЫ РАЗВИТИЯ ОВОЩЕВОДСТВА В РЕСПУБЛИКИ

Резюме

В работе освещены вопросы развития овощеводства в Грузинской ССР за 1970—1985 гг. Этот период действительно оказался новым этапом развития всего сельского хозяйства республики и, в том числе, овощеводства.

Подчеркивается, что в этот период был проведен ряд конкретных мероприятий по преодолению существенных недостатков в развитии данной отрасли. Отмечено, что в IX—X и XI пятилетках особенно возрос темп производства овощей и картофеля в общественных хозяйствах (в колхозах, совхозах и агропромышленных предприятиях). Хотя за последние годы площадь, занятая под овощи, увеличилась незначительно, заметно повисилась урожайность, валовой сбор и заготовки продукции.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საშრობის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის გამოცდილებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ

⁹ ს. რუხაძე, აი ეს არის მიწათმოქმედების კულტურა, გაზ. „კომუნისტი“, 6 მაისი 1986 წ.

¹⁰ ე. შევარდნაძე, გაზ. „კომუნისტი“, 1985, 21 მაისი.

თაგა ჯოლოსა

წარმოების დრო, მისი არსი და სტრუქტურა

პარტიის XXVII ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, დროის ყოველი წუთის ეფექტურ გამოყენებას, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ყოველმხრივი გამოყენების საფუძველზე. დროის დანახარჯები საზოგადოებრივი წარმოების პროცესში თავის განმაზოგადოებელ გამოხატულებას პოულობს წარმოების დროის კატეგორიაში; ამ კატეგორიასთან მჭიდროდა დაკავშირებული საბრუნავი საშუალებების ბრუნვის დაჩქარება, შრომის დანაკარგების, ახალი სახეობის პროდუქციის ათვისების ვადების შემცირება და საერთოდ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. როგორც ვ. ჩემიხინი აღნიშნავს: „წარმოების დროის მაჩვენებლები — სოციალისტურ საწარმოთა მუშაობის თვისობრივი მაჩვენებლებია... ისინი უდიდესი სისრულით გამოხატავენ საწარმოს მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენების მაჩვენებელს“¹. მუხედავად ამისა, სოციალიზმის პოლიტეკონომიის კატეგორიათა სისტემაში იგი ჯერ კიდევ არასაკმარისადაა გამოკვლეული. პოლიტიკური ეკონომიის თითქმის ყველა სახელმძღვანელოში წარმოების დრო, სამწუხაროდ, განხილულია ძლიერ მოკლედ, თუმცა ეს სრულიადაც არ არის მეორეხარისხოვანი პრობლემა და მისი უგულვებელყოფა, მით უმეტეს ახლა, როდესაც პარტიის XXVII ყრილობამ დასახა დიდი ამოცანები საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზაზე, ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს. წარმოების დროის ეკონომიკური კატეგორიის კვლევის უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური საფუძვლები კ. მარქსის „კაპიტალის“ მეორე ტომში ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებებია. საბჭოთა ეკონომისტებიდან ამ კატეგორიის კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვის ვ. პრუდენსკის და ვ. ჩემიხინს².

როგორც ცნობილია, სოციალისტური საზოგადოების წარმოებრივი ფონდები მუდმივ მოძრაობა-განვითარებაში იმყოფებიან, რბომის დროსაც ისინი თანამიმდევრულად გაივლიან წარმოებისა და მიმოქცევის ორ სტადიას. საზოგადოებრივი დროის იმ ხანგრძლივობას, როდესაც წარმოებრივი ფონდები წარმოების სფეროში იმყოფებიან, წარმოების დრო ეწოდება. წარმოებრივი ფონდების წარმოებაში ყოფნის დრო კი წარმოგვიდგება, როგორც ერთიანობა ორი, წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხველი მხარისა, წარმოების აქტიური და პასიური დროისა. ერთიანის გაორებას მის წინააღმდეგობრივ ელემენტ-

¹ Чемыхин В. А. Методологические основы исследования закона экономии времени при социализме Воронеж, 1984 с. 125.

² Пруденский Г. А., Время и труд, Изд-во „Мысль“ М., 1964. В. А. Чемыхин. Методологические основы исследования закона экономии времени при социализме, Воронеж, 1984.

ტებად საფუძვლად უდევს დროის ამ ნაწილების დამოკიდებულება სახმარი ღირებულებისადმი ე. ი. ის, თუ რა როლს თამაშობს თითოეული სახმარი ღირებულების შექმნაში. წარმოების საერთო დროის იმ ნაწილს, როცა წარმოებრივი ფონდები წარმოების აქტიურ პროცესში იმყოფება, პროცესში, რომლის დროსაც იქმნება სახმარი ღირებულება, წარმოების აქტიური დრო ეწოდება.

წარმოების აქტიური დრო შეიძლება ორგვარი თვალსაზრისით განვიხილოთ: როგორც ინდივიდუალური წარმოების დრო და საზოგადოებრივად აუცილებელი წარმოების დრო. ინდივიდუალური წარმოების დრო — ერთეულია, ხოლო საზოგადოებრივად აუცილებელი წარმოების დრო — ზოგადი. ინდივიდუალური წარმოების დრო არ არსებობს იმ კავშირის გარეშე, რომელსაც უშუალოდ საზოგადოებრივად აუცილებელი წარმოების დროსაკენ მივყავართ. სწორედ, ამიტომ ყოველი საწარმოო გაერთიანება მიისწრაფვის იმისაკენ რომ, შეამციროს ინდივიდუალური დრო, რასაც აღწევს საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა მზარდი მასის შესაბამისად, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საფუძვლებზე შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, წარმოების აქტიურ დროში შრომითი პროცესების ხვედრითი წილის ამაღლებით. ამცირებს რა ინდივიდუალური წარმოების დროს, ამით ის ამცირებს საზოგადოებრივად აუცილებელი წარმოების დროსაც. ამრიგად, საზოგადოებრივად აუცილებელი წარმოების დროც არ არსებობს ინდივიდუალური წარმოების დროის გარეშე. საზოგადოებრივად აუცილებელი წარმოების დროის შემცირება ზრდის წარმოებული პროდუქტის მასას, ამცირებს მის ღირებულებას, რაც საზოგადოების კეთილდღეობის შემდგომი ზრდის აუცილებელი პირობაა. იმისათვის რათა გავერკვეთ თუ როგორ წარმოებს ეს შემცირება, საჭიროა დაწვრილებით დავახასიათოთ წარმოების აქტიური დრო (ე. ი. დრო რომელიც საჭიროა ამა თუ იმ სახმარი ღირებულების საწარმოებად). როდესაც კ. მარქსი წერდა: „სამუშაო დრო ყოველთვის წარმოების დროა“³, მას სწორედ წარმოების აქტიური დრო ჰქონდა მხედველობაში. სამუშაო პერიოდი შედის აქტიურ დროში, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დაიცავნება პირველზე, რადგან თვით წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე თვით წარმოების პროცესი განაპირობებს შრომის პროცესის იმ შეწყვეტას, რომლის განმავლობაშიაც „...შრომის საგანი იუნების მეტნაკლებ პროცესებს ექვემდებარება, როცა მან ფიზიკური, ქიმიური, ფიზიოლოგიური ცვლილებები უნდა განიცადოს, რომლის განმავლობაშიც შრომის პროცესი სავსებით, ან ნაწილობრივ შეჩერებულია“⁴. ამრიგად, წარმოების აქტიური დრო წარმოვიდგება ორნაირად: როგორც წარმოებრივი ფონდების შრომის პროცესში ყოფნის დრო და როგორც დაუმთავრებელ პროდუქტზე ბუნებრივ პროცესთა ზემოქმედების დრო. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე. შრომის პროცესში ყოფნის დრო ორი შინაგანი, წინააღმდეგობრივი დროითი ნაწილების მწარმოებელური იმუშაობის დროის და სამუშაო პერიოდის ერთიანობას წარმოადგენს. ამ დაყოფას საფუძვლად უდევს ამ საკითხის კვლევის მარქსისტული მეთოდოლოგია, რომელიც შრომის პროცესის პერიოდს განიხილავდა, ორგვარი თვალ-

³ კ. მარქსი, კაპიტალი ტ. 2, სახელგამი, 1957 წ., გვ. 297.

⁴ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 2, სახელგამი, 1957 წ., გვ. 297.

საზრისით: დასაქმებულ მუშებთან დამოკიდებულებაში (მწარმოებლური მუშაობის დრო⁶) და შრომის პროდუქტის მიმართ (სამუშაო პერიოდ⁷. მაგ., თუკი ავიღებთ რაიმე პროდუქტს, რომლის დამზადებაც ღირს 10 სამუშაო დღე, მწარმოებლებთან დამოკიდებულებაში ეს დრო წარმოგვიდგება 10 ერთიმეორის მომდევნო 7 საათად, დისკრეტულ სიდიდედ, ხოლო პროდუქტის მიმართ წარმოადგენს 70 საათის შემცველ ერთ სამუშაო დღეს, წარმოების ერთ მთლიან აქტს. სამუშაო დღე წარმოგვიდგება დროის იმ ხანგრძლივობად, რომლის განმავლობაშიაც მწარმოებლები თავის სამუშაო ძალას ყოველდღიურად ხარჯავენ⁷. სამუშაო დღეების იმ რაოდენობას, რომელსაც საჭიროებს ამა თუ იმ სახმარი-ღირებულების წარმოება სამუშაო პერიოდი ეწოდება. მისი ხანგრძლივობა ყველასხვა თანაბარ პირობებში დამოკიდებულია, როგორც საგნის წარმოების თავისებურებებზე, ასევე მისაღწევ საზოგადოებრივ ეფექტზე. მწარმოებელური მუშაობის დრო კი ეწოდება დროის იმ ხანგრძლივობას, როდესაც მუშაკები მწარმოებლურად შრომობენ, დამოუკიდებლად იმისა თუ როგორია მისაღწევი კონკრეტული ეფექტი, სახმარი ღირებულების ესა თუ ის კონკრეტული ფორმა. ის მოიცავს პერიოდებს: სამუშაო დღეს, კვირას, წელიწადს, ადამიანის მთელი შრომითი ცხოვრების ხანგრძლივობას და სხვ., მისი სიდიდე დამოკიდებულია მთელ რიგ სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე, საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების საზოგადოებრივად მიღწეულ დონეზე, რომელიც თავის მხრივ ზემოქმედებს სამუშაო პერიოდზე — ამცირებს მას, ზრდის წარმოებული პროდუქციის მასას, და აუმჯობესებს საზოგადოების ცხოვრების პირობებს, ეს კი ზრდის ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობას და შესაბამისად, შრომითი ცხოვრების ხანგრძლივობას. მაგრამ არც მწარმოებლური მუშაობის დროა გულგრილი სამუშაო პერიოდისადმი. საზოგადოება, უპირატესად მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ფართო გამოყენების გზით, ამაღლებს შრომის მწარმოებლურობას, რომელიც ერთის მხრივ ამცირებს, როგორც მწარმოებლური მუშაობის დროს⁸, ასევე სამუშაო პერიოდს, მაგრამ მეორეს მხრივ აუმჯობესებს რა ადამიანის ცხოვრების პირობებს, ზრდის შრომითი ცხოვრების ხანგრძლივობას. ამრიგად, მწარმოებლური

⁵ ახასიათებდა რა სამუშაო დროის ფონდს (გეგმიურს, ფაქტიურს) გ. პრუდენსკი სრულად მართებულად გამოყოფდა ორ დროით ნაწილს: 1. მწარმოებლური მუშაობის დროს და 2. მუშაობაში შესვენებების დროს. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ არის აქ ჩვენი განხილვის საგანი. მას ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ (Г. А. Пруденский „Время и труд“, 1964. с. 28).

⁶ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 2, 1957, სახელგამი, გვ. 286.

⁷ წარმოების საერთო დროის განსაზღვრა აქტიურ და პასიურ ნაწილებად, რა თქმა უნდა ეხება არა მხოლოდ წარმოების დროს, არამედ მის სხვადასხვა განსაზღვრულობასაც. ეს მომენტი აქ მთავარია. სამუშაო დღე აქ აღებულია აქტიური აზრით, მასში არ შედის სამუშაო დროის დანაკარგები (პასიური დღე), რომელსაც ჩვენ ჯერ კიდევ არ განვიხილავთ. სამუშაო დღე კი საერთოდ, როგორც საყოველთაოობა, როგორც არსება წარმოადგენს დღის იმ ხანგრძლივობას, როდესაც მწარმოებელი იმყოფება წარმოების პროცესში.

⁸ როგორც რ. ორლოვი შენიშნავს 46 საათიანიდან 41 საათიან სამუშაო კვირაზე გადასვლისათვის (კვირეული გამომუშავების შენარჩუნებით) საჭიროა საათობრივი გამომუშავების ამაღლება 11,2%-ით, 41 საათიანიდან 35 საათიანზე გადასვლისას 17,1%-ით (Р. Орлов Рабочее время в условиях совершенствования развитого социализма, „Экономические науки“, 1985. № 10. с. 41).

მუშაობის დრო არ არსებობს სამუშაო პერიოდის გარეშე, ისევე, როგორც, სამუშაო პერიოდი არ არსებობს მწარმოებლური მუშაობის დროის გარეშე. შრომის პროცესის ამ ორი მხარის დიალექტიკურ კავშირზე მიუთითებს ასევე ის რომ: მწარმოებლური მუშაობის განსაზღვრული დრო (მაგ., თუკი ადამიანის შრომითი ცხოვრების ხანგრძლივობას ავიღებთ), მოიცავს სამუშაო პერიოდების გარკვეულ რაოდენობას, საიდანაც ჩანს, რომ მწარმოებლური შრომის უწყვეტობა სხვა არაფერია თუ არა დისკრეტობა — სამუშაო პერიოდების განსაზღვრული ერთობლიობა. ამიტომ, გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ მწარმოებლური მუშაობის დრო სამუშაო პერიოდია, ხოლო სამუშაო პერიოდი — მწარმოებლური მუშაობის დრო, რადგან სამუშაო პერიოდი აზრით სხვა არაფერია თუ არა მწარმოებლური მუშაობის დროის დისკრეტობის ერთობლიობა, რომელიც (მაგ., გემის წარმოებაში) წარმოგვიდგება უწყვეტობად. მათი იგივეობა, ვერ სპობს მათ შორის არსებულ შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც მათი არსებიდან გამომდინარეობს და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მწარმოებლური მუშაობის დრო და სამუშაო პერიოდი, როგორც შრომის პროცესის პერიოდი ორი არსებითად განსხვავებული განსაზღვრულობანი, ერთმანეთს უარყოფენ, ერთიანობა კი იმაშია, რომ ისინი ამ ურთიერთუარყოფით არა მხოლოდ ერთმანეთის არსებობას განსაზღვრავენ, არამედ მათს ერთიანობას — შრომის პროცესის პერიოდს როგორც ერთს, საყოველთაოს ადგენენ, როგორც ცნობილია, კ. მარქსი სამუშაო პერიოდს, უშუალოდ, გამოპყოფდა წარმოების საერთო დროიდან, ღირებულების წარმოქმნასთან დაკავშირებით რაც უფრო დიდია სამუშაო პერიოდი, მით უფრო ნაკლებია შექმნილი მატერიალური დოვალით, მით უფრო მეტია პროდუქტის ღირებულება და პირიქით. სამუშაო პერიოდი ვანუწყვეტლივ იცვლება დროსა და სივრცეში, სხვადასხვა ხანგრძლივობისაა არ მხოლოდ წარმოების სხვადასხვა დარგებში, არამედ ერთსა და იმავე დარგშიც. ასე მაგ., „ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლი უფრო მოკლე დროში აშენდება, ვიდრე უფრო მოზრდილი ფაბრიკა“⁹. ამიტომ სავესებით ბუნებრივია, ყველა სხვა თანაბარ პირობებში წარმოების ორი დარგიდან, უფრო მეტი შრომა იხარჯება იქ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მათი უკუგების გარეშე, სადაც სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობა უფრო დიდია. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე პირობებში მეცნიერულ ტექნიკური რევოლუციის მიღწევების უსწრაფესი რეალიზაცია, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფა, მოკლედ, ციკლის — „მეცნიერება-წარმოება-დანერგვა“, პროცესების დაჩქარება, რაც ამცირებს სამუშაო პერიოდს ურთიერთდაკავშირებული შრომითი აქტების შემცირებით, ზოგავს მასალებს, ამცირებს პროდუქციის შრომატევადობას. ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით გაითქვა სახელი ლენინგრადის ელექტრო-მოწყობილობების საწარმოო გაერთიანებამ „სვეტლანამ“, რომელმაც ვაკუუმური მოწყობილობის სპილენძის დეტალების გაგლინვით უზრუნველჰყო არა მხოლოდ ამ დეტალების რთული პროფილის ჩამოყალიბება, არამედ მათთვის აუცილებელი ვაკუუმური სიმკვრივეც, შესაძლებელი გახდა ოპერაციათა საერთო ციკლიდან გამოკვერვის ოპერაციის გამორიცხვა. წლიურმა ეკონომიკურმა ეფექტმა მიადწნა 80 ათას მანეთს, დაიზოგა 80 ტონა სპილენძი¹⁰. პარტიის XXVII ყრილობაზე, რომელიც მძაფრი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში მიმდი-

⁹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 2, სახელგამი, 1957 წ., გვ. 285.

¹⁰ Ю. С. Васильев, Н. К. Михайлов, В. М. Николаев Вуз — научно-техническому прогрессу, М., 1985, с. 23.

ნარეობდა, აღინიშნა ის ძირითადი ნაკლოვანებები, რომელმაც თავი იჩინა ქვეყნის ეკონომიკაში, კერძოდ, იმაში რომ, დროულად არ მოხდა გადასვლა ექსტენსიურიდან ინტენსიური განვითარების გზაზე; რის შედეგადაც გაუარესდა საწარმოთა საქმიანობის თვისობრივი მაჩვენებლები, მნიშვნელოვნად შენედა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები. როგორც ა. გლუხოვი აღნიშნავს, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი საბჭოთა კავშირში ომის წლებში იყო 6,75%, მაშინ, როდესაც მან 1970—1983 წწ. შეადგინა 3,75%. აშშ-ს მრეწველობაში ნამატის საშუალო ტემპები შენარჩუნებულია 2,4—2,5%. რათა გადავაჭარბოთ აშშ-ს უახლოეს 15 წელიწადში, შრომის ნაყოფიერების საშუალო წლიური ზრდა სსრკ მრეწველობაში უნდა გახდეს არანაკლებ 6,7%.¹¹ პარტიის XXVII ყრილობამ, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის ბუნებიდან გამომდინარე, გაითვალისწინა რა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის და ეკონომიკაში არსებული ნაკლოვანებების დაძლევის აუცილებლობა, ასევე მსოფლიოში შექმნილი საგარეო პოლიტიკური ვითარება, დასახა შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერების ამაღლების ამოცანა 20—23%, მათ შორის მრეწველობაში 23—25%.¹² რასაკვირველია ამ მასშტაბური ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ უახლესი ტექნიკის ბაზაზე, რომელიც არა მხოლოდ შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს, არამედ რიგი პარამეტრების მიხედვით კიდევაც უსწრებს წინ მათ. ისეთი პროდუქციის წარმოება რომელიც არ შეესაბამება საზოგადოების მოწინავე მოთხოვნილებებს სხვადასხვა ვაგუნის ახდენს სხვადასხვა სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობის პროდუქტზე. თუკი წარმოების აქტი მოკლეა, ვთქვათ, პურის ცხობა, მაშინ პროდუქტი, რომელიც არ შეესაბამება საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს, შეიძლება უკეთეს შემთხვევაში, ოპერატიულად შეიცვალოს უმოკლეს ვადაში საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შესაბამისი პროდუქტით, მეორეს მხრივ, წარმოებაში, რომელშიაც წარმოების აქტი ხანგრძლივია, ვთქვათ გემთმშენებლობაში და რომელიც ბუნებრივია უფრო მეტი განივთებული და ცოცხალი შრომის დანახარჯებს საჭიროებს, მიუხედავად მიღებული ზომებისა, ზარალი მაინც უფრო დიდი იქნება: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არ მოხდება დახარჯული სახსრების უკუმოდინება და მეორეც საგნის ბუნებიდან გამომდინარე ძირითადი და საბრუნავი ფონდების, ასევე ცოცხალი შრომის დანახარჯები აქ უფრო დიდია. როგორც არ უნდა იყოს წარმოების აქტის ხანგრძლივობა, ზარალი ორივე შემთხვევაში უფრო დიდია ვიდრე შეიძლება მოგვეჩვენოს. საზოგადოებისათვის მიყენებული ზარალი აქ ჩვენის აზრით შემდეგი ხასიათისაა: 1. წარმოება მომხმარებელს აწვდის ნივთს, რომელზედაც ფაქტიურად არ არის მოთხოვნილება. შესაბამისად საქონელი არ იყიდება და თუ საქონელი მაინც იწარმოება, მასში საზოგადოებისათვის მიყენებული ზარალი ძალზე დიდია, რომ არაფერი ვთქვათ მორალურ ზარალზე, რომელსაც იგი საზოგადოებას აყენებს. 2. ვინაიდან საგანი, რომელიც არ შეესაბამება მოთხოვნილებებს უკვე წარმოებულია, ხოლო ამავე სახეობის საუკეთესო ეგზემპლარზე მოთხოვნილება დიდია, ეს წარმოშობს ერთგვარ დეფიციტს, ხელს უწყობს სპეკულაციას. 3. მდგომარეობის სწრაფი გამოსწორებისათვის საჭირო ხდება პროდუქციის ასორტიმენტის სწრა-

¹¹ А. Глухов, Производительность труда в условиях интенсификации социального производства, „Экономические науки“, 1985, № 10, с. 6.

¹² სკკ XXVII ყრილობის მასალები, — თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1986 წელი, 33. 430.

ფი განახლება, მისი მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც მთელი რიგი ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ხასიათის ცვლილებებთანაა დაკავშირებული და რაც ასევე გარკვეულ დროით დანახარჯებს მოითხოვს. ამ ზარალის უკან საერთოდ, მუდამ დგას გულგრილობა, კონსერვატიზმი, ვიწრო უწყებრივი ბარიერები და სხვა, სწორედ ესაა მიზეზი იმისა რომ „...იმ ობიექტების რიცხვიდან, რომელიც მეთერთმეტე ხუთწლედში გამოდის და სამინისტროების დასკვნების თანახმად შეესაბამება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონეს, 25 პროცენტი 10-12 წლის წინათ არის შემუშავებული“¹³. ეს არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო და სწორედ ამიტომ პარტიამ სწორად შეაფასა შექმნილი არახელსაყრელი ეკონომიკური სიტუაცია და დასახა მისი აღმოფხვრის გზები. ხდება წარმოების ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართოდ გამოყენება და გაშლა.

წარმოების აქტიური დროის მეორე შემადგენელი ნაწილია წარმოების დაუმთავრებელ პროდუქტზე ბუნებრივ პროცესთა შემოქმედების დრო; ესაა დროის ის ხანგრძლივობა, როდესაც შრომის საგანი განიცდის ქიმიური, ფიზიკური, ფიზიოლოგიური ხასიათის ცვლილებებს. ამ დროს შრომის პროცესი წყდება. ამასთან მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ „არა ყოველგვარი ბუნებრივი პროცესები შედიან წარმოების დროის შემადგენლობაში, არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც წინ უძღვის შრომის პროცესი“¹⁴. ამ პროცესში მიიღება გარკვეული, საზოგადოებრივი სასარგებლო ეფექტი, ან იცვლება სახმარი ღირებულების ფორმა (ღვინის დუღილი, ტორფის გაშრობა, სხმულის გაცივება და სხვ.). განსხვავებით შრომის პროცესების პერიოდისაგან ბუნებრივი პროცესების პერიოდში არ იქმნება სახმარი ღირებულება, ადგილი არა აქვს მწარმოებლური ფონდების ღირებულების მატებას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწარმოებლური ფონდების ერთი ნაწილი მანქანები, შენობები და სხვ. პროდუქტს მატებს ღირებულებას, თუმცა შესაქმნელ პროდუქტში არ შედის, რადგან „...როგორც მოქმედების ისე უმოქმედობის დროს კარგავს სახმარ ღირებულებას“¹⁵. ამიტომ თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, წარმოების აქტიური დროის ორივე შემადგენელი ნაწილის ეკონომია, ამასთან ისე რომ, წარმოების აქტიურ დროში გაიზარდოს შრომითი პროცესების ხვედრითი წილი, წარმოების აქტიური დროის ეს ორივე შემადგენელი ნაწილი შინაგან დიალექტიკურ კავშირში იმყოფება ერთმანეთთან, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი როგორც წინააღმდეგობის ნაწილები ერთიმეორეს გამსჭვალავენ, ერთმანეთს განაპირობებენ, განუწყვეტლივ გადადიან ერთიმეორეში, მაგრამ ამავე დროს, როგორც არსებითად განსხვავებულნი უარყოფენ რა ერთმანეთს, ამ ურთიერთუარყოფით ერთმანეთსაც ადგენენ. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ და მის საფუძველზე, ძირითადი ფონდების ზრდამ, თანამედროვე პირობებში შესაძლებელი გახადა ბუნებრივი პროცესების დაჩქარება, მისი შემოკლება, მისი მოქცევა შრომითი პროცესების პერიოდში მაგ., ხის მასალის გაშრობა და სხვ. თავის მხრივ შრომითი პროცესების პერიოდშიც

¹³ სკვპ XXVII ყრილობის მასალები, — თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1986 წელი, გვ. 376.

¹⁴ Е. С. Лазуткин, Е. Е. Лазуткина, Цена времени, „Московский рабочий“ 1980, с. 122.

¹⁵ კ. მარქსი, კაპიტალი ტ. 2, სახელგამი 1957 წ., გვ. 285.

ადგილი აქვს შრომითი პროცესების შეწყვეტას. თანამედროვე პირობებში წარმოების ავტომატიზაციის შედეგად შრომითი პროცესები დაიყვანება ტექნოლოგიურ მეთვალყურეობაზე, მხოლოდ ნაწილობრივ კონტროლზე, რაც დამახასიათებელია ელ-ქიმიური, ელექტროლიზური, სხივური მეთოდებისა და პლაზმური, ვაკუუმური, ელ-სხივური ტექნოლოგიური პროცესებისათვის, რომელიც ადამიანის უშუალო მონაწილეობის გარეშე ხორციელდება.

საზოგადოების მიერ მიღებული ეფექტი უფრო დიდი იქნება მაშინ, როდესაც წარმოების აქტიურ დროში სამუშაო პერიოდის შემცირებასთან ერთად უფრო სწრაფად შემცირდება ის პერიოდი, როდესაც შრომა არ ფუნქციონირებს.

ახლა დავახასიათოთ პასიური დრო. დროის იმ ხანგრძლივობას, როდესაც წარმოებრივი ფონდები არ იმყოფებიან წარმოების აქტიურ პროცესში და შესაბამისად, არ ქმნიან სახმარ ღირებულებას, პასიური დრო ეწოდება, სხვაგვარად, წარმოების პასიური დრო ესაა სხვაობა წარმოების საერთო დროსა და აქტიურ დროს შორის. იგი მოიცავს: 1. პაუზებს, განპირობებულს ადამიანის მიერ სამუშაო ძალის ხარჯვის მაქსიმალური საზღვრით, 2. პაუზებს, სამუშაო დროის დაწკარავებს, რომელიც განპირობებულია წარმოების (საამქრო, საერთო-საქარბნო) ორგანიზაციული, ტექნიკური და სხვა ნაკლოვანებებით და ასევე თვით მუშების მიზეზით.

სანამ წარმოებაში არსებულ, ზემოთ მოყვანილ პაუზებს შევეხებოდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ დრო, რომლის განმავლობაშიაც წარმოების საშუალებები არ მოქმედებენ, როგორც შრომის საშუალებები, როგორც არ უნდა იყოს ამის მიზეზი, იგი, საზოგადოებისათვის დაკარგული დროა. ჯერ ერთი, იმიტომ რომ დროის ამ მონაკვეთში არ ხდება ღირებულების მატება, მეორეც, იმიტომ რომ, საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარების თანამედროვე პირობებში წარმოების მოთხოვნილებები განუწყვეტლივ იცვლებიან — წარმოების საშუალებები მალე ძველდება. სწორედ, ამიტომ შესვენებები წარმოების პროცესში „...შეუთავსებელია თანამედროვე მსხვილი მრეწველობის წარმართვასთან. თვით ეს უწყვეტობა ერთგვარი მწარმოებლური ძალაა შრომისა“¹⁶.

ახლა გავარჩიოთ ის პაუზები, რომლისაგანც შედგება პასიური დრო; როგორც ცნობილია, ამა თუ იმ საზოგადოებაში ადამიანის სამუშაო ძალის ხარჯვას, მაშასადამე, სამუშაო ძალის ხარჯვა ამა თუ იმ საზოგადოებაში გააჩნია მაქსიმალური საზღვარი. ეს მაქსიმალური საზღვარი განისაზღვრება მუშახელის ადამიანის უნარის შრომის ფიზიკური ზღვრით. ადამიანს ყოველდღიურად შეუძლია ხარჯოს სასიცოცხლო ძალის მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა „...და ფიზიკური დანახარჯების ზომა, ქმნის ზომას, მისთვის ფიზიკურად შესაძლებელი სამუშაო დროისა“¹⁷, დღის ერთი ნაწილის განმავლობაში ძალამ უნდა დაისვენოს, იძინოს, მეორე ნაწილის განმავლობაში ადამიანმა უნდა დაიკმაყოფილოს სხვა ფიზიკური მოთხოვნილებანი — ისაზრდოს, დაიცვას სისუფთავე, შეიმოსოს და სხვა. გარდა ამ წმინდა ფიზიკური საზღვრებისა. სამუშაო დროის გავრძელება მორალურ საზღვრებსაც აწყდება. მუშა საჭიროებს დროს ინტე-

¹⁶ კ. მარქსი, კაპიტალი ტ. 2, სახელგამი 1957 წ., გვ. 350.

¹⁷ К. Маркс и Ф. Энгельс, соч., 16, с. 228.

ლექტურალურ და სოციალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად¹⁸, რომელიც დროსა და სივრცეში განუწყვეტლივ იცვლება და განისაზღვრება საზოგადოების განვითარების მიღწეული დონით. ხეშოთ ნათქვამიდან შეიძლება გავეთდეს დასკვნა, რომ საზოგადოებრივი ინდივიდის ეს ორი მხარე თავიანთ დროით განსაზღვრულობაში წარმოგვიდგებიან, როგორც სოციალური დრო, როგორც სამუშაო და არასამუშაო დრო. ყოველივე აქედან გამომდინარე ადგილი აქვს ერთგვარ წინააღმდეგობას, ერთის მხრივ წარმოებრივი ფონდების გამოყენების აუცილებლობასა (ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, დროის ამ მონაკვეთში არ იქმნება ღირებულება) და მეორეს მხრივ, სამუშაო ძალის ხარჯვის მაქსიმალურ ზღვარს შორის, რომელიც წყდება მანქანა-მოწყობილობების გამოყენების ცვლიანობის ამაღლების გზით. ეს მით უფრო ვადაუღებელი საქმეა, რადგან (მაგ., ციფრული პროგრამული მართვით აღჭურვილი ავტომატიზირებული მოწყობილობები), ტექნიკური საშუალებები საწარმოებს გაცილებით ძვირი უჯდება, ვიდრე ეს იყო ადრე. ამიტომ მიზანშეწონილი არაა მათი გამოყენება ტრადიციულ დროით რეჟიმში, რათა თავიდან ავიცილოთ მოწყობილობათა მორალური ცვეთა საჭიროა დავაჩქაროთ მისი ფიზიკური ცვეთა, ე. ი. უფრო ინტენსიურად გამოვიყენოთ ისინი, ვამუშაოთ ორ-სამ ცვლაში. ვინაიდან მუშაკების შერჩევა მეორე და მესამე ცვლაში რთულდება, ამიტომ მოუხერხებელ ცვლაში მომუშავეთა რიცხვის შემცირება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა არა მარტო ძირითადი, არამედ ყველა დამხმარე ოპერაციაც კი ავტომატიზირებული იქნება, „რობოტების გამოყენება — წერს აკად. ი. ფრანგიშვილი — ყველგან როდია ეფექტიანი. მათი დანერგვა საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, არა ცალკეულ სამუშაო ადგილებზე, არამედ, კომპლექსურად, მთლიანი ავტომატიზებული ხაზებისა და უბნების სახით. ამასთან მათ უნდა იმუშავონ არა ერთ, არამედ ორ და სამ ცვლაში“¹⁹.

რაც შეეხება წარმოებრივი ფონდების მეორე ნაწილს: ნედლეულს, მასალებს, მათი რაოდენობა დასამზადებელი პროდუქტის, ან მისაღწევი სასარგებლო ეფექტის სპეციფიკური ბუნებით განისაზღვრება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ნედლეულისა და მასალების განსაზღვრული მარაგის რაოდენობის ზუსტ დადგენას. რათა წარმოება არ იყოს დამოკიდებული მიწოდების შემთხვევითობაზე.

პასიური დროის მეორე ნაწილს, როგორც აღვნიშნეთ, შეადგენს სამუშაო დროის დანაკარგები, რომელიც ეწოდება დროის იმ ხანგრძლივობას, როდესაც წარმოების პროცესი წყდება მწარმოებლის ან წარმოების მიზნებით. ამ სახის დანაკარგებს მიეუთვლება დანაკარგები, მაგ., ნედლეულის, მასალების, ენერჯის არარიტმული მიწოდება, წუნდებული პროდუქტია, მოწყობილობის ავარია, მუშაკთა გაუმართლებელი გაცდენები, გამოუცხადებლობა ავადმყოფობის გამო და სხვა. რაც უფრო ნაკლებია დროის ამ პერიოდის ხანგრძლივობა მით უფრო დიდია საზოგადოების მიერ მიღწეული სასარგებლო ეფექტი. ამიტომ, ყოველი საზოგადოება და სოციალისტური კიდევ უფრო მეტად, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართო გამოყენებით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით, ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ეს დანაკარგები.

¹⁸ კ. მარქსი, კაპიტალი ტ. 1, სახელგამო 1954 წ., გვ. 294.

¹⁹ გაზეთი „კომუნისტი“, 17 აპრილი, 1985 წ., გვ. 3.

ამგვარად, როგორც ზემოთ დავინახეთ, წარმოების საერთო დრო წარმოადგენს, მრავალი სხვადასხვა განსაზღვრებების ერთობლიობას. რომელიც თავს იყრის, ამ საყოველთაობის ორი მხარის დროით გარკვეულობაში — აქტიურ და პასიურ დროში. წარმოების საერთო დრო, როგორც საყოველთაობა, არ დაიყვანება მათზე, არაა მათი სრული იგივეობრივი, ისევე როგორც ეს განსაზღვრებანი არ დაიყვანებიან წარმოების საერთო დროზე. მაგრამ ისინი ამ საყოველთაობის ნაწილებია და ამდენად, არ არსებობენ მისგან დამოუკიდებლად, ისევე როგორც წარმოების საერთო დრო როგორც ზოგადი, როგორც არსება, არ არსებობს მათგან დამოუკიდებლად. ამრიგად წარმოების დრო წარმოგვიდგება საყოველთაობად, აქტიური და პასიური დრო განსაკუთრებულობებად, ხოლო მათი შემადგენელი დროითი ნაწილები — ბუნებრივი პროცესების დრო, სამუშაო პერიოდი, სამუშაო დროის დანაკარგები და სხვა — ცალკეულობებად. ეს ნაწილები ერთიმეორეზე ურთიერთქმედებენ, ერთმანეთს განაპირობებენ, შინაგან წინააღმდეგობრივ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან, და ამდენად ვარკვეული აზრით, გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობაზე, რაც გამოიხატება იმაში რომ, რაც უფრო დიდია სამუშაო პერიოდის ხვედრითი წილი წარმოების აქტიურ დროში, ხოლო ამ აქტიური დროის წილი წარმოებს საერთო დროში (ე. ი. რაც უფრო ნაკლებია პასიური დრო), მით უფრო მეტი პროდუქტი იწარმოება, მით უფრო განვითარებულია საზოგადოება.

Т. Г. ДЖОЛОХАВА

ВРЕМЯ ПРОИЗВОДСТВА, ЕГО СУТЬ И СТРУКТУРА

Резюме

В настоящей статье рассматриваются теоретические аспекты категории „время производства“. Следует отметить, что рассматриваемый вопрос в Грузии мало исследован, отдельных работ по данной теме нет. В ней дается определение сущности времени производства и различных сторон ее. Время производства исследуется в активном и пассивном его значении. Методологической основой подобного членения является отношение этих временных категорий к образованию потребительных стоимостей. Вопрос рассматривается в свете решений XXVII съезда КПСС.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საზოგადოების ინსტიტუტის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ.

ჯონი ხეცურიანი

მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის კოდიფიკაციის ზოგიერთი საკითხი

სკკ XXVII ყრილობამ საბჭოთა საზოგადოებას დაუსახა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიული ამოცანა. მისი განხორციელების მთავარ საშუალებად, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნა ყრილობისადმი პოლიტიკურ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა, პარტიას მიაჩნია „სახალხო მეურნეობის ღრმა რეკონსტრუქცია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ავანგარდული მიმართულებებით წინ გაჭრის, სამეურნეო მექანიზმის, მართვის სისტემის გარდაქმნის ბაზაზე“¹.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავარ ფაქტორად გადაქცევა განსაკუთრებით აქტუალურს ხდის მის ყოველმხრივ, კომპლექსურ შესწავლას. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს საბჭოთა კანონმდებლობა, რომლის თეორიული გამოკვლევა და შემდგომი სრულყოფის გზების განსაზღვრა საბჭოთა იურიდიული მეცნიერების სადღესო ამოცანაა.

მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის განვითარება ჩვენს ქვეყანაში უშუალოდ არის გაპირობებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში თვისებრივი გარდაქმნებით. კერძოდ, ბოლო წლებში მეცნიერებისა და ტექნიკის სამართლებრივ რეგულირებაში მომხდარი არსებითი ცვლილებანი პირდაპირ უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, როდესაც მეცნიერება უშუალო საწარმოო ძალად გადაიქცა და სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში ახალი ეტაპი დადგა.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე პერიოდისათვის დამახასიათებელია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სფეროში აღმოცენებულ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების გაღრმავების პროცესი. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის, დაგეგმვის, დაფინანსების, ეკონომიკური სტიმულირების, სამეცნიერო და ტექნიკური ორგანიზაციების წარმოებასთან კავშირის, სახელმწიფო და ტექნიკური ორგანიზაციების წარმოებაში რეგულირებაში. როგორც მართებულად შენიშნავენ, აღნიშნულ ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებაში მიმდინარეობს თავისებური „რევოლუცია“, იცვლება სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი, მისი ფუნქციები. კერძოდ, სამართალი უკვე ასრუ-

¹ სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ახანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება 1986 წლის 25 თებერვალს. გაზ. „კომუნისტი“, 1986 წლის 26 თებერვალი.

ლებს არა მარტო დაცვით ფუნქციას (მეცნიერების ნაწარმოების, აღმოჩენის, გამოგონების და მათი ავტორების უფლებათა დაცვა), არამედ სულ უფრო ფართოდ არეგულირებს მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს, გაჩნდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ახალი კატეგორიები (მაგალითად, ახალი ტექნიკა და სხვ.)².

მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის განვითარებაში გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები. კერძოდ, კანონმდებლობის განვითარება ამ სფეროში ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს: ერთი მხრივ, სრულყოფას განიცდის მისი ტრადიციული, სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტები (საავტორო, აღმოჩენის, გამომგონებლობის, ვალდებულებითი სამართალი); მეორე მხრივ, სად უფრო ჩნდება ახალი, კომპლექსური ხასიათის ნორმატიული აქტები, რომლებიც სამართლის სხვადასხვა დარგების ნორმების ბაზაზე არეგულირებენ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სხვადასხვა მხარეს³. შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა ნორმატიული მასალის მოცულობა⁴. შეიძლება ითქვას, რომ სამართალშემოქმედებითი მექანიზმი აქ სრული დაცირთვით მუშაობს. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებულ ურთიერთობათა ანალიზი მოწმობს, რომ ამ მექანიზმის მუშაობა არც მომავალში შენედება. მაგრამ იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში სამართალშემოქმედების მომავალი ამოცანები, ჩვენ ი აზრით, საჭიროა სათანადოდ შევაფასოთ მოქმედი კანონმდებლობის დღევანდელი მდგომარეობა, თუ რამდენად პასუხობს იგი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანების წარმატებით გადაჭრას. ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოებანი:

მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში უკიდურესად მცირეა იმ საკითხთა წრე, რომლებიც მოწესრიგებულია კანონის დონეზე, მოქმედი ნორმატიული აქტების ძირითად ნაწილს მთავრობის დადგენილებები წარმოადგენენ; სწრაფად იზრდება დარგთაშორისი და უწყებრივი ნორმატიული აქტების რიცხვი, რომელთა შორის ყოველთვის როდია შეთანხმებულობა. ამასთან, დარგთაშორის სამართლებრივ აქტებს სუსტი ნორმატიული ძალა გააჩნიათ. მათში ბევრია მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო დებულებანი; მთლიანად მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობა არაკოდინიცირებულია.

როგორც ჩანს, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში მოქმედმა კანონმდებლობამ უკვე მიიღწია იმ „კრიტიკულ მასას“, როდესაც საჭიროა რაოდენობრივ ზრდასა და შინაგან წინააღმდეგობებს თვისებრივი გარდაქმნები მოჰყვეს. დღის წესრიგში დგება მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები.

იურიდიულ ლიტერატურაში სამართალმცოდნეები სხვადასხვა მოსაზრებებს გამოთქვამენ მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში წარმოშობილ ურთი-

² იხ. Зенин И. А. Наука и техника в гражданском праве, 1977, с. 18.

³ Зенин И. А. Указ соч. с. 18.

⁴ იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ შეიძლება წლის წინათ აღნიშნავდნენ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესახებ მთავრობის დადგენილებებისა და ცენტრალურ უწყებათა ნორმატიული აქტების საერთო რაოდენობა 800-ზე მეტია (იხ. Социалистическое право и научно-техническая революция, М., 1979, с. 136).

ერთობათა როგორც სამართლებრივი ბუნების, ისე ამ ურთიერთობათა მომწესრიგებელი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის თაობაზე.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით აღმოცენებულ ურთიერთობათა იურიდიული ბუნების საკითხის ანალიზისას, მაგალითად, ი. ზენინი აღნიშნავს, რომ უმნიშვნელოვანესი პროცესები, რომლებიც ბევრად განსაზღვრავენ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, მიმდინარეობენ სამოქალაქო სამართლის ფარგლებში. ამასთან ავტორი თვლის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა უნდა განვიხილოთ როგორც კანონმდებლობის კომპლექსური დარგი; რომლის კოდიფიკაციისათვის საჭიროა მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის საფუძვლების (ან საკავშირო კანონის) მიღება⁵.

დაახლოებით მსგავს პოზიციაზე დგას ვ. დოზორცევი. მისი აზრით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კანონმდებლობის სისტემატიზაცია უმთავრესად უნდა ეყრდნობოდეს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებს, რაც, რასაკვირველია, არ გამორიცხავს ამ სფეროში ახალი კომპლექსური ნორმატიული აქტის მიღებას. ასეთი აქტი, მიუთითებს მკვლევარი, რეგულირების ობიექტის მნიშვნელობის გამო კანონის რანგისა უნდა იყოს⁶.

ა. პოლოპრიგორა არ იზიარებს ზემოაღნიშნულ ავტორთა მოსაზრებას, მიიჩნევს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში წარმოშობილ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობებს უპირატესად სამეურნეო-სამართლებრივი ხასიათი აქვთ, ხოლო მათი მომწესრიგებელი ნორმები და რესტიტუტები ქმნიან სამართლის კომპლექსურ დარგს, მეცნიერულ-ტექნიკურ სამართალს, რომლის სისტემატიზაციისათვის მიზანშეწონილია კანონმდებლობის საფუძვლების მიღება⁷.

მ. რინგის შეხედულებით მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებული ურთიერთობანი ობიექტურად საჭიროებენ სამართლის, მისი მთელი რიგი დარგებისა და ნორმების სისტემის კომპლექსურ ზემოქმედებას, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი სამეურნეო სამართალს ეკუთვნის. ეს სისტემა, მიუთითებს ავტორი, თავის მხრივ ქმნის ახალ კატეგორიას — „სამართლებრივ კომპლექსს, რომლის ბირთვს შეადგენს „მეცნიერების სამართალი“, უფრო ზუსტად კი — „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სამართალი“⁸.

მკვლევართა ერთი ჯგუფი არ ცდილობს დაადგინოს სამართლის ამა თუ იმ დარგის პრიორიტეტი მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში აღმოცენებულ ურთიერთობათა რეგულირებაში და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ურთიერთობათა რეგულირება ხორციელდება კომპლექსურად, სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმათა საფუძველზე. შესაბამისად, ამ სფეროში

⁵ З е н и н И. А. Указ. соч., с. 13, 32.

⁶ Д о з о р ц е в В. А. Законодательство и научно-технический прогресс. „Юридическая литература“, М., 1978, с. 167-173.

⁷ П о д о п р и г о р а А. А. Правовое регулирование научно-технического прогресса. „Вища школа“, Киев, 1981, с. 30-31, 37.

⁸ Р и н г М. П. Новый этап научно-технического прогресса: правовые аспекты.— Советское государство и право, 1985 № 12; с. 12; Р и н г М. П. Право и научно-технический прогресс. В кн.: XXIV съезд КПСС и вопросы теории государства и права. М., 1972, с. 230-247.

მოქმედი კანონმდებლობის სისტემატიზაციის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს კანონმდებლობის კომპლექსური დარგი საფუძვლების ან კანონის სახით⁹.

ჩვენი აზრით, მართებულია იმ ავტორთა პოზიცია, რომლებიც თვლიან, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობათა ძირითადი ნაწილი გაშუალებული არის სამოქალაქო სამართლის ნორმებით. ვფიქრობთ, მტკიცებას არ სჭირებებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობათა რეგულირებაში დიდია სამოქალაქო სამართლის ისეთი ინსტიტუტების როლი, როგორცაა საავტორო, აღმოჩენის, გამომგონებლობის სამართალი. ამ სფეროში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ სამოქალაქო სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა ჩატარებისა და მათი შედეგების პრაქტიკაში გამოყენების ხელშეკრულებებს. სამოქალაქო კანონმდებლობა უშუალოდ არეგულირებს როგორც მეცნიერულ-ტექნიკური შედეგების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ისე ამ ურთიერთობათა სუბიექტურ შემადგენლობას, მათ სამართლებრივ მდგომარეობას და ა. შ. ამასთან, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მოცემულ სფეროში წარმოშობილ ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებაში, განსაკუთრებით კი, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის, დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების, დაფინანსების, სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის შრომისა და ხელფასის საკითხებთან, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ორგანიზაციულ ფორმებთან, მნიშვნელოვანია სახელმწიფო, ადმინისტრაციული, შრომის, საფინანსო და სამართლის სხვა დარგების ნორმათა როლი. ეს ბუნებრივია, რადგანაც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პროცესში აღმოცენებული მრავალსახოვანი ურთიერთობანი, მართალია, ერთიანი მიზნობრივი, ფუნქციონალური დანიშნულებით ხასიათდებიან, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ხელისშეწყობაში გამოიხატება, მაგრამ მათი ბუნება იმდენად ურთიერთგანსხვავებულია, რომ ობიექტურად მოითხოვს სამართლის სხვადასხვა დარგის მეთოდებით რეგულირებას. ერთი სიტყვით, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობათა მთლიანი, ყოველმხრივი და სრულყოფილი სამართლებრივი რეგულირება შეუძლებელია სამართლის ერთი რომელიმე დარგის, თუნდაც სამოქალაქო სამართლის, ფარგლებში მოქცეს. აღნიშნულ ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებაში სამართლის ამა თუ იმ დარგის (მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო სამართლის) პრიორიტეტის დადგენას მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი უნდა განვიხილოთ მოცემულ სფეროში კომპლექსური სამართლებრივი რეგულირების ბაზად, რომელმაც უნდა განსაზღვროს მისი საწყისი, ამოსავალი პოზიციები.

სწორედ ზემოაღნიშნული ობიექტური ფაქტორების გამო ბოლო წლებში ნათლად გამოიკვეთა მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში კომპლექსური სა-

⁹ Социалистическое право и научно-техническая революция. М., 1979, с. 26—27, 141—143; Рассудовский В. А. Механизм управления развитием науки и техники. — Советское государство и право, 1974, № 6, с. 87; Мозолин В. П. Формирование гражданского права развитого социализма. В кн.: XXVI съезд КПСС и проблемы гражданского и трудового права, гражданского процесса. М., 1982, с. 10.

მართლებრივი რეგულირების გადრმავების ტენდენცია, რამაც გამოხატულა პპოვა ამ დარგში მიღებული ნორმატიული აქტების კომპლექსურ ხასიათში. აღნიშნულმა ნორმატიულმა მასამ კი, თავის მხრივ, წარმოშვა მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის ახალი დარგი.

მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბებას, ჩვენი აზრით, საფუძვლად უდევს ამ სფეროში მოქმედი სამართლებრივი ნორმების ფუნქციონალური, მიზნობრივი დანიშნულების ერთიანობა და სახელმწიფო მმართველობის სპეციალურ ორგანოთა სისტემის არსებობა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ თუ მითითებული კრიტერიუმები საკმარისია კანონმდებლობის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბებისათვის, იგი არ გამოდგება სამართლის ახალი დარგის შექმნისათვის. სამართლის დამოუკიდებელ დარგს უნდა ახასიათებდეს რეგულირების საგნისა და მეთოდის ერთიანობა, რაც არ გააჩნია მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში მოქმედ სამართლებრივი ნორმების ჯგუფს. ამიტომ მ. რინგისა და ა. პოდპრიგორას მოსაზრებას ამ საკითხზე ვერ გავიზიარებთ. ჩვენი აზრით, სამართლის ახალი დარგი არ შეიქმნება მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის კოდიფიკაციის შემდეგაც, რადგანაც, ამა თუ იმ სფეროში კანონმდებლობის კოდიფიკაცია აუცილებლობით არ იწვევს სამართლის შესაბამისი დარგის ჩამოყალიბებას¹⁰. იგივე ითქმის სამეურნეო კანონმდებლობის მიმართაც. ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში სავესებით მართებულად არის გაკრიტიკებული იმ ავტორთა მოსაზრება, რომლებიც ცდილობენ მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობათა ერთიანი სამართლებრივი რეგულირების ხელოვნურ გათიშვასა და მისი გარკვეული ნაწილის სამეურნეო სამართლის რეგულირების საგნის შემადგენელ ელემენტად გამოცხადებით მათ მიქცევას სამეურნეო სამართლის კოდექსში ან სამეურნეო კანონმდებლობის საფუძვლებში¹¹.

მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის სრულყოფის კონკრეტული გზების თაობაზე სწავლული იურისტების აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, თითქმის ყველა დაბეჭდილებით მიუთითებს აღნიშნული კანონმდებლობის კოდიფიკაციის აუცილებლობაზე. მართლაც, მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის კოდიფიკაცია გადაუდებელი ამოცანაა, მაგრამ ვიდრე ამ საკითხის გადაჭრას შევუდგებოდეთ, ჩვენი აზრით, საჭიროა წინასწარ განვსაზღვროთ ფორმა, რომელიც მიზანშეწონილი იქნება კანონმდებლობის ამ დარგის კოდიფიკაციისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის კოდიფიკაციის ფორმის შერჩევა არ არის უმნიშვნელო საკითხი. მასზე ბევრადაა დამოკიდებული, თუ როგორი იურიდიული ძალა ექნება მომავალ ნორმატიულ აქტს, რამდენად დეტალიზებული იქნება მასში შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, რა თანაფარდობა დამყარდება საკავშირო და შესაბამის რესპუბლიკურ სამართლებრივ აქტებს შორის და სხვ¹².

¹⁰ Яковлев В. Ф. Отраслевая дифференциация и межотраслевая интеграция как основа системы законодательства. — Правоведение, 1975, № 1, с. 20. ამ საკითხზე საუბნაა დედგო მოსაზრებისა ა. ა. ალექსეევი (Александров, С. С., Структура советского права. М., 1975, с. 61, 224).

¹¹ Зенин И. А. Указ. соч. с. 23.

¹² Керимов Д. А. Кодификация и законодательная техника. М., 1962, с. 37.

მოქმედი კანონმდებლობის კოდიფიკაციისას ამა თუ იმ ფორმის არჩევა, რასაკვირველია, არ არის დამოკიდებული მხოლოდ კანონმდებლის ნება-სურვილზე. მას ობიექტური ხასიათის ფაქტორები უდევს საფუძვლად. კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იქნეს სამართლებრივი რეგულირების საგნის სპეციფიკა, მისი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა, კოდიფიკაციის მიზნები და ამოცანები. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო კომპეტენცია აღნიშნულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებაში იღა ა. შ. მართებულად შენიშნავს ს. ალექსეევი, რომ „კანონმდებელს არ შეუძლია (სამართლის ეფექტიანობისათვის ზიანის გარეშე) თავისი ნება-სურვილის მიხედვით „გამოჭრას“ ნორმატიული იურიდიული აქტები, თვითნებურად შეცვალოს მათი აგებულება და იერარქია“¹³.

მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის კოდიფიკაციის ფორმის საკითხის გადაწყვეტისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციათა თანაფარდობის დადგენა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად სსრ კავშირის გამგებლობას, მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით განეკუთვნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით კი საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით ექვემდებარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა. როგორც აღნიშნული კონსტიტუციური დებულებების შინაარსიდან ჩანს, საკავშირო სახელმწიფოს განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მხოლოდ ძირითადი მიმართულებების, ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა. რაც შეეხება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების კონკრეტული ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფას, იგი მოკავშირე რესპუბლიკების უფლებამოსილების ფარგლებში თავსდება. მასასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებული საკითხები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივი გამგებლობის ობიექტებია. ამის შესაბამისად უნდა გადაწყდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში სამართალშემოქმედების კომპეტენციის თანაფარდობის საკითხიც.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლის თანახმად, სსრ კავშირის სამოქალაქო კანონმდებლობით რეგულირდება აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებების, სამრეწველო ნიმუშებისა და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა მიღწევებთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობანი. როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების კომპეტენცია, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საკავშირო სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენს. ანალოგიური უფლებებით სარგებლობს საკავშირო სახელმწიფო საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა სფეროშიც, რომელთა სრული ნუსხა მოცემულია საფუძვლების იმავე მუხლში. ჩვენ არ შე-

¹³ Алексеев С. С. Структура советского права. М., 1975, с. 61.

6. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1987, № 1

ვუდგებით იმ საკითხის გარკვევას, თუ რამდენად მიზანშეწონილია და სწორია კანონმდებლის პოზიცია საფუძვლების მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ყველა ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებაში საკავშირო სახელმწიფოს განსაკუთრებული კომპეტენციის დადგენის შესახებ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში საკავშირო სახელმწიფოსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციით კონსტიტუციით განსაზღვრული თანაფარდობა არ არის ასახული სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლის დებულებებში. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ შემთხვევაში კონსტიტუციურ და სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებს შორის არის გარკვეული შეუსაბამობა, წინააღმდეგობა. კერძოდ, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების თანახმად მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებული საკითხები საკავშირო სახელმწიფოსა და მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივ გამგებლობას განეკუთვნება, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მიხედვით კი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება საკავშირო კანონმდებლობის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენს. საჭიროა ითქვას, რომ აღნიშნული წინააღმდეგობის უარყოფითი შედეგები სულ უფრო თავს იჩენს მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის განვითარების კვალობაზე. საქმე ისაა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობა პრაქტიკულად ყალიბდება, როგორც საკავშირო კანონმდებლობა, რაც, მართალია, ერთი მხრივ, უშუალოდ შეესაბამება ჩვენი სახელმწიფოს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების ინტერესებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ამუხრუჭებს მოკავშირე რესპუბლიკათა ინიციატივას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის, სახელშეკრულებო ურთიერთობათა შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით სათანადო, ადეკვატური და ამავე დროს სპეციფიკური სამართლებრივი ფორმების დასადგენად. მაგალითად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში მოკავშირე რესპუბლიკათა სამართალშემოქმედებითი კომპეტენციის შეზღუდულობის გამო, მათს კანონმდებლობაში სათანადოდ არაა ასახული მეცნიერული პოტენციალის განსხვავებული დონიდან გამომდინარე თავისებურებანი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისადმი სახელმწიფო ხელმძღვანელობის, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ფორმებსა და სხვა სფეროში, რომლებიც ახასიათებთ მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებს (უკრაინა, საქართველო და სხვ.). იმავე მიზეზით მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებში დღემდე ასახვა ვერ ჰპოვა სახელშეკრულებო ვალდებულების ახალმა სახეობებმა, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში გაჩნდა ბოლო წლებში. საერთოდ, საჭიროა აღინიშნოს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის რესპუბლიკური სამართლებრივი ბაზა უაღრესად მოკრძალებულად გამოიყურება და ხელს ვერ უწყობს მოკავშირე რესპუბლიკას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის კონსტიტუციით მინიჭებული კომპეტენციის განხორციელებაში. სავსებით ცხადია, როგორ შეიძლება სახელმწიფომ უზრუნველყოს რაიმე, თუკი მას სამართლებრივი აქტების მიღების უფლება არ ექნა ამ სფეროში.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული წინააღმდეგობის დასაძლევად საჭიროა სათანადო ცვლილებების შეტანა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებაში საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივი კომპოტენციის დადგენის მიზნით, რის შემდეგაც მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობა ორი ორგანოდ დაკავშირებული ნაწილის, საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის სახით ჩამოყალიბდება. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-4 პუნქტის დებულება, რომლის თანახმად სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება „სსრ კავშირის მიერ ტერიტორიაზე საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობის უზრუნველყოფა, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების დაწესება“.

იმის გათვალისწინებით, რომ საკავშირო სახელმწიფოს ექვემდებარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და კანონმდებლობის საფუძვლების დაწესება, მიზანშეწონილი იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში საკავშირო კოდიფიცირებული აქტი ჩამოყალიბდეს მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის საფუძვლების სახით, რომელშიც მოცემული იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში აღმოცენებულ ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირების ზოგადი დებულებანი და პრინციპები, რომელთა შემდგომი კონკრეტიზაცია მოხდება მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის ნორმატიულ აქტებში.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ ავტორთა მოსაზრებას, რომლებიც მიზანშეწონილად თვლიან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესახებ საკავშირო კანონის მიღებას. კანონის ფორმით საკავშირო სამართლებრივი აქტის მიღება, როგორც წესი, ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროებში, რომლებიც საკავშირო სახელმწიფოს განსაკუთრებული კომპეტენციის საგანს წარმოადგენს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხები, როგორც უკვე აღვნიშნავთ განეკუთვნება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივ კომპეტენციას. ასეთი კანონმდებლობის კოდიფიკაციის დროს კი გამოიყენება ნორმატიული აქტი საფუძვლების ფორმით, რადგანაც მოცემული ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებაში საკავშირო კანონმდებლობამ უნდა შეასრულოს მთავარი როლი.

„საფუძვლები, — მიუთითებს ს. ალექსეევი, — თუმცა დეტალურადაც არეგულირებს ზოგიერთ ურთიერთობას, მაგრამ უპირატესად მაინც მიმართულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის ზოგადი პრინციპებისა და დებულებების დასადგენად. იგი პრინციპულ ბაზას ქმნის სამართლის მოცემული დარგის კოდიფიკაციისათვის და კოდიფიკაციაც მისით იწყება“¹⁴.

რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი კანონმდებლობის კოდიფიკაციის ფორმის საკითხს, თითქოს ლოგიკურია იმის ვარაუდი, რომ საკავშირო საფუძვლების მიღების შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებმა კოდიფიკაციისათვის უნდა გამოიყენონ კოდექსების ფორმა. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ამის აუცილებლობა არ არის. საკანონმდებლო პრაქ-

¹⁴ Алексеев С. С. Общая теория права. Курс в двух томах, том II, М., 1982, с. 257.

ტიკაში არის შემთხვევები, როცა, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების დაწესებას არ გამოუწვევია მოკავშირე რესპუბლიკების სპეციალური კოდექსების მიღება. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კოდექსების სახით კანონმდებლობის კოდიფიკაცია, როგორც წესი, ხდება სამართლის ძირითად დარგებში და არა დარგთაშორის ვაერთიანებებში¹⁵. ამიტომ, ჩვენი აზრით, მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი კანონმდებლობის კოდიფიკაცია მიზანშეწონილია მოხდეს მეცნიერებისა და ტექნიკის კანონის მიღებით, როგორც ეს მოხდა ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების კანონმდებლობათა კოდიფიკაციისას.

მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებისა და ტექნიკის კანონის სტრუქტურა ისეთივე უნდა იყოს როგორც საფუძვლებისა. ამასთან რესპუბლიკურ კანონებში საჭიროა საფუძვლების დებულებათა კონკრეტისა და ადგილობრივი პირობებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

Дж. Г. ХЕЦУРИАНИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ КОДИФИКАЦИИ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВА О НАУКЕ И ТЕХНИКЕ

Резюме

В представленной работе в свете последних партийно-государственных документов, на основе критического анализа действующего законодательства, регулирующего общественные отношения в сфере научно-технического прогресса, делается попытка определить природу и пути систематизации законодательства о науке и технике; обосновывается мнение о том, что при кодификации этого законодательства в качестве общесоюзного акта могли бы быть приняты основы законодательства, а в союзных республиках—Законы о науке и технике.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლისა და პროცესის განყოფილებამ.

¹⁵ Алексеев С. С., Общая теория права. Курс в двух томах, том II, М., 1982, с.

Ю. М. АНТОНЯН, Е. Г. САМОВИЧЕВ

ПСИХОЛОГИЧЕСКИЙ ПОДХОД К ТИПОЛОГИИ
ЛИЧНОСТИ УБИЙЦ

Важной составной частью криминологического познания является исследование отдельных категорий преступников как социальных и психологических типов. Такой подход к изучению явлений в области криминологии позволяет получить предметную информацию о причинах и механизме совершения преступлений. В этом плане представляется необходимым психологическое исследование типологии личности насильственных преступников, поскольку в насильственном преступном поведении роль личностных психологических факторов особенно велика. С этой целью нами было проведено исследование группы убийц, основная задача которого состояла в выделении типичных психологических особенностей этой категории преступников в целом, а также в попытке вычленить существующие среди них подтипы. В дальнейшем это дало бы возможность создать психологическую типологию личности данной категории насильственных преступников и на этой базе разработать методы индивидуальной работы с ними.

Концептуальную основу нашего исследования составила теория акцентуированных личностей, разработанная К. Леонгардом и его сотрудниками¹. Эта теория опирается на богатый опыт эмпирических наблюдений и обобщений. Понятие акцентуации, как его использует К. Леонгард, характеризует личность не в ее патологическом варианте, а в пределах нормы. Под акцентуациями автор понимает заострение некоторых индивидуальных черт, которые могут при определенных условиях либо оставаться в пределах нормы, либо переходить в патологическое состояние. Но ни в коем случае нельзя считать, что акцентуация личности непременно должна приводить к патологическому ее развитию.

Следует отметить, что акцентуации отдельных психологических черт и особенностей личности в той или иной мере присущи многим людям. Как показало наше исследование, они свойственны значительному числу лиц, осужденных за убийства. Однако следует подчеркнуть, что акцентуации несут, как правило, нейтральный характер, и наличие их вовсе не означает, что человек с той или иной акцентуацией или с сочетанием нескольких акцентуаций обязательно совершает преступление. Та или иная акцентуированная черта личности может войти в криминогенный комплекс лишь в том случае, если она займет определенную позицию в структуре личности и прежде всего в структуре ее нравственных отношений с социальным окружением.

Необходимо подчеркнуть, что многие акцентуации личности возникают, сохраняются и изменяются под воздействием той или иной социальной среды. Поэтому предлагаемый психологический анализ личности убийц вовсе не означает психологизацию проблемы причин совершения убийств и игнорирование криминогенных факторов внешней социальной среды. Такой анализ, не претендуя на полное рас-

крытие причин убийств, объясняет некоторые субъективные обстоятельства, образующие психологический механизм насильственного преступного поведения, и в этом состоит его актуальность для теории и практики борьбы с преступностью.

Так, в зависимости от акцентуаций личности должна применяться та или иная тактика и методика индивидуальной профилактики преступлений, расследования уголовных дел, исправительно-трудового и карательного воздействия. В повседневном учете этих особенностей личности преступника заложены серьезные, но не использованные еще возможности повышения эффективности деятельности правоохранительных органов.

Выявление типов акцентуаций личности убийц осуществлялось с помощью опросника, составленного Х. Шмишеком. Опросник включал в себя десять шкал, измеряющих степень выраженности тех или иных черт личности. Ответы фиксировались на специальном бланке в альтернативной форме «да — нет». Хотя акцентуированной считается черта, принимающая значение 12 и более баллов, мы использовали для обработки все значения, которые может принимать каждая черта личности. Это позволило использовать для построения типологии информацию не только об акцентуированных, но и об остальных чертах личности.

Разумеется, типология личности насильственных преступников может быть построена с помощью и других методик. Используемая нами методика построена на концепции К. Леонгарда, которая, как мы показали выше, дает возможности охватить достаточно широкий спектр психологических проявлений личности. Кроме того, со значительной частью осужденных нами были проведены нестандартизированные интервью. Для более глубокого изучения в отдельных случаях применялся тематический апперцептивный тест.

Подсчет средних значений акцентуаций для обследованных показал, что наиболее выраженной акцентуацией у них является эмотивность. По мнению К. Леонгарда, эмотивные личности характеризуются чувствительностью и глубокими реакциями в области тонких эмоций. Они более жалостливы, чем другие, больше поддаются растроганности, испытывают особую радость от общения с природой.

На первый взгляд такой результат может показаться противоречащим характеру деяния, за которое осуждены обследуемые; убийства часто совершались ими по незначительному поводу и сопровождались жестокостью, полным равнодушием к страданиям другого человека. Наш опыт изучения названных лиц убеждает в том, что для них действительно характерна высокая чувствительность и даже ранимость в сфере межличностных отношений. Однако попытаемся показать, что названное противоречие лишь внешнее, и оно может быть понято при сопоставлении с другими чертами личности. Здесь следует лишь отметить, что чувствительность и другие сходные особенности убийц проявляются ими вообще в отношениях с окружающими и в частности, в предпреступных ситуациях. Но их чувствительность и ранимость выражаются не в сопереживаниях, а развиваются по эгоцентрическому типу, т. е. обращены на себя.

Анализ корреляций эмотивности с другими особенностями личности показал, что она наименее тесно связана с тревожной мнительностью, склонностью к повышенному настроению и его частой смене. Из этого можно заключить, что эмоциональная чувствительность этой

категории преступников почти не связана с динамикой их настроения, последнее у них является как бы автономной системой, изменяющейся в значительной степени независимо от впечатлений, получаемых извне. Незначимая связь эмотивности с тревожной мнительностью также свидетельствует об отсутствии выраженной зависимости эмоций от внешних провоцирующих обстоятельств. В связи с этим мы полагаем, что эмотивность этих людей возникает и развивается в большей степени по внутренним психологическим законам, чем в соответствии с внешними обстоятельствами.

Наибольшую связь эмотивность осужденных за убийства обнаруживает с такой акцентуацией, как упорство. Последняя обусловлена ригидностью, малоподвижностью, «застреванием» эмоций. Их эмоциональная сфера длительное время сохраняет воспринятые ранее впечатления, хотя породившие их события уже прошли. Это может приводить к тому, что некоторое эмоциональное переживание начинает окрашивать и другие, не соответствующие ему события, в результате чего происходит искажение восприятия действительности. Осмысление действительности принимает выраженный эгоцентрический характер, когда все действия подчинены интересам своего «я», которое к тому же часто переоценивается.

Указанные особенности обуславливают характерный для настоящей категории преступников спектр состояний, крайними точками которого являются депрессии с мыслями о самоубийстве и грубые искажения реальности с приписыванием несвойственных ей особенностей и тенденций.

Тесная связь между эмотивностью и упорством детерминирует характерные для них подозрительность, чувствительность к контактам с другими и защитную агрессивность. Первая из них выступает как постоянное ожидание воздействия извне и готовность оказать ему сопротивление. Лица с такими особенностями хорошо различаются между собой по интенсивности предчувствуемого или влияния и готовности к сопротивлению. Как правило, их подозрительность не имеет достаточной реальной основы и носит поэтому неадекватный характер. Последнее заставляет предполагать, что подозрительность этих людей, являющаяся одним из элементов психологического комплекса, связанного с совершением убийства, возникает по механизму проекции, т. е. приписывания внешнему окружению черт, присущих самой личности преступника. Поскольку такое приписывание окружению управляющего влияния на личность часто имеет место, то можно думать, что проецируется именно собственная тенденция к управлению, активному воздействию на среду. Поэтому многие убийства, хотя и производят впечатление немотивированной агрессии, на самом деле являются формой психологической защиты². Защитная агрессивность может быть расшифрована как защита по содержанию и агрессивность по форме.

Чувствительность к контактам с другими производна от проецирования агрессии вовне. По психологическому содержанию чувствительность к контактам имеет смысл оценки ситуации как потенциально содержащей угрозу для личности преступника.

Как показывает анализ отмеченной взаимосвязи, в ее основе лежит пассивная психологическая установка, что внешне также противоречит характеру деяний, за которые они осуждены. Поведение убийц является реактивным, т. е. ответным на внешние раздражители, которые приписываются окружению. В этом смысле можно ска-

зать, что такие личности исходно не развивают собственной активности.¹

Одним из способов преодоления пассивной психологической позиции и тревожности данной категорией преступников выступает их стремление к упорядоченности и даже схематизации внешних социальных связей, в основе чего лежит тенденция предвидеть возможные действия других людей. В связи с этим в криминологическом аспекте актуален специальный анализ характерного для личности убийц чувства справедливости.

Мы имели возможность неоднократно наблюдать ярко проявляющиеся в высказываниях многих осужденных за убийства требования, даже призывы к справедливости. Это декларируемое ими чувство представляет собой выраженную потребность следовать некоторому принципу, правилу, причем также потребность и в том, чтобы другие люди также неукоснительно следовали ему. Такая позиция часто составляет суть, основу мировоззрения многих убийц, делает их личность цельной и интегрированной, помогая преодолевать внутренние конфликты и противоречия. Данное мировоззрение заключается в том, что каждый человек в жизни должен занимать строго определенное место, знать его и неукоснительно следовать тем требованиям, которые вытекают из его статуса. Сущность этого статуса и связанные с ним ожидания определяет сам представитель рассматриваемого типа преступников. В общении такие люди могут производить благоприятное впечатление определенностью своей жизненной позиции.

¹ Очень часто чувство справедливости у них связано с почти полной ригидностью, негибкостью поведения и мышления, схематизированным эгоцентрическим подходом к людям как к отвечающим или не отвечающим их жизненным принципам. Такая позиция дает им возможность деперсонализировать другого человека, т. е. обезличить его, игнорировать все его индивидуальные качества и обращаться с ним лишь как с носителем определенных принципов или правил. В таком аспекте подчеркнутое чувство справедливости выступает как форма психологической защиты, позволяющая этой категории преступников преодолеть ощущение внешней угрозы. Вместе с тем, схематизация личности другого человека создает субъективно-психологические предпосылки его подавления и даже уничтожения, если он не следует предписываемым ему функциям. Вот почему так специфически понимаемое и переживаемое чувство справедливости, носящее весьма эгоцентрический характер, приобретает определенную криминогенность.

До сих пор мы рассматривали психологические особенности общего типа личности убийц, в рамках которого существуют некоторые подтипы, представляющие собой варианты общего типа с характерным для них сочетанием акцентуаций. Криминологическое изучение подтипов позволяет связать личность убийц с характером преступных действий и их мотивацией. Для вычленения этих подтипов мы использовали факторный анализ (метод главных компонент), применив его к полученной матрице интеркорреляций акцентуаций. В результате были выделены достоверно существующие подтипы со следующими сочетаниями акцентуаций, причем порядковый номер подтипа отражает убывание вероятности встречаемости его в пределах общего типа, а номер акцентуаций — их значимость в рамках подтипа.

I подтип: 1) педантичность; 2) экзальтированность; 3) импульсивность.

II подтип: 1) упорство, застревание; 2) тревожная мнительность; 3) демонстративность.

III подтип: 1) эмотивность; 2) демонстративность.

IV подтип: 1) тревожная мнительность; 2) подавленность, угнетенность.】

В соответствии с используемым нами понятием общего типа личности убийц, мы интерпретируем каждый из приведенных подтипов в рамках черт, присущих общему типу.

У первого подтипа личности убийц наиболее выражена педантичность, в основе которой лежит ригидный аффект тревоги. Однако по сравнению с общим типом для этого подтипа характерны некоторые другие, хотя и сходные формы модификации тревоги. Главным ее проявлением здесь является навязчивая тенденция возможно полнее контролировать свое окружение. Поэтому многие ситуации, предшествующие убийствам, которые в криминологии принято описывать просто как конфликт между преступником и потерпевшим, по своему психологическому содержанию является реакцией на провал попыток подчинить последнего своему контролю.✓

Если лица, не обладающие подобным сочетанием акцентуаций, способны включаться в спонтанные отношения с другими людьми, свободно выражая свои эмоции, то индивиды рассматриваемого подтипа постоянно пытаются контролировать свои эмоции, стремясь «привязать» себя и других к определенным ролевым позициям и ситуациям. Таким образом, они стараются избежать тревоги, исключая возможность непредвиденных элементов в межличностных отношениях.

Однако полный контроль над спонтанным проявлением собственных эмоций и поведением других людей, как правило, никогда не достигается. Поэтому как свои эмоции, как и чужое поведение они склонны рассматривать как факторы, нарушающие упорядоченность жизни и мешающие им быть полным ее хозяином. В результате личность убийц рассматриваемого подтипа оказывается в ситуации, когда она пытается управлять чуждым и даже враждебным ей поведением. Такие люди относятся к собственным побуждениям, а также к спонтанным неконтролируемым формам поведения других людей с осторожностью и даже подозрением; они легко выводятся из состояния адаптированности всякими нарушениями субъективно установленного ими порядка и правил поведения, часто существующих лишь в их представлении. Это приводит их к концентрации на формальных аспектах межличностных отношений в большей степени, чем интимных и непосредственно субъективных. Формализация отношений дает им возможность предвидеть и классифицировать поведение других людей.

Беседы с осужденными за насильственные преступления, детальный анализ обстоятельств совершенных ими деяний и особенно личности и поведения потерпевшего показывают, что, если некоторые формы поведения других людей не укладываются в созданную представителями этого подтипа систему правил и представлений, то такие формы поведения ими вытесняются. Это проявляется в стремлении отрицать реальность другого человека как свободного индивида, а если это им не удастся, то возникают агрессивные реакции против таких людей.✓

Таким образом, для этого подтипа наиболее характерен направленный вовне контроль окружения. Однако при такой тенденции способность вытеснить неконтролируемые факторы в целом развита у них весьма слабо, скорее факторы «застревают» в их психике, порождая эмоциональное напряжение, требующее быстрее снятия. Это стрессовое состояние может разрушаться путем совершения насильственных преступных действий.

Включенный в структуру этого подтипа компонент экзальтированности обуславливает высокий темп нарастания реакций и высокую интенсивность их внешнего проявления. Динамика настроения у этих людей связана с успехами в овладении окружением.

Свойственная этому подтипу импульсивность, на первый взгляд, плохо сочетается с педантичностью. К. Леонгард считает, что в целом — это две непересекающиеся черты, что само по себе указывает на глубокую дезинтегрированность личности данной категории людей. Однако высокий коэффициент корреляции этих акцентуаций, а также результаты наблюдений конкретных случаев убеждают в том, что импульсивность и педантичность у этого подтипа взаимосвязаны. Импульс возникает здесь как результат встречи с неуправляемыми факторами среды, как результат отсутствия психологических способов овладения этими факторами. Моторный разряд нередко является результатом того, что у этих людей нет других способов подчинения себе окружения.

Для второго подтипа личности убийц характерны такие акцентуации как упорство (застревание), тревожная мнительность и демонстративность, причем наиболее значимой является застревание, составляющее основу общего типа. Две другие акцентуации, на первый взгляд, могут показаться противоположными и несовместимыми. Однако в данном сочетании мы имеем перед собой демонстративность не истерического типа с его способностью вытеснить неприемлемые для личности стимулы. Рассматриваемый подтип людей почти не обладает этой способностью, а его демонстративность скорее связана с представлением о повышенной ценности собственного «я». Это хорошо согласуется с первой, преобладающей акцентуацией, с которой две другие связаны отрицательной связью. Можно сказать, что, чем сильнее у этих людей выражены черты застревания, упорства, тем менее они тревожны и тем меньше выражена у них потребность во внимании других людей. Этот подтип интересен тем, что, попадая в ситуацию, где его субъективно-личностные мысли и представления не поддерживаются, он испытывает растущее чувство тревоги, что актуализирует его активную позицию и ожидание понимания и поддержки со стороны других.

Эта категория людей, с высокой субъективной значимостью своего «я», но с тревожной окрашенностью этой значимости, чутко реагирует на всякие ее изменения. Они как бы чувствуют, что их представление о себе преувеличено, но тем не менее постоянно поддерживают его. Для этого подтипа очевидна защитная функция преувеличенного представления о себе, и всякая угроза этой защите порождает у них тревогу.

Для описанного подтипа личности убийц характерны периодические «движения» от рационального, адекватного осмысления действительности к ее искажению: приближаясь к полюсу «рациональности»,

они становятся тревожными, пассивно-подчиненными; приближаясь к полюсу «иррациональности» — эгоцентричными, упрямыми, стремящимися к управлению другими людьми. Попадая в состояние тревоги, они склонны «подавать» свое «я». Так, включаясь в компании знакомых или просто незнакомых людей, они склонны искать повода для знакомства и включения в группы. Очень часто эти «включения» сопряжены с употреблением алкоголя. Последнее дает эффект снятия тревоги и переводит этих людей ближе к полюсу «иррациональности», обостряя их тенденцию к управлению людьми. Здесь конфликты с группой становятся весьма вероятными и часто приводят к насильственным преступным действиям.*

Таким образом, психологическая структура этих лиц такова, что адекватное осмысление своих социальных статусов, ролей и вытекающих отсюда обязанностей, своих потребностей и возможностей, своего социального окружения порождает у них состояние тревожности, сомнений относительно своего собственного «я». Это заставляет их искать контакты, в которых эти сомнения были бы сняты за счет усиления «я». Опыт наших исследований показывает, что ближайшая социальная среда таких лиц, как правило, неспособна удовлетворить эту их потребность сколько-нибудь социально и индивидуально-ценными способами. Культура группы оказывается достаточно низкой по уровню межличностных контактов. Очень часто поводом к объединению является распитие спиртных напитков. Для рассматриваемого здесь подтипа это дает снятие тревоги и усиление уверенности в себе и своей жизненной позиции. Но одновременно с этим происходит и смещение реагирования в сторону застревания, упорства, порождая искаженные восприятия действительности. Преступные действия часто и совершаются в этом состоянии.

Для третьего подтипа свойственны акцентуации эмотивности и демонстративности. Как уже было сказано выше, для общего типа рассматриваемой категории преступников эмотивность представляет собой высокую чувствительность в сфере межличностных контактов, по содержанию являющуюся ощущением угрозы извне. В сочетании с демонстративностью мы имеем подтип, для которого внешне характерна подчеркнутая восприимчивость к состояниям других людей. Они могут производить впечатление людей, отвечающих на переживания кого-то другого, чуть ли не в большей степени, чем он сам. Переживания других людей являются часто для них как бы только стимулом для культивирования и внешне часто бурного проявления собственных эмоций. Они как бы «погружаются» в свои страдания, получая от этого определенное удовлетворение. Во время таких демонстраций они остаются невосприимчивыми к успокаивающим уговорам, их поведение подчинено только собственной субъективной логике развития состояний. Последнее вступает в ощутимое противоречие с их внешне высокой чувствительностью к контактам с другими. Мы полагаем, что ими убийства могут быть совершены вероятнее всего по механизму смещенной реакции, т. е. их действия могут быть направлены не только на того, чьи поступки послужили поводом к агрессии, но и на других лиц. Среди них немало психопатов истеро-возбудимого типа, совершающих убийства на почве семейно-бытовых отношений, которые сопровождаются хулиганскими действиями. Причем после убийства ими часто демонстрируются, лишь в расчете на окружающих, суицидальные попытки. Некоторые убийства совершаются

такими преступниками с особой жестокостью и представляют значительную трудность в части выявления их мотивов.

Свойственная общему типу личности убийц пассивная установка в этом подтипе достигает уровня подчиненно-зависимой позиции. Жертвами убийств, совершаемых подчинителями этой категории, очень часто являются именно те люди (чаще женщины), от которых преступник находится в такой зависимости и подчинении. Остается пока малопонятным, чем обусловлен сам факт попадания в такую жесткую зависимость. Однако мы полагаем, что убийство имеет здесь смысл способа сохранения этой зависимости, во всяком случае — нежелания ее терять.

Четвертый, реже других встречающийся подтип личности осужденных за убийства, включает в себя сочетание тревожной мнительности, подавленности и угнетенности. Из черт общего типа у них более яркое выражение получает радикал эмотивности, но связанной в большей степени не с изменениями окружения, а с внутренне присущими личности особенностями. В данном сочетании акцентуаций фактически в чистом виде представлена пассивная установка личности убийц. Для них свойственно пониженное, иногда угнетенное настроение, снижение чувства радости, притупление интересов, стремлений, желаний. Часто в их высказываниях звучит чувство собственной неполноценности, утрата чувства перспективы и профессиональной состоятельности. Как правило, эта категория людей переживает и суицидальные мысли.

В отличие от общего типа, для которого характерно проецирование агрессии вовне, преступники этого подтипа подавляют свою агрессию, что является одним из психологических механизмов субдепрессивного состояния. Формы компенсации состояния тревожности здесь также несколько иные. Отметим только две из них: соматические фиксации и алкоголизация. В первом случае эти люди проявляют повышенное внимание к состоянию своего здоровья, жалуются на ощущаемые ими, но не имеющие органической основы соматические и вегетативные расстройства.

Анализ индивидуальных случаев позволяет выявить у этой категории осужденных почти полную неспособность выразить переживаемое ими чувство ревности, они подавляют его вплоть до полного исключения из сознания. Они часто совершают преступления в состоянии алкогольного опьянения, а мотивом преступления обычно является чувство ревности. В обычном же состоянии они могут не проявлять никаких признаков ревности, что может иногда вызывать недоумение окружающих в связи с очевидностью повода для нее. В этом следует видеть вариант общего типа, которому весьма свойственно чувство ревности, открыто, однако, демонстрируемое в поведении.

Приведенные выше психологические подтипы личности убийц представляют собой разновидности более общего типа личности, совершающей насильственные преступления в бытовой сфере. Если попытаться теперь выделить основные динамические тенденции, как бы пронизывающие все указанные подтипы, то мы выделили бы две: 1) степень выраженности пассивной психологической установки и 2) степень выраженности тенденции к искажению реальности (иррациональность). Обе эти тенденции взаимосвязаны и находятся, надо полагать, в обратной зависимости. По нашим наблюдениям от первого к четвертому подтипу степень выраженности пассивности увеличивается, а степень тенденции к рациональности уменьшается. Одно-

временно с этим от первого к четвертому подтипу снижается частота встречаемости преступников.

Пассивная психологическая установка является более ранним образованием, искажения реальности возникают позже, в основном, как защитный механизм личности. Степень, в которой разовьются позже эти искажения, определяется социальными факторами; но, чем в большей степени она развивается, тем в большей степени формируются криминогенная структура личности.

Рассмотренные особенности личности убийц как психологического типа должны всесторонне использоваться в работе по борьбе с преступностью. Так, их следует учитывать при разработке следственных версий, проверке причастности к преступлению конкретных лиц, проведении отдельных следственных действий, уяснении мотивов совершенного преступления, его квалификации, назначении и индивидуализации уголовных наказаний и т. д. При осуществлении индивидуальной профилактики нужно, например, проявлять повышенное внимание к тем участникам конфликтов, которых отличает повышенная чувствительность в межличностных отношениях или подозрительность. Квалифицированное и вместе с тем терпеливое разъяснение лицу его субъективных причин конфликтных отношений с другими людьми, применение психотерапевтических методов способны эффективно предупредить многие преступления против личности. Исключительное значение имеет учет психологических особенностей в работе по исправлению и перевоспитанию осужденных за убийства. Разумеется, выявление и использование указанных особенностей требует специальных знаний и навыков, организационного и методического обеспечения.

В настоящей статье охвачены лишь некоторые психологические стороны личности убийц. Поэтому важной задачей остается системное познание этого явления во взаимосвязи правовых, социологических, психологических и иных его аспектов на качественно новом уровне.

ЛИТЕРАТУРА

1. Леонгард К. Акцентуированные личности. Киев, 1981, с. 16.
2. См., например, Ратнов А. Р., Ефремова Г. Х. Психологическая защита и самооправдание в генезисе преступного поведения. — Сб. Личность преступника как объект психологического исследования. М., 1979, с. 44—62.
3. См., например, Котова Э. П. Об одном из адаптивных качеств преступников. — Сб. Личность преступника как объект психологического исследования. М., 1979, с. 88—89; Замуруева Э. П. Экспериментальное изучение ригидности как свойства личности преступника. — Психологическое изучение личности преступника. М., 1976, с. 63—69.
4. Антонян Ю. М., Бородин С. В., Самовичев Е. Г. О некоторых неосознаваемых мотивах систематического занятия бродяжничеством. В сб. Вопросы борьбы с преступностью. М., № 36, 1982.

სულხან გოგინავა

XI—XV საუკუნის საქართველოს ბანათლების ფუნქციის შესახებ

მეცნიერებაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული იმის შესახებ, თუ ვის ეჭვემდებარებოდა განათლების საქმე გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. ზოგი ამ ფუნქციას მწიგნობართუხუცესს მიაწერს, ზოგიც მოძღვართ-მოძღვარს.

ჯერ კიდევ ი. გოგებაშვილი წერდა, რომ „ჰყონდიდის მიტროპოლიტთა წოდება განუყრელად დაკავშირებული იყო საქართველოს სახალხო განათლების მინისტრის მოვალეობასთან“¹. ს. ქვარიანიც თვლიდა, რომ ჰყონდიდელი იყო მთავარი მინისტრი და იგივე განაგებდა „სწავლა-განათლების საქმეს“². ასევე ფიქრობენ ი. სურგულაძე³ და მ. შენგელია. ეს უკანასკნელი თავის ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებს, რომ მწიგნობართუხუცესმა ანტონმა ათარგმნინა „წიგნი სააქიმოჲ“, რომელიც სასწავლო სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო⁴. ს. კაკაბაძის მიხედვით „მწიგნობართუხუცესის ხელით იყო საეკლესიო განათლების მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა თითქმის მთელ საქართველოში“⁵. იგი ეყრდნობა ცნობას „ველმწიფის კარის გარიგებიდან“, რომელშიც ნათქვამია, რომ „გელათისაგან კიდე საყდარნი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ზუცენი და მონაზონნი და რაც საეკლესიაონი დასნი არიან, — ყველა ჰყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის საველოსა[ა]“⁶. ს. კაკაბაძე ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში დაქვემდებარება სწორედ განათლების სფეროს გულისხმობდა, რომ მხოლოდ მოძღვართ-მოძღვარი არ ემორჩილება მწიგნობართუხუცესის უწყებას, რადგან გელათის საყდარი ცალკე იყო გამოყოფილი⁷.

ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების დასამტკიცებლად საკმაო საფუძველი არ არსებობს. მიუხედავად არსებული მასალის სიმცირისა, მაინც გვგონია, რომ ეს საქმე მოძღვართ-მოძღვარს უნდა ჰბარებოდა. ამაზევე მეტყველებს თვით სახელწოდებაც „მოძღვართ-მოძღვარი“.

მოძღვართ-მოძღვრობის არსის უკეთ გაგებისათვის საჭიროა ჯერ „მოძღვარის“ ინსტიტუტს შევხვით.

ივ. ჯავახიშვილი იღნიშნავდა, რომ „მოძღვარი მეცნიერი ბერი იყო, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა და რომელთანაც სხვადასხვა მხრითგან მოდიოდნენ ხოლმე სასწავლებლად. მოძღვარი თავის მოწაფეს სულიერ-სარწმუნოებრივ

1 ი. გოგებაშვილი, მეგრული დოკუმენტები სკოლის საკითხისათვის“, თბ., ტ. 3, თბ., 1954 გვ. 438.

2 ს. ქვარიანი, საქართველოს ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 45.

3 ი. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, II, თბ., 1965 გვ. 54.

4 მ. შენგელია, ძიებანი ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 142.

5 ს. კაკაბაძე, დიდგორის ომი, თბ., 1982, გვ. 52.

6 ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამ., თბ. 1970, გვ. 34.

7 ს. კაკაბაძე, დიდგორის ომი, გვ. 52.

ხელმძღვანელობასაც უწევდა და მწერლობასა, მეცნიერებასა და რომელსამე ხელოვნებას ასწავლიდა. მოწაფე თავის მოძღვართან ცხოვრობდა და სწავლობდა⁸.

მოძღვრების რაოდენობა ბევრი უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ მე-12 მუხლი: „შემდგომად ამათსა ამისიცა სათანადოდ ვპვინეთ მოკსენება, ვინათჳან ფრიადი და აღურიცხველი ხრს სიმრავლე და ერთსა მონასტერსა შინა ხუთნი და ათნი მრავალრგზის ოცნი და ოცდაათნი იპობიან, დიდი თუ იყოს მონასტერი, და მრავლისა შფოთისა და განხეთქილების მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი. ამისთვის განვაჩინებთ, ...რათა დიდთა მონასტერთა შინა ორ-ორი, ხოლო მცირეთა შინა თითო კმა-იყოს მოძღუარი“⁹. მოძღვართა სიმრავლეზე მეტყველებს, „ძეგლისწერის“ შესავალიც: „...ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკლესიოთა კანონთანი... მათი მეცნიერება და შედგომა და მტკიცედ პყრობა უკმს ყოველთა წინამძღუართა ქრისტიანობითისა მადიდებლობისათა მღვდელთმთავართა და მღვდელთა და დიაკონთა და ჩუენ შორის მოძღურად სახელდებულთა მათცა მონაზონთა“¹⁰.

ე. გაბიაშვილი შენიშნავს, რომ ტერმინი „მოძღვარი“ „დიდი სჯულისკანონის“ არც ერთ საეკლესიო კანონში არ იხსენიება, და წამოჭრის კითხვას, „ხომ არ არის „მოძღვართა“ ინსტიტუტი ქართული ეკლესიის სპეციფიკაო“¹¹.

ქართული წყაროების მიხედვით მთლად გარკვეულად არ ჩანს, თუ რა კონკრეტული ფუნქციების შესრულება უხდებოდა მოძღვარს, მაგრამ თვით სახელწოდება გვიჩვენებს, რომ ეს სახელი სწავლებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ე. გაბიაშვილის აზრით, „მოძღვარი“ ახალგაზრდა სასულიერო კადრების აღმზრდელი უნდა ყოფილიყო¹².

საინტერესო ცნობას გვაწვდის ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნთა კრებულში მოთავსებული ბაგრატ კურაპალატისად ცნობილი ფრაგმენტი: „ვინცა მოძღვარი იყოს ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს.. ის დასვეთ ბჳედ. ჰკვიანი იქმნების და კარგად ეცოდინების ბჳობა და უსამართლოს არას იტყვისო“¹³.

მაშ, რას წარმოადგენდა „მოძღვართ-მოძღვარის“ ინსტიტუტი?

სახელწოდება „მოძღვართ-მოძღვარი“ ქართულ წყაროებში არაერთხელ გვხვდება.

ეს ტერმინი პირველად ჩანს გიორგი მცირესთან. ასე მოიხსენიებს იგი გიორგი შეყინებულს: „ღმრთივ სანატრელსა, სათნობათა შინა განთქმულსა, მოძღუარსა მოძღუართასა და სულიერსა წინამძღუარსა ჩუენსა გიორგი შეყენებულს გულისა მიერ გიხაროდენ!“¹⁴.

დანარჩენი წყაროების უმეტესობაში მოძღვართ-მოძღვრობა გელათის მონასტერთან არის დაკავშირებული. მე-16 საუკუნემდე მიანც მხოლოდ გელა-

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბ., ტ. VII, თბ., 1984, გვ. 50.

⁹ დიდი სჯულისკანონი, გამოსცეს ე. გაბიაშვილმა, ე. ვიუნაშვილმა, მ. დოლაძემ, გ. ნინუამ; თბ., 1975, გვ. 552.

¹⁰ იქვე, გვ. 547.

¹¹ ე. გაბიაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978, გვ. 129.

¹² იქვე, გვ. 130-131;

¹³ ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. II, თბ., 1963, გვ. 464—465.

¹⁴ გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბ. 1967, გვ. 101.

თის მოძღვართ-მოძღვარი ჩანს, რომელიც განსაკუთრებით პატივით სარგებლობს სახელმწიფოში. „ველმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით იგი ეკლესიის ოთხ უმაღლეს იერარქს შორის პირველია: „ამ ოთხთაგან (მოძღვართ-მოძღვარი, ორი კათალიკოსი და ჭყონდიდელი — ს. გ.) ერთი საჯდომი [მეფის — ს. გ.] მარჯვენით დაუწერია მოძღვართ მოძღვრისა“¹⁵. სხვებისგან განსხვავებით, მეფე მოძღვართ-მოძღვარს „ნოხთა პირსა მიეგებვის და მიესალმოს“¹⁶.

რისთვის სარგებლობს ასეთი პატივისცემით მოძღვართ-მოძღვარი?

არსებული მასალის გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ გელათის მონასტერა ქართველ მეფეთა და ზოგჯერ მათი ოჯახების წევრების სულის მწირველთა სადგომს წარმოადგენდა. კერძოდ, დავით ნარინის მეუღლის, თამარ დედოფლის გელათისადმი შეწირულების დაწერილში (1260-1293 წწ.) იხსენიებიან დიდი მოძღვართ-მოძღვარი, დავითის მწირველი ანტონი, პატრონთა მწირველი, დიდი მონასტრის წინამძღვარი იოანე, თამარის მწირველი, დეკანოზი ილარიონი და თვით დაწერილის გამცემი თამარ დედოფლის მწირველი, კანდელაკი იოანე¹⁷. აქ თამარ დედოფალი გელათის მონასტრის სწირავს სოფელ კვახჭირს და გლეხებს, ხოლო სამაგიეროდ აწესებს თავის აღაძს, რომელიც კანდელაკმა იოანემ და ამ თანამდებობაზე მისმა შემცვლელებმა უნდა აღასრულონ.

იმერეთის მეფე ალექსანდრეს და მისი მეუღლის, თამარის 1495 წლის საბუთშიც შეწირულობის სანაცვლოდ მოძღვართ-მოძღვრისაგან „უამის წირვის“ მოვალეობა ჩანს¹⁸.

იმავე ხანის (1509 წ.) საბუთში მოხსენიებულია „ჩუენის სულის მოძღვარი“ და მოძღუართ-მოძღუარი ილარიონი¹⁹, რომელსაც შეწირულობის დანაკისრად მეფის ოჯახისთვის სამუდამო აღაძის „გაჩინა“

ზაგრატ III იმერეთის მეფისა (1510-1564) და მისი მეუღლის 1519 წლის საბუთში ვითხულობთ: „შევსწირეთ (ნების-სოფელი — ს. გ.) მონასტერსა გენათისასა... და მივაბარეთ სასოსა ჩუენსა მოძღუართ-მოძღუარსა ილარიონს ჩუენისა სულისა სააღაპოდ“²⁰ (გაზი ჩენია. გ.).

დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა ზაგრატ III-ის 1519 წლის კიდევ ერთი საბუთი, რომლის მიხედვითაც „უთა დიდ-მარხვათა შიგან მოძღვართ-მოძღვარი სწირევედეს პატრონისა მეფისა ალექსანდრესათს და პატრონისა დედოფლისა თამარისათს“²¹.

ცნობილია, რომ გელათი ქართველი მეფეების „საძვალეს“ წარმოადგენდა. მას საქმე მხოლოდ მეფესთან აქვს, მხოლოდ მას ემორჩილება. გელათის მონასტერში მხოლოდ მეფეს და მისი ოჯახის წევრებს აქვს აღაძი გაჩენილი. იგი მეფის „სტავროპოგიაა“. მოძღვართ-მოძღვარად, რა თქმა უნდა, მეფისათვის სასტრუველი პირები იწინებდნენ. საინტერესოა ნ. მარის მიერ გამოცემული „იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“ დაცული ცნობა: „ქედო,

15 ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამ., თბ., 1970, გვ. 43.

16 იქვე, გვ. 44.

17 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამ., ტ. II, თბ., 1965, გვ. 75-76.

18 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ფორდანიას მიერ, წ. II, ტფ., 1897, გვ. 310—311.

19 იქვე, გვ. 327.

20 იქვე, გვ. 341.

21 იქვე, გვ. 343.

მფლობელო ყათაო, შეუხდევ ყანი ცოდვანი დიდისა მწსტრისა ბერსა მოძღვრთ მოძღვრსა ან ტონი გოდობრელსა. ესე წიგნი მარგალიტი საწოლის მწიგნობრობასა (!) მისსა შინა დაეწერინა“²². აქედანაც ცხადი ხდება, თუ რამდენად ახლო უნდა მდგარიყო მეფესთან მოძღვართ-მოძღვარი. საყურადღებოა, რომ საწოლის მწიგნობარი მაღალი სასულიერო იერარქებისგან აღირჩეოდა. მაგალითად, მე-13 საუკუნის ერთ-ერთ სიგელს ამტკიცებს „იშხნეყოფილი და აწ საწოლისა მწიგნობარი ანტონი“²³.

ე. თაყაიშვილის აზრით მოძღვართ-მოძღვარი ეპისკოპოსია,²⁴ მაგრამ დამატაცივებელი საბუთი თითქოს არა სჩანს.

ვახუშტის მიხედვით გელათი „პირველად იყო მონასტერი, შემდგომად ჰყო ბაგრატი საეპისკოპოსოდ“²⁵. ეს, როგორც ბაგრატი III იმერთა მეფის²⁶ და აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქის, მალაქიას²⁷ მიერ გაცემული საბუთებით მტკიცდება, მოხდა 1519 წელს, ე. ი. ილარიონ მოძღვართ-მოძღვარის გარდაცვალებისთანავე²⁸.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1519 წლამდე არცერთი საბუთი არ გვიჩვენებს, რომ გელათში საეპისკოპოსო ყოფილიყო. ვერ ვხედავთ „გენათელს“ ეპისკოპოსთა ვერც ერთ ჩამოთვლაში. 1519 წლის (გელათში საეპისკოპოსოს შექმნის) წინა ხანებშიც გელათის მოძღვართ-მოძღვარი იგივე შინაარსით გვხვდება, როგორც მე-13 საუკუნეში. ამიტომ, ჩვენი აზრით, მის ეპისკოპოსობას იმდენი მნიშვნელობაც არ ექნებოდა მეფისათვის, რამდენადაც საქართველოს მეფეთა „საძველეს“ მეთვალყურეს და ხშირად მეფისა და მისი ოჯახის წევრების „სულის მწირველს“.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მოძღვართ-მოძღვარს განათლების საქმესთან უნდა ჰქონოდა კავშირი. „ველმწიფის კარის გარიგებაში“ ვკითხულობთ: „მოძღვართმოძღვარი დარბაზს აწვიონ, და შინაური დარბაზის ერი უნდა და ერთი ჯორი და სამი ცხენი, — მოძღვართმოძღვარისათვის, — და ორნი — მისთა მოწაფეთათვის“²⁹. მაშასადამე, ჩანს, რომ მოძღვართ-მოძღვარი „მასწავლებელთა მასწავლებელია“, ის მეცნიერთა-მეცნიერია. მას მოწაფეები ჰყავს. რას ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ გელათში უმაღლესი სასწავლებელია, აქ აკადემია და ამ აკადემიის ხელმძღვანელი უფროსი ანუ ახლანდელის ტერმინოლოგიით, რექტორი“³⁰. ასევე ფიქრობენ ივ. ჯავახიშვილი³¹, კ. კეკელიძე³², გ. თავზიშვილი³³ და სხვ.

22 ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1955, გვ. 49.

23 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამ. ტ. III, თბ., 1970 გვ. 160.

24 „ველმწიფის კარის გარიგება“, ე. თაყაიშვილის რედ., თბ., 1920, გვ. XXX.

25 „ქართლის ცხოვრება“, წ. IV, თბ., 1973, გვ. 754.

26 ქრონიკები, II, გვ. 336.

27 იქვე, გვ. 342-343.

28 იქვე, გვ. 335-336.

29 ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამ., თბ. 1970, გვ. 43.

30 „ველმწიფის კარის გარიგება“ ე. თაყაიშვილი რედ., თბ., 1920 გვ. XXX.

31 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბ. ტ., VII, თბ., 1984, გვ. 51-52.

32 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980, გვ. 84.

33 გ. თავზიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, თბ. ტ. I, თბ., 1974, გვ. 54.

ჯ. აფციაური მოძღვართ-მოძღვარს სხვა, ცნობილი მოძღვრების გამომზრდელ ადამიანად მიიჩნევს³⁴.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოძღვართ-მოძღვარი იყო საქართველოს უგანათლებულესი ადამიანი, სახელმწიფოს უპირველესი მეცნიერი-თეოლოგი, ფილოსოფოსი, რომელსაც რელიგიურ-თეოლოგიურ პაექრობებზე მართლმადიდებლური ეკლესია უნდა დაეცვა. ამაზე მიგვიბრუნებენ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთი ცნობა. დავით მეფე ესწრებოდა სომხეთის ეკლესიის წარმომადგენლებთან გამართულ „სიტყვს-გებას და გამოძიებას სჯულისა“³⁵, სადაც ყველა ვააკვირვა თავისი ცოდნითა და განათლებით ღვთისმეტყველებაში. დავითის ისტორიკოსი წერს: „ჩვენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღვართა თქუენტთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღვარი მოძღვართა, რომლისა ბრტყალსა ვერ მიწუღართ არიან ეგე მოძღვარ საგონებელნი თქუენნი“³⁶. ე. ი. შენ „მოძღვართ-მოძღვარივით“ გამოავლინე ცოდნა პაექრობაშიო.

ბიზანტიამიც იყო მოძღვართ-მოძღვარის მსგავსი თანამდებობა — ფილოსოფოსთა ჰეპატოსი³⁷, რომელიც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, მაგრამ მისი უპირველესი მოვალეობა რელიგიურ-თეოლოგიურ დისპუტებზე მართლმადიდებლური ეკლესიის დამცველად გამოსვლა იყო³⁸, რადგან საერთო ფილოსოფიასთან ერთად თეოლოგიის ცოდნა განათლების უმაღლეს საფეხურად ითვლებოდა³⁹. საფიქრებელია, რომ ასევე უნდა ყოფილიყო ჩვენთანაც.

ამგვარად, მოძღვართ-მოძღვარი უნდა ყოფილიყო ქართული მეფეების და ხშირად მათი ოჯახის წევრების „სულის მწირველი“, მათი „სამგაღეს“ მეთვალყურე და ამასთანავე სახელმწიფოს მეცნიერი-თეოლოგი, გელათის აკადემიის რექტორი და განათლების მესვეურიც.

С. А. ГОГИНАВА

О ФУНКЦИИ ПРОСВЕЩЕНИЯ ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ XI—XV В. В.

Резюме

В работе рассмотрен вопрос ведомства просвещения в грузинском государственном праве.

Дошедший до нас нормативный и фактический материалы показывают, что этот вопрос был, по-видимому, обособленным и им должен был вестись модзгварт-модзгвар (учитель учителей) — средоточие идеологии и ректор Гелатской академии, а не мцигнобартухуцес (премьер-министр и канцлер), который лишь совмещал бы это со своими основными функциями.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ

³⁴ ჯ. აფციაური, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, თბ., 1980, გვ. 75.

³⁵ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ქართლის ცხოვრება“, I თბ., 1955, გვ. 356.

³⁶ იქვე, გვ. 357.

³⁷ П. Безобразов, Византийский писатель и государственный деятель Михаил Пселл, ч. I, М., 1890, гл. 54, შენ. I. და განსაკუთრებით გვ. 123; Н. Скабаланивич, Христианское чтение, 1884, ч. I, гл. 367.

³⁸ М. А. Андреева, Очерки по культуре византийского двора в XIII веке, Прага. 1927, гл. 46-77, 138.

³⁹ იქვე, გვ. 138.

რეცენზია, ინფორმაცია, ქრონიკა

„ქართული სამართლის ძეგლების“ რეაბრმეული

1985 წელს დამთავრდა პუბლიკაცია „ქართული სამართლის ძეგლების“ რეაბრმეულისა, რომელთაგან თითოეული ტომი თავისი მოცულობით ორ და ზოგჯერ სამ ტომსაც კი მოიცავს. ამით მკითხველი საზოგადოების სამსჯავრო-სხე წარმოდგენილია დიდი ისტორიულ-იურიდიული ფასეულობის მქონე ძეგლ-თა კრებული, რომელთა მართებულმა ანალიზმაც ჩვენს წინაშე უნდა წარმო-ადგინოს წარმობრივ ურთიერთობათა ფეოდალური ტიპის ქართული სახეო-ბის ანუ ვარიანტის თავისებურებანი.

თუ საზოგადოების განვითარების კანონები შეცნობადია, მაშინ სოცია-ლურ-ეკონომიკური განვითარების მკვლევარს უმაღლეს ამოცანას შეადგენს იმ კანონების დადგენა, საზოგადოებრივი ყოფიერების ევოლუციის ობიექტუ-რი ლოგიკის, ისტორიული აუცილებლობის ტენდენციის ძირითად მიმართუ-ლებათა, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა ამოხსნა-ამოცნობა.

ცნობილია, რომ ამიერკავკასიის ზოგიერთ რეგიონში მოქმედი მუსულმან-ური სამართლის ნორმები ზუსტად ვერ ასახავდა არსებულ ეკონომიურ ურ-თიერთობებს. განსხვავებით ამისგან, ქართული სამართლის ძეგლებში ასახუ-ლი ნორმები, როგორც გახლდათ ქვეყნის წესთა სისტემური ერთობლიობა, არა მარტო შეესაბამებოდა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას, არა მარტო მისი უბრალო გამოხატულება იყო, არამედ ის იყო, როგორც წესი, ქვეყნის სო-ციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შინაგანად დაკავშირებული გამოხატუ-ლება. ქართული სამართალი რიგი საუკუნეების მანძილზე სოციალური პრო-გრესის საქმეს ემსახურებოდა.

სამართლის ისტორია კონკრეტული სამართლებრივი ძეგლების საფუძველ-ზე შეისწავლება. 1890 წლის 5 აგვისტოს ფრ. ენგელსი კ. შმიდტისადმი მიწე-რილ სამეცნიერო ხასიათის ბარათში აღნიშნავდა, რომ მთელი ისტორია ხელ-ახლა უნდა იქნას შესწავლილი, დეტალურად უნდა იქნას გამოკვლეული სხვა-დასხვა საზოგადოებრივი ფორმაციების არსებობის პირობები, ვიდრე შევე-ცდებოდეთ გამოვიყვანოთ იქიდან მათი შესაბამისი პოლიტიკური, კერძო-იური-დიული, ესთეტიკური, ფილოსოფიური რელიგიური და სხვა შეხედულებანი. „ამ მხრივ დღემდე ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული, იმიტომ რომ მასზე ძალიან მცირერიცხოვანი ადამიანები მუშაობდნენ სერიოზულად. აქ ჩვენ დი-დი დახმარება გვჭირდება, ასპარეზი უსაზღვროდ დიდია და ვისაც სერიოზუ-ლად მუშაობა უნდა, ბევრი რამის გაკეთება და თავის გამოჩენა შეუძლია“¹.

1890 წლიდან დღემდე ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, ბევრი რამ გა-კეთდა. მსოფლიო ისტორიის მასალები და მათ შორის სამართლის ისტორიის ძირითადი ძეგლები უკვე მნიშვნელოვანწილად შესწავლილია; მაგრამ აქვე უნ-

1 კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 390—391.

და ითქვას, რომ ქართული სამართლის ძეგლების შესწავლილობის ისტორიული საფეხური ამჟამად ჩამორჩება მისსავე მეცნიერული ღირებულების დონეს.

მკვლევარებს ხელს უშლიდათ ის გარემოება, რომ არ გავგაჩნდა ქართული სამართლის ძეგლების რამოდენამდე სრული და მეცნიერული გამოცემა. სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოთხოვნილება მათზე კი დიდი იყო. ამ გარემოებამ უბიძგა ი. დოლიძეს, ხელი მოეკიდა ქართული სამართლის ძეგლების გამოცემისათვის. ქართული სამართლის ძეგლების სერიოზულად გაანალიზება-შესწავლის გარეშე შეუძლებელია საქართველოს ისტორიის, ქართული სამართლის ისტორიის, საქართველოს ეკონომიური ისტორიის დაწერა. ხსენებული იურიდიული ხასიათის ძეგლები და დოკუმენტები შეიცავენ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას ძველი საქართველოს ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შესახებ. ქართველი ხალხის გენია, ცოცხლობა და ცოცხლობს არა მარტო მის ხელოვნებასა და ლიტერატურაში, არამედ აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური თუ სამართლებრივი ყოფის ამსახველ ძეგლებშიაც. ამიტომაც სათუთად უნდა მოვეპყრათ მათ. ერთი ცნობილი მეცნიერის თქმით — „მარმარილოში, ბრინჯაოში, მოზაიკასა და ფრესკებში, თავი რომ დავანებოთ ლიტერატურას, დღემდე ცოცხლობს ანტიური ქვეყნების გენია“.

ასევე ძველი საქართველოს შემოქმედებითი ძალა, ენერჯია და ნიჭი, მისი ტალანტები ცოცხლობს არა მხოლოდ ათონელებში, მერჩულესა და რუსთაველში, ოპიზრებსა და „ქართლის ცხოვრების“ ავტორებში, არამედ აგრეთვე ქართულ ენაში, ქართულ არქიტექტურასა და ქართული სამართლის ძეგლებში, ქართულ ისტორიულ საბუთებში.

როგორც აკად. მ. ბროსე სამართლიანად აღნიშნავდა „პირველი წყარო ქართული ისტორიისა უნდა იყვნენ გუჯრები და ზედწარწერები... ეს არის პირველი ნამდვილი წყარო და საფუძველი ისტორიისა“...

შეგნებული ჰქონდათ რა ქართული ისტორიულ-იურიდიული დოკუმენტების მნიშვნელობა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისშიც ქართული პრესა პერიოდულად, შესაძლებლობის ფარგლებში მათ აქვეყნებდა. არა ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-იურიდიული ხასიათის საბუთი გამოქვეყნდა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში. მაგრამ სიგელ-გუჯრების მნიშვნელოვანი სისტემატური პუბლიკაცია პირველად დიმიტრი ფურცელაძემ (1818-1890) განაზოციელა. მან რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ქართული რჩეული სიგელ-გუჯრების შემოკლებული თარგმანები. ცხადია, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო საბუთების ქართული ტექსტების გამოქვეყნება, მათი შეუცდომლად ამოკითხვა და ასეთნაირად საზოგადოებისათვის მიწოდება.

1892-1897 წლებში დაიბეჭდა მკვლევარი თედო ყორღანის „ქრონიკების“ ორი დიდი ტომი. ამ გამოცემამ კარგი სამსახური გაუწია მეცნიერებს, მაგრამ მისი ნაკლი ის გახლდათ, რომ წაბუთები შემოკლებით იყო დაბეჭდილი.

1899-1910 წლებში ეჭვითვე თაყაიშვილის მიერ გამოცემულმა „საქართველოს სიძველენის“ სამმა დიდმა ტომმა, სადაც მოთავსდა XI-XIX საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-იურიდიული დოკუმენტები, წარმოაჩინა ქართული საბუთების ნამდვილი ღირებულება ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის.

1913 წელს ისტორიკოსმა სარგის კაკაბაძემ გამოაქვეყნა „ისტორიული საბუთების“ ხუთი წიგნი. 1921 წელს მას მოჰყვა „დასავლეთ საქართველოს სა-

ეკლესიო საბუთების“ ორი ტომი. ს. კაკაბაძე თავის გამოცემას ახასიათებდა წინასწარი გამოცემის ხასიათის მქონედ. მკვლევარები მართებულად აღნიშნავენ, რომ ხსენებული პუბლიკაციის მნიშვნელობა დიდი იყო იმ მხრივაც, რომ მასში შესული მრავალი საბუთი სამოქალაქო ომის დროს სამუდამოდ განადგურდა ჩრდილოეთ კავკასიაში და ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულმა საბუთებმა შემოგვინახა ისინი მეცნიერებისათვის.

ქართული სამართლის ერთ-ერთი ძეგლის პირველი სანიმუშო გამოცემა განახორციელა ლევან მუსხელიშვილმა, „ვაჰანის ქუბათა განგების“ სახით.

ქართული საბუთების კრიტიკული გამოცემის მნიშვნელოვან ცდას წარმოადგენდა აკად. ნიკო ბერძენიშვილის პუბლიკაციები „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“ (სამი ტომი) და „დოკუმენტებში საქართველოს სოციალური ისტორიისათვის“ (ორი ტომი), აქვე უნდა მოვიხსენიოთ თ. ენუქიძის, დ. უჩანეიშვილის, მ. ბურჯანაძის, მ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემული მნიშვნელოვანი სამართლის ძეგლები და ისტორიულ-იურიდიული ხასიათის დოკუმენტები.

დაიწყო „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ გამოცემა. გამოცემლობა „მეცნიერებამ“ 1984 წელს დასტავა „ამ სერიის პირველი წიგნი — ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს.“, რომელიც შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა.

ცხადია, ზემოხსენებული ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის გამოცემას დიდი მნიშვნელობა ექნება საისტორიო მეცნიერების, მათ შორის ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების განვითარებისათვის, რადგანაც ხსენებული პუბლიკაცია გულისხმობს კრიტიკულად დადგენილი და სათანადო სამეცნიერო-საცნობარო აპარატით განმარტებული ტექსტების წარდგენას მკითხველი საზოგადოებისათვის.

ამ დიდი წამოწყების შიგნით გარკვეული ადგილი დაეთმობა, ცხადია, იურიდიული, სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტების გამოცემასაც. მაგრამ სანამ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის გამოცემა დამთავრდება, არა ერთი წელი გაივლის. ე. თაყაიშვილის, ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის და ი. დოლიძის გამოცემებს კვლავ დიდხანს ექნებათ დამკვიდრებული საპატიო ადგილი ქართულ წყაროთმცოდნეობაში.

1963 წელს დაიბეჭდა „ქართული სამართლის ძეგლების“ პირველი ტომი, რომელშიაც შევიდა ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შედგენილი, თარგმნილი თუ ეროვნულ სიმკვლეტისადაცემაში მოძიებული სამართლის წიგნების კრებული.

მეფე-კანონმდებლის სახელის მატარებელ წიგნში გავრთიანებულია, როგორც უცხოური, ისე ქართული, ორიგინალური ხასიათის სამართლის წიგნები. თუმცა საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი უკვე გამოცემული იყო, მთლიანად ვახტანგის კრებული ასე თავდაპირველ-თავმოყრილი სახით პირველად ქვეყნდებოდა.

დიდა ხსენებული გამოცემის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. ის მეტად საჭირო წიგნია ყველა ქართველოლოგისათვის, დაფასებული როგორც უცხოელი, ისე საბჭოთა მეცნიერების მიერ. ეს თითქმის რეასპერდიანი წიგნი შეიცავს უმდიდრეს ინფორმაციას ფეოდალურ-ქრისტიანული ქვეყნების სამართლის ისტორიის შესახებ.

ასეთი ერთენოვანი სამართლის წიგნების კრებული იშვიათია ისტორიაში. შუა საუკუნეების სერბიაში შექმნილ სტეფანე დაუშანის სამართლის წიგნს, მართალია, კრებულის სახე აქვს, მაგრამ ის სხვა აგებულებისაა. აქ სერბიულ და ბერძნულ ენებზე, სერბი და ბერძენი მოსახლეობისათვის განკუთვნილი ორი სამართლის წიგნია მოთავსებული. ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შედგენილ სამართლის წიგნთა კრებული კი მხოლოდ ერთ, ქართულ ენაზეა შედგენილი. მასში მოთავსებული უცხოური სამართლის წიგნები — მოსესი, სომხური, ბერძნული, თარგმნილია ქართულ ენაზე, და ამ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობის გამოსაყენებლად იგულისხმება.

ცხადია, თანდათან კრებულის ასზე მეტი ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე შეიძლება უფრო სრულყოფილი გამოცემის მომზადებაც, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, ამიერიდან ვახტანგ მეექვსის განკარგულებით თარგმნილ და შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულის პირველი ქართული გამოცემა ისინდორე დოლიძის სახელთან იქნება დაკავშირებული.

1965 წელს დაიბეჭდა „ქართული სამართლის ძეგლების“ მეორე ტომი. წიგნში მოთავსდა 164 მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი ქართული საერო სამართლისა, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოპიზის ცნობილი სიგელი, დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და თამარ მეფის მიერ გაცემული სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები, მეფეთა კურთხევის წესი, „დასტურამალი“ და ა. შ.

„ქართული სამართლის ძეგლების“ მესამე ტომში, რომელიც თავისი მოცულობით სქელტანიანი წიგნის ტოლია და მოიცავს 1320 გვერდს, გამოქვეყნდა 559 დასახელების სხვადასხვა ძეგლი, რომლებშიაც უმთავრესად სასულიერო სამართლის ნორმებია გადმოცემული. აქ გამოქვეყნებულია სჯულდების წიგნები, საეკლესიო კრებთა და სამონასტრო კრებულთა განჩინებები, სიგელ-გუჯრები თუ კათოლიკე ეპისტოლეონი. ხსენებულ ტომშია მოთავსებული რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, ვაჰანის ქებათა ვანგება, განწესება დავით გარეჯის მონასტრის რიგისა, განჩინება საეკლესიო კრებისა სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე, 1748 წლის საეკლესიო კრების კანონები, დადგენილება საეპისკოპოსოთა მართვის შესახებ და ა. შ.

„ქართული სამართლის ძეგლების“ მეოთხე ტომში, რომელიც 1972 წელს დაიბეჭდა, მოთავსებულია გვიანი შუა საუკუნეების ხანის 534 დოკუმენტი, ძირითადად სასამართლო განჩინებაში. ცნობილია, რომ სასამართლო აქტებს, როგორც მოქმედი სამართლის შესწავლის წყაროს, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ყოველი ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლისათვის. ხსენებულთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი წერდა: „სწორედ დაუფასებელი განბია ეს უკანასკნელი წყარო იმიტომ, რომ იგი მოქმედი სამართლის ვითარებას გვისურათებს და პირუთვნელ საბუთს წარმოადგენს“.

ქართული განჩინებანი, შედარებითი სამართლისმცოდნეობის თვალსაზრისით დიდად ღირებული, ფასეულ ისტორიულ მასალებს წარმოადგენდნენ. მხოლოდ ისტორიულ შედარებით სამართლისმცოდნეობას შესწევს უნარი ჩასწვდეს სოციოლოგიური კანონზომიერების ტენდენციებს და სწორი წარმოდგენა იქონიოს ხალხთა ისტორიის ისეთ პერიოდზე, რომლის შესახებაც სრულიადაც არ იკავაჩნია წერილობითი ძეგლები.

„ქართული სამართლის ძეგლები“-ს მეხუთე ტომში მოთავსდა XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის სასამართლო განჩინებები. ტომი დაიბეჭდა

1974 წელს. მეტად საინტერესოა აქ მოთავსებული 403 დოკუმენტი. თითოეული მათგანი ცალკე გამოკვლევის ღირსია. განჩინებები დადგენილია მეფეთა, კათალიკოსთა, მდივანბეგთა „მელიქ-მამასახლისთა და ქეთხუდათა მიერ“. ტომში შევიდა აგრეთვე დიკასტერიისა და მედიატორეთა სასამართლოების რამდენიმე განაჩენიც.

ხსენებულ ტომში გამოქვეყნებული განჩინებები გვაწვდიან ძვირფას ინფორმაციას სასამართლო მტკიცებულებების, მიწისმფლობელობის ფორმების, სანივთო სამართლის, მემკვიდრეობის სამართლის, ხალხის მატერიალური კულტურის შესახებ. უნიკალურია ცნობები ქუჩაში კარის გაღების უფლებისა და ფანჯრის ამოქოლის უფლების შესახებ.

„ქართული სამართლის ძეგლების“ მეექვსე ტომში, 1977 წელს, დამატებით გამოქვეყნდა 384 სასამართლო განჩინება. ხსენებულ წიგნში დაიბეჭდა XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის სასამართლო განჩინებები, განჩინებათა დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება. ი. დოლიძემ განჩინებების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების აკად. მარი ბროსეს ფონდში მოიპოვა.

„ქართული სამართლის ძეგლების“ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ტომებში სულ 1450 განჩინება გამოქვეყნდა, რომლებიც თითქმის სამსაუკუნე ნახევარს მოიცავს (XVI-XIX სს.). ამიერიდან ხსენებულ წიგნებში მოთავსებული განჩინებების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ყოფისა და კულტურის ისტორიის, მისი სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის დაწერა. „ძეგლების“ ხსენებული ტომების ფურცლებზე მკითხველი იპოვნის მთელი სოციალური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნამდვილ, შეუღამაზებელ სურათს.

1981 წელს დაისტამბა „ქართული სამართლის ძეგლების“-ს მეშვიდე ტომი. ხსენებულ სქელტანიან წიგნში გამოქვეყნდა 863 სასამართლო არზა-ოქმი.

არზა-ოქმების სახით ქართულმა სინამდვილემ შემოგვინახა განსაკუთრებული სახის იურიდიული დოკუმენტები, სადაც ასახვა ჰპოვა სასამართლო პრაქტიკის მემკვიდრეობით სამართალგანვითარების პროცესმა.

არზა-ოქმი თავისებური შედგენილობის დიპლომატიკური აქტი იყო, რომლებშიაც თითქმის სრულყოფილი ასახვა ჰპოვა ეპოქის მართლშეგნებამ, ფეოდალურმა სამართალწარმოებამ და საერთოდ სოციალურმა პრაქტიკამ.

არზების დიდ ნაწილს ამშვენებს ერეკლე მეორის ოქმები. ირკვევა, რომ ერეკლე მეფე საუკეთესო მცოდნე იყო ქართული სამართლისა და ქართული ენისა. მისი ბრძანებები და განკარგულებები ხელს უწყობდა ეროვნული სჯულმდებლობის განვითარებას.

1985 წელს დაიბეჭდა „ქართული სამართლის ძეგლების“ მერვე ტომი. ამჯერად გამოქვეყნდა 956 სასამართლო არზა-ოქმი და კერძო სამართლებრივი აქტი. ეს სქელტანიანი წიგნი შედგება 1026 გვერდისაგან და წარმოადგენს მეშვიდე ტომის უშუალო გაგრძელებას და შეიცავს სასამართლო არზა-ოქმებს, შედგენილს 1789 წლის აგვისტოდან ვიდრე 1853 წლამდე. ტომში დაბეჭდილია აგრეთვე სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი წლების (1840-1856) საკანონმდებლო აქტები. ამ ხანებში სამთავროს სახელმწიფო ენად ქართული ითვლებოდა და ქართული იურიდიული ტრადიციებიც აქ გრძელდებოდა, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში სხვა ვითარება იყო. იქ უკვე რუსული ითვლებოდა სახელმწიფო ენად. სამეგრელოს სამთავროდან ჩვენამდე მოღწეულ

საბუთებში მრავალ საინტერესო დადგენილებას ვხვდებით: მაგალითად, ვალში მიძევალთა მიცემის აკრძალვას, სასულიერო პირთა გათავისუფლებას „მონებისაგან მებატონეთასა“ და ა. შ.

ისიღორე დოლიძემ ოცდაათი წელი იმუშავა ქართული სამართლის საკითხებზე და გამოაქვეყნა 3863-ზე მეტი დასახელების დიდი თუ მცირე მოცულობის სამართლებრივი შინაარსის ძეგლი, რომ არაფერი ვთქვათ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულის გამოცემის შესახებ.

ცხადია, ასეთი დიდი საქმე ისე ვერ გაცეთებოდა, რომ ავტორს არ მოსვლოდა ცალკეული შეცდომები, მაგრამ, რაც გაცეთდა, მეტად მნიშვნელოვანია. „...და გავაკეთეთ, რის გაცეთებაც შეეძელით“—ო წერდა ი. დოლიძე — „ქართული სამართლის ძეგლების“ მერვე ტომის წინასიტყვაობაში და იქვე დასძენდა:

„...ქართული სამართლის ძეგლების“ რეკომენდულის სახით მკითხველსა და მკვლევარს ხელთ აქვს ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი წერილობითი წყაროები, რომლებშიაც ასახულია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცივილიზაციისა და სამართლებრივი კულტურის განვითარების დონე“ (XII).

ქართული სამართლის ძეგლების რეკომენდულის გამოცემას მოწონებით შეხედნენ სამეცნიერო და მკითხველთა ფართო წრეები.

ვიორგი ნაღარაიშვილი

სასარგებლო ნაწროში მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ

საბჭოთა იურიდიული მეცნიერება მდიდარია პასუხისმგებლობის პრობ-
ლემებზე შექმნილი გამოკვლევებით. მათ შორის საგრძობია ქართველ მეც-
ნიერთა ღვაწლიც. სამართლის მეცნიერების ცალკეულ დარგებში ინტენსიუ-
რი მუშაობა მიმდინარეობს. ჯეროვანი ყურადღების ცენტრშია მუშა-მოსამსა-
ხურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხები, რომელთაც ნაყოფი-
რად იკვლევს თსუ სამოქალაქო სამართლის კათედრის დოცენტი, ლ. ადგიშვი-
ლი. ამ წერილში გვინდა შევჩერდეთ მის მონოგრაფიაზე „მუშა-მოსამსახურე-
თა მატერიალური პასუხისმგებლობა“, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტმა გამოსცა 1985 წელს. ნაწროში ოთხი თავისაგან შედგება და მოი-
ცავს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის თითქმის ყვე-
ლა ძირითად საკითხს. ავტორი ნაწრომის პირველ თავში ადგენს მუშა-მოსამ-
სახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის ცნებას, მიჯნავს მას ქონებრივი
პასუხისმგებლობის ცნებისაგან. საქმე ისაა, რომ ქონებრივი და მატერიალურა
პასუხისმგებლობის სიახლოვე ზოგჯერ იწვევს ამ ცნებათა აღრევას პრაქტიკა-
ში. განსაკუთრებით ეს ხდება მაშინ, როდესაც მუშაკი ორგანიზაციის წინაშე
პასუხს აგებს რეგრესული სარჩელით. ცნობილია, რომ სამოქალაქო-სამარ-
თლებრივ ურთიერთობებში მუშაკის ბრალით მიყენებული ზიანისათვის და-
ზარალებულის წინაშე პასუხს აგებს ორგანიზაცია და ეს პასუხისმგებლობა
სამოქალაქო-სამართლებრივია, ზიანის სრული ანაზღაურების პრინციპი მოქ-
მედებს. მაგრამ აქედან გამომდინარე რეგრესული სარჩელით მუშაკის
პასუხისმგებლობა ორგანიზაციის წინაშე მატერიალურ-სამართლებრივია.
სასამართლო პრაქტიკაში კი ზოგჯერ აიგივებდნენ ამ ორ განსხვავებულ ურ-
თიერთობებს და ქონებრივ პასუხისმგებლობის ნორმებს იყენებდნენ ორგა-
ნიზაციის წინაშე მუშაკის პასუხისმგებლობისას, რაც არაა სწორი. ამის თა-
ობაზე ითქვა ლიტერატურაში, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუ-
მამაც მისცა სასამართლოებს მითითება. ამდენად, აღნიშნულ გამიჯნვას, რაც
ნაწროშია გაკეთებული, აქვს არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქ-
ტიკული მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ ნაწროში მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუ-
ხისმგებლობის ინსტიტუტი შესწავლილია ისტორიულ ასპექტში, რაც სრუ-
ლიად ლოკუტურია. თუ არ იცი პრობლემის ისტორია, მისი ფესვები, ისე
მოქმედ სამართალსაც ვერ შეიმეცნებ სწორად. ავტორი საკითხის შესწავლით
იმ დასკვნამდე მიდის, რომ საბჭოთა შრომის კანონმდებლობასა და შრომის
სამართლის მეცნიერებაში მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებ-
ლობის ინსტიტუტის ადგილი დღემდე არ არის სწორად გამოკვეთილი. მთელი
რიგი მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსები- მატერიალური
პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ნორმებს შეიცავენ თავში „გარანტიები
და კომპენსაციები“, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში კი მოცემულ
ნორმათა უმრავლესობა მოთავსებულია მეცხრე თავში „გარანტია საწარმოს,

დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. ვფიქრობთ, სწორია ავტორის დასკვნა, რომ „ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, რადგან ყველა მაჩვენებელი არსებობს იმისა, რომ მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობა გამოიყოს საბჭოთა შრომის სამართლის ცალკე ინსტიტუტად და მან კანონმდებლობაში დამოუკიდებელი ადგილი პოვოს“.

ნაშრომში ფართოდაა შესწავლილი მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძვლები, ფორმები და სახეები (შეზღუდული, სრული). ავტორი დაწვრილებით განიხილავს თითოეულ მათგანს. შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეა თანამდებობის პირის მატერიალური პასუხისმგებლობა მუშაკის უკანონოდ დათხოვნის და სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო. ადვილია პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრა, როცა თანამდებობის პირის უშუალო კომპეტენციაში შედის დათხოვნა, სხვა სამუშაოზე გადაყვანა. მაგრამ ვის დაეკისროთ პასუხისმგებლობა როცა სახეზეა კოლექტიური ორგანო. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ხელმძღვანელის პოზიცია უნდა შევისწავლოთ, მხარს უჭერდა იგი მუშაკის დათხოვნას, ან სხვა სამუშაოზე გადაყვანას თუ არა, ან კიდევ თავს ხომ არ იკავებდა, მოკლედ, მისი პოზიცია პოზიტიური იყო, ნეგატიური თუ ნეიტრალური. ცხადია, ნეგატიური პოზიციის დროს მას ვერ დავაკისრებთ პასუხისმგებლობას. ნაშრომში სწორადაა მითითებული, რომ „მუშაკის დათხოვნის საწინააღმდეგოდ მისი ნამდვილი აზრის გამოხატვა მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ ზემდგომი ორგანოს წინაშე საკითხის დასმა იქნება“. ასე, ლოგიკურიცაა, თუ არ ეთანხმები კოლექტიური ორგანოს აზრს, კიდევ უნდა გამოხატო ზემდგომი ორგანოს წინაშე საკითხის დასმით.

ნაშრომში ვრცლადაა საუბარი ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სრული მატერიალური პასუხისმგებლობის ზოგიერთ სადაო საკითხზე. ნაშრომში შესწავლილია აგრეთვე ზიანის ოდენობის განსაზღვრისა და ანაზღაურების წესი. ნაჩვენებია მისი ნებაყოფლობითი და იძულებითი ანაზღაურების ცალკეული შემთხვევები.

ნაშრომში მრავალი საინტერესო საკითხია წამოჭრილი და განხილული. შეიძლება ზოგიერთი მათგანის გადაჭრის გზებში არ დავეთანხმოთ ავტორს, სასურველი იყო უფრო მეტი მოცულობით ყოფილიყო წარმოჩენილი საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, ნაშრომი უთუოდ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული იურიდიული ლიტერატურისა, მასში განხილულ საკითხებს გარდა მეცნიერულ-შემეცნებითი დანიშნულებისა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ნაშრომის ანოტაციაში გატარებულ აზრს, რომ იგი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის საბჭოთა შრომის სამართლისა და სპეციალური კურსის „მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის“ შესწავლის მიზნით, რომ ნაშრომით შეიძლება ისარგებლონ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის მსმენელებმა, ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტებმა და სხვა დაინტერესებულმა მკითხველებმა, პასუხობს მისი შინაარსი.

რა ხნისაა ქართული ეკონომიკური ჟურნალი?

უკვე ტრადიციად იქცა ჟურნალ „ეკონომისტის“ საიუბილეო თარიღების აღნიშვნა. ჟურნალის 50 წლისთავს მიეძღვნა აკად. პ. გუგუშვილის სტატია „ქართული ეკონომიკური პუბლიცისტიკის ფლაგმანი“¹, ხოლო 60 წლისთავს სტატიები: ი. კრავცოვი — „მუდამ ცხოვრების შუაგულში“², ე. წიკლაური — „პირველი ნაბიჯები“³, ი. გოქსაძე — „ჟურნალმა სახე შეიცვალა“⁴. ჟურნალ „ეკონომისტის“ ისტორია შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: 1925 წელს იგი გამოდიოდა „ეკონომისტის“, 1926-1931 წლებში „საქართველოს ეკონომისტის“, 1931-1941 წლებში, — „საქართველოს სოციალისტური მეურნეობის“ სახელწოდებით. 1941-1957 წლებში ჟურნალი არ გამოდიოდა. 1958 წლიდან განახლდა ჟურნალის გამოცემა. 1967 წლამდე ჟურნალს ერქვა „საქართველოს ეკონომისტი“, 1967-1973 წლებში „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, ხოლო 1974 წლიდან იგი გამოდის „ეკონომისტის“ სახელწოდებით. საიუბილეო თარიღებისათვის ათელის წერტილად აღებულია 1925 წლის აგვისტო, როდესაც გამოვიდა ჟურნალ „ეკონომისტის“ პირველი ნომერი. აღნიშნული თარიღი, შეიძლება ითქვას, საყოველთაოდაა აღიარებული და მიღებული⁵. აქ ყველაფერი სწორია, მაგრამ ყოველთვის მკვეთრად არაა გამოკვეთილი და მოუშუადებელი მკითხველი შეიძლება დააბნიოს იმ გარემოებამ, თუ რის შესახებაა ლაპარაკი: 60 წელი ჟურნალ „ეკონომისტის“ დაარსებიდან თუ ქართული ეკონომიკური ჟურნალის არსებობის 60 წელი? არც ერთი და არც მეორე. ლაპარაკია ქართული საბჭოთა ეკონომიკური ჟურნალისა და საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ჟურნალ „ეკონომისტის“ გამოცემის 60 წლისთავზე. თორემ საბჭოთამდელ ქართულ პრესაში გამოდიოდა ქართული ეკონომიკური ორკვირიანი ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“, რომელიც იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე 1918-1919 წლებში და რომლის პირველი ნომერიც დაიბეჭდა 1918 წლის 13 სექტემბერს.

ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ გამოცემის თარიღები ქართული პუბლიცისტიკის, მათ შორის ეკონომიკური პუბლიცისტიკის, ისტორიაში შეცდომითაა მოტანილი. გ. ბაქრაძის მიერ შედგენილ ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში მისი გამოცემის წლად 1919 წ. მითითებული⁶. იმავე წელს

¹ ეკონომისტი, 1975, № 12.

² ეკონომისტი, 1985, № 8

³ ეკონომისტი, 1985, № 6.

⁴ ეკონომისტი, 1985, № 6.

⁵ Гугушвили П. В. Грузинская экономическая мысль, ეკონომიკა II, თბ., 1970, გვ. 31; მისივე, К истории грузинской экономической мысли, ეკონომიკა VI, თბ., 1974, გვ. 16.

⁶ გ. ბ. ბაქრაძე ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819-1945, თბ., 1947, გვ. 59, 223.

უთითებს აკად. პ. გუგუშვილი⁷. საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სპეციალურ ლიტერატურის ფონდში კი დატულია 1918 წელს გამოცემული „საქართველოს ეკონომისტის“ ნომრები, რომელთა საფუძველზეც ზემოთ მიუვითითეთ მისი პირველი ნომრის გამოცემის თარიღი.

„საქართველოს ეკონომისტის“ პროფილი, შინაარსი და ორიენტაცია ცალკე გამოკვლევის საგანია და მას არ შეეხებათ, მაგრამ ჩვენი მიზნისათვის უნდა აღინიშნოს მისი პროგრესული ხასიათი. ამის დადასტურებაა თუნდაც ის, რომ ჟურნალში თანამშრომლობდნენ ფ. გოგიჩაიშვილი, დ. თოფურაძე და სხვ. მის მთავარ რედაქტორს დიომიდე თოფურაძეს აკად. ვ. ჩანტლაძე ჟურნალ „ეკონომისტის“ 60 წლისთავისადმი მიცემულ ინტერვიუში ქართული საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების სათავეებთან მდგომ ღვაწლმოსილ მეცნიერთა შორის ასახელებს⁸.

ამდენად, ჩვენი აზრით, საფუძველს არაა მოკლებული, ჟურნალ „ეკონომისტის“ ასაკში და, შესაბამისად, მის საიუბილეო თარიღებში კორექტირების შეტანა — 7 წლით მისი „დაბერების“ მიმართულებით.

არის თუა არა 1918 წლის 13 სექტემბერი ამავე დროს პირველი ქართული ეკონომიკური ჟურნალის დაარსების თარიღი? ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ 1911-1919 წლებში გამოდიოდა ჟურნალი „კოოპერაცია“, „საქართველოს ეკონომისტზე“ უნდა ვილაპარაკოთ, როგორც პირველ ქართულ ეკონომიკურ ჟურნალზე, რამეთუ ის იყო პირველი წმინდა ეკონომიკური პრობლემების კვლევისადმი ორიენტირებული ჟურნალი. ალბათ უფრო სწორი იქნებოდა „საქართველოს ეკონომისტზე“ ვილაპარაკოთ მხოლოდ, როგორც ჩვენთვის დღემდე ცნობილ ქართულ ეკონომიკურ პუბლიცისტიკაში პირველ ჟურნალზე, ხოლო საბოლოო პასუხის გაცემა კითხვაზე, — თუ როდის გამოვიდა პირველი ქართული ეკონომიკური ჟურნალი? — ქართველ ეკონომისტთა საშურ და საპატიო საქმედ დავტოვოთ.

მიხეილ ჯიბუბი

⁷ პ. გუგუშვილი ქართული ეკონომიკური პუბლიცისტიკის ფლაგმანი, ეკონომისტი, 1975, № 12, გვ. 5.

⁸ ეკონომისტი, 1985, № 8, გვ. 19.

მსჯელობენ მეცნიერი იურიზტები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის პრობლემების საკორდინაციო სამეცნიერო საბჭომ ჩაატარა რესპუბლიკური კონფერენცია თემაზე „სკკპ XXVII და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობები და იურიდიული მეცნიერების ამოცანები“. კონფერენციის მუშაობაში რომელიც გაიმართა 1986 წლის 30 მაისს ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მონაწილეობდნენ რესპუბლიკის წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებების: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საბჭოთა სამართლის საფუძვლების კათედრის წარმომადგენლები, რომლებიც იკვლევდნენ სამართლის პრობლემებს.

ძირითადი მოხსენებით „სამართლებრივი მეცნიერების ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“ კონფერენციაზე გამოვიდა საკორდინაციო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი თ. შავგულიძე. მოხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის სტრატეგიული კურსი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისაკენ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერ-იურისტების წინაშე აყენებს მთელ რიგ პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც მოითხოვენ მეცნიერ-სამართალმცოდნეთა მონაწილეობის გააქტიურებას სოციალური პოლიტიკის მაკროსტრატეგიული მიმართულებათა განხორციელებაში. ამისთვის აუცილებელია სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკა გადაჭრით დაეფუძნოს იურიდიული პრაქტიკის კონკრეტულ საჭიროებებსა და მოთხოვნებს, აქტუალური პრობლემების ინტენსიური შესწავლა, რომელიც დაკავშირებულია, სოციალური სამართლიანობის და სოციალისტური კანონიერების პრინციპების დამკვიდრებასთან, ყურადღების გამახვილება სოციალისტური სამართლებრივი ურთიერთობების სისტემის სრულყოფის საკითხებზე, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება, საბჭოთა კანონების ზარისხის გაუმჯობესება, სამეცნიერო ძიებათა სტიმულირება მშრომელთა სამართლებრივი აღზრდისა და სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტურობის ამაღლების, ფორმებისა და მეთოდების განახლების მიმართულებით, იურიდიულ მეცნიერებაში ინერციის, შეფერხებისა და

კონსერვატიზმის მოვლენათა განუხრელი დაძლევა, მეცნიერული შემოქმედების ატმოსფეროს დამკვიდრება, მომწიფებული სოციალურ-სამართლებრივი პრობლემების გაბედული, ნოვატორული დასა და დამუშავება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის გ. ინწკირველის მოხსენება მიეძღვნა ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის განვითარებისა და სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის პრობლემებს, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ნინიძე თავის მოხსენებაში შეეხო იურიდიული მეცნიერების პრაქტიკასთან ურთიერთკავშირის განმტკიცების ამოცანებს. სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის მ. უვრეხელიძის მოხსენებაში განხილული იყო მართლწესრიგის განმტკიცების ობიექტური და სუბიექტური ასპექტები სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის გ. ტყეშელიძის მოხსენებაში განხილულია სისხლის სამართლებრივი შემოქმედების სრულყოფის პრობლემები. აგროსამრეწველო კომპლექსის სამართლებრივი რეგულირების საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი თ. ლილუაშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგემ, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა ა. გაბიაშვილმა თავისი მოხსენება მიუძღვნა ალკოჰოლიზმთან ბრძოლის სოციალურ-კრიმინოლოგიურ ასპექტებს. ლითონისა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლაში ადმინისტრაციული კანონმდებლობის როლზე იყო ლაპარაკი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ვ. ლორიას მოხსენებაში. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ჯ. ხეცურიანის მოხსენებაში განხილული იყო მეცნიერებისა და ტექნიკის კანონმდებლობის სრულყოფის პრობლემები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. მოსახლეობის მართლშეგნების სისხლის სამართლის პოლიტიკაზე შემოქმედების ფორმებზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ლეჟავამ. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ბაჩიაშვილის მოხსენებაში გაანალიზებული იყო მართვის სამართლებრივი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე.

კონფერენციაზე მოსმენილი იყო აგრეთვე სამეცნიერო ინფორმაციები და გაიმართა დისკუსია იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე.

კონფერენციაზე მიღებულია რეკომენდაციები სამართლებრივ მეცნიერებათა სფეროში კვლევის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისათვის სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებთან კავშირში.

შურნალ „მაცნე“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის 1986 წლის ნომრების შინაარსი

ეკონომიკა

- არბოლიშვილი რ., ფასის ფუნქციები და მათი განვითარება სოციალიზმის დროს, № 2.
- არევაძე ნ., პროდუქციის მასალატევალობის შემცირების ძირითადი მიმართულებანი, 3.
- ასმეტელი რ., განათლებრივი პოტენციალის ფორმირების შესახებ, № 3.
- აქუბარაძე თ., საკურორტო მეურნეობის ძირითადი ფონდების ეფექტიანობის მაჩვენებლების საკითხისათვის, № 3.
- ბრეგვაძე ა., დიასამიძე დ., საბჭოთა საქართველო — 65, № 1.
- ბერიძე თ., საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის რეგიონალური ასპექტი, № 1.
- ბურდული შ., კვიციავაშვილი ვ., მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება სახალხო-მეურნეობრივ აღრიცხვაში, № 1.
- პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრის ნორმატიული მეთოდისა და საწარმოო დანახარჯების ანრიცხვის სრულყოფის საფუძვლები, № 4.
- გველეხიანი მ., სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა გრძელვადიანი განვითარებისა და მისი რეგიონული ასპექტების შესახებ, № 4.
- დიასამიძე დ., მიწის გამოყენების ეფექტიანობა საქართველოს სსრ მთის რაიონებში აგრო-სამრეწველო ინტეგრაციის პირობებში, № 2.
- დათუნაშვილი ლ., ცენტრალიზებული ფონდების როლი რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების საქმეში, № 3.
- ესებუა მ., ინტენსიური ფაქტორების გავლენის ანალიზი ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებზე ადგილობრივი ასსრ სოფლის მეურნეობაში, № 2.
- თოფურიძე ფ., კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების რეალიზაციის ეკონომიკური ასპექტები, № 1.
- თოდუა გ., საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობის კვლევა ქართულ საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში, № 4.
- კაკულია მ., ტრანსნაციონალური ბანკები კაპიტალის მსოფლიო ბაზრების ეკონომიკური დაყოფისათვის ბრძოლაში, № 3.
- მგალობლიშვილი ლ., სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მეცნიერების როლის ამაღლების შესახებ, № 4.
- ნეიჭაძე კ., ქ. თბილისის მრეწველობის განვითარების ზოგიერთი ტენდენცია 1960—1985 წლებში, № 4.
- პაპავა, გ., ნაწილობრივ პროდუქტული მატრიცის მქონე დარჯთაშორისი მოდელის პროდუქტულობის პირობების შესახებ, № 1.
- პავლიაშვილი ს., ძირითადი საწარმოო ფონდების კვლავწარმოება საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, № 3.
- პაქსაშვილი დ., წარმოების განსაზოგადოების არსის საკითხისათვის, № 4.
- სტეფანიშვილი გ., მემოსტეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში (1921—1940 წწ.), № 1.
- სამადაშვილი უ., ხარბეია ჩ., წინსვლის რეალური პროგრამა, № 2.
- სარჩიშვილი რ., ჩხეტიანი მ., ზრდის ტემპის კოეფიციენტის შეფასება, № 4.
- ხავთასი ჯ., ტექნოლოგიური პროცესის აღწერისა და მისი ეკონომიკური მაჩვენებლების გამოშვების პრობლემა, № 1.
- ცომოია ნ., ლორთქიფანიძე თ., რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი რგოლი, № 2.
- აგაძელოთ რაიონული სამომხმარებლო კოოპერაციის ეფექტიანობა, № 3.
- ციცკარაშვილი ი., ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების პირდაპირი სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო კავშირები და მართვის რესპუბლიკური ორგანოების როლი მათს განხორციელებაში, № 3.
- ქართველიშვილი გ., მშრომელთა ეკონომიკური განათლების როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, № 2.
- შენგელია დ., მეხილეობის სანერგე მეურნეობების შექმნა-განვითარება საქართველოში, 1921—1926 წწ., № 4.



შვანტერი მ., სამრეწველო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მეთოდოლოგია — ფასები და ანალიზის მეთოდია, № 4.
ჩიქვა ლ., ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერება ახალ ხუთწლედში, № 2.

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

- გამურელიძე ო.**, პრესა და მართლმსაჯულება, № 1.
გვახაია მ., რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სტატუსის ზოგიერთი საკითხი, № 1.
გაბიაია ა., ლითონბასთან და ალკაჰოლიზმთან ბრძოლის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები თანამედროვე ენაზე, № 2.
ზოიძე ბ., საკუთრების სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებისათვის, № 1.
თოდრაია ვ., არასრულწლოვანთა, დანაშაულობანი — დედაქალაქის პრობლემა, № 2.
ინჭორიძე ვ., ქართველ მეცნიერ-იურისტთა როლის ამოღებისათვის კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, № 1.
კემულარია ე., სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენების პირობები, № 1.
კიკელია მ., საბჭოთა სამართალი და ეროვნული ჩვეულება-ტრადიციები, № 2.
ლე ვან კამი ვიეტნამის ფეოდალური სისხლის სამართლის ანტიხალხური არსი, № 1.
ღმუჯვა გ., სოციალური ინტერესი დამნაშავეობის პრობლემაში, № 1.
ღუთაია გ., ბაქანიძე რ., არასრულწლოვანთა დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემა საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოლოკვიუმზე, № 2.
ლაკობა ი., სოციალისტური დემოკრატიის განსხვავება ბურჟუაზიულისაგან, № 4.
მისკარიანი — შეყრილაძე ე., ოჯახის დაცვა სკკ XXVII ყრილობის შედეგზე, № 3.
მეტრეველი დ., ნარკოტიკების უკანონოდ დამზადებისა და გავრცელების სუბიექტი, № 3.
ნადარეიშვილი გ., სასჯელის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („შვიდულო“), № 3.
სენიაიძე ბ., პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა საკითხის ისტორიისათვის, № 4.
ფურცელაძე დ., ვახტანგ მეექვსის კორპუსის კანონმდებლობიდან (გაგრძელება), № 1.
ციხაძე მ., მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელობა და აუცილებლობა, № 1.
პირადი საკუთრების უფლების დაცვის იურიდიული გარანტიის ცნება, № 4.
ქოჩლაძე ო., 1990 წლის პერიოდამდე საბჭოთა კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების უზრუნველყოფის სამართლებრივი და ორგანიზაციული ზომების შესახებ, № 1.
შენგელია რ., საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ზრდა და მისი სამოქალაქო სამართალსუბიექტობის შინაარსი, № 2.
ჭულუხაძე დ., საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლის კომენტარი, № 4.
ხოშტარია ა., პატივი და ღირსება, როგორც პიროვნების სისხლისსამართლებრივი წესით დაცული მორალური სისუფი, № 2.
წერეთელი თ., მყავთავი ვ., დანაშაულის ცნება სისხლის სამართალში, № 2.

რეცენზია, ინფორმაცია, პრონია

- სამართლის თეორიის, სახელმწიფო სამართლისა და საბჭოთა აღმშენებლობის სექციის მუშაობის ანგარიში, № 1.
ჩენი იუბილარი: აკად .ა. გუგუშვილი, № 1.
ვ. კოვანის მონოგრაფიის „სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების სოციალური მექანიზმის“ განხილვა, № 2.
ღვაწლმოსილი მეცნიერის ზსოვნას, № 2.
კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებზე, № 2.
კანონი და კანონმქვემდებარე აქტი (თ. ლილუაშვილი) სოციალისტური კანონიერების არსი და მნიშვნელობა, № 3.
ორიგინალური გამოკვლევა, № 3.
ნაშრომი ეკონომიკური ზრდის საკანონო პრობლემაზე, № 3.
წიგნი რეგიონალურ მეცნიერულ-ტექნიკურ პოლიტიკაზე, № 3.
ერთი ავტორის ორი წიგნის გამო, № 4.
სისხლის სამართლის კანონი და სოციალური რეალობა, № 4.
ვლადიმერ მყავთავილის ზსოვნას, № 4.

ჯანი 85 კაპ.

ინდექსი

76196



685/56